# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 8 მარტი 2000 №42 (1064) | ფასი 50 თეთრი



2 მათეუსი ტირილს აპირებს

უბერებელი ლიბერო ბოლოსდაბოლოს „ბაიერნს“ ეთხოვება

3 სანამ რიონი დაშრებოდეს

დღეს საქართველოს თასის 6 მეოთხედფინალისტი გაირკვევა

9 უნგრული რექვიემი

ოდესღაც დიდი ყოფილა გუნდი...

10 კაცმა საკუთარ თ. ვს პატივი სცა

შაკილ ონილმა 28-ე დაბადების დღე კარიერაში სარეკორდო, 61 ქულით დაიმშვენა



13 რა ჯახი იქნება!

სამმა ერმა ექვსი ერი გამოიწვია, შენი ყოჩი ჩემსას დავაჯახოთო


# ბარსელონა და...

## შვიდის მერე, ორი კვირის თავზე



პორტუ — ბარსელონა 0:2. რივალდო (მარცხნივ) და „ბარსა“ უკვე მეოთხედფინალისტები არიან, სეკრეტარიოს და „პორტუს“ კი საამისოდ კვლავაც ბრძოლა ელით

UEFA CHAMPIONS LEAGUE

### მეორე ეტაპი IV ტური

A ჯგუფი

| | |
|---|---|
| სპარტა | 1 |
| ჰერტა | 0 |
| პორტუ | 0 |
| ბარსელონა | 2 |

B ჯგუფი

| | |
|---|---|
| ბორდო | 1 |
| მანჩესტერი | 2 |
| ვალენსია | 2 |
| ფიორენტინა | 0 |

„ბარსელონამ“ ერთი კვირის წინ შინ, გუშინ კი სტუმრადაც დაამარცხა „პორტუ“ და ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მონაწილეთაგან პირველმა დაირქვა მეოთხედფინალისტის სახელი. იმავე, A ჯგუფში „ჰერტამ“ დამატებულ დროში წააგო: მილან ფუკალმა „სპარტას“ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი შეუნარჩუნა. ნამატ დროში კიდევ ერთი გოლი კი გავიდა — გაისკა მენდიეტამ „ფიორენტინას“ პენალტით შეუგდო, მაგრამ ამ გოლის ფასი ნაკლებია — „ვალენსიას“ რუმინელმა ლეგიონერმა ადრიან ილიემ იტალიელთა კარი მანამდე დალაშქრა. უკვე მერამდენედ იყოჩაღა მინდორზე შეხვედრის მიწურულს გასულმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა: „ბორდოსთან“ მატჩში 83-ე წუთიდან ჩაბმულმა ერთი წუთის შემდეგ მანჩესტერელთა გამარჯვების გოლი გაიტანა.


იხილეთ მეორე გვერდი

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი
IV ტური. 7 მარტი

CHAMPIONS LEAGUE

### A ჯგუფი

**პორტუ 0:2 ბარსელონა**

0:1 აბელარდო (38), 0:2 რივალდო (59)
პორტუ: ილარიო, სეკრეტარიუ, პაულინიუ სანტუში (კლაიტონი 65), ალოიზიო, ესკერდინია, პეიშე (ჩაინიო 46), რუბენს ჟუნიორი (ოლივეირა 45), რიკარდუ სილვა, ნუნო კაპუჩო, დრულოვიჩი, ჟარდელი
მწვრთნელი: ფერნანდო სანტოსი
ბარსელონა: ჰესპი, პუიოლი, აბელარდო, ფ. დე ბური, ბოგარდი, გვარდიოლა, კოკუ (გაბრი 46), ფიგუ (ხავი 91), რ. დე ბური, კლუივერტი, რივალდო (დანი 76)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაფრთხილება: ფიგუ, ალოიზიო, პაულიგიო სანტუში
მსაჯი: სტეფანო ბრაში (იტალია)

**სპარტა 1:0 ჰერტა**

1:0 ფუკალი (90)
სპარტა: ბლაჟეკი, გაბრიელი, ნოვოტნი, ბოლფი, ფუკალი, იაროშიკი, სიონკო (სვობოდა 74), როსიცკი, ჰაპალი (ზიგლი 65), ბარანეკი, ლოკვენცი
მწვრთნელი: ივან ჰაშეკი
ჰერტა: ფიდლერი, ჰ. ჰერცოგი, კონსტანტინიდისი, რეკდალი (სანე 90), მიხალკე (ვაიტი 21), რემერი, შმიდტი, ჰარტმანი, როი (პრეეცი 79), დაეი, ალექს ალვეში
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: როი, ბოლფი, კონსტანტინიდისი, ჰაპალი, ალექს ალვეში
მსაჯი: ანდრეას ფრისკი (შვედეთი)
9 101 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 12:3 | 10 |
| პორტუ | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| სპარტა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:8 | 4 |
| ჰერტა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |

*V ტური. 15 მარტი. ბარსელონა — ჰერტა; პორტუ — სპარტა*

### B ჯგუფი

**ვალენსია 2:0 ფიორენტინა**

1:0 ილიე (34), 2:0 მენდიეტა (90პ)
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, ჯუკიჩი, პელეგრინო, კარბონი, კილი გონსალესი (ანგულო 90), ფარინოსი, მენდიეტა, ხერარდი, კლაუდიო ლოპესი, ილიე (ოსკარ გარსია 78)
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
ფიორენტინა: ტალიალატელა, რეპკა, ადანი, პიერინი, ტორიჩელი (ტოროზი 77), დი ლივიო, კოისი, ჰაინრიხი (ამოროზო 53), რუი კოშტა, მიატოვიჩი (ბალბო 57), ბატისტუტა
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
გაფრთხილება: კ. ლოპესი, კოისი, ამოროზო, ილიე, პელეგრინო, ტაროზი
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
50 000 მაყურებელი

**ბორდო 1:2 მანჩესტერი**

1:0 პავონი (9), 1:1 კინი (33), 1:2 სოლსკიაერი (84)
ბორდო: რამე, გრენე, საველიჩი, ზიანი (რუვიერი 60), აფანუ, ბონისელი, ბატლე (დიაბატე 10), პავონი, მიკუ, ლასლანდი, ვილტორდი (ფეინდუნო 82)
მწვრთნელი: ელი ბოპი
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, სტამი, სილვესტრი, ირვინი (სოლსკიაერი 83), ბექემი, კინი, ბათი, გიგზი, შერინგემი (იორკი 77), კოული (ბერგი 86)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაძევება: ლასლანდი (23)
გაფრთხილება: ლასლანდი, სტამი, პავონი, გრენე, გიგზი, დიაბატე
მსაჯი: იან ვილემ ვეგერეფი (ჰოლანდია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| ფიორენტინა | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| ვალენსია | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 6 |
| ბორდო | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |

*V ტური. 15 მარტი. მანჩესტერი — ფიორენტინა; ბორდო — ვალენსია*



REUTERS

ბორდო — მანჩესტერი 1:2. მანჩესტერელ და ბორდოელ ფრანგთა დუელი: მიშელ სილვესტრი (№27) და ლილიან ლასლანდი

## უეფას თასი. მერვედფინალი
მეორე წრე. 7 მარტი

UEFA CUP

**უდინეზე (იტალია) 2:1 *სლავია (ჩეხეთი)* (0:1)**

1:0 ფიორე (22), 1:1 კოლერი (41), 2:1 სოსა (51)
უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სოტილი (ძანკი 25), გარგო, ფიორე, ჯანიკედა, ვან დერ ვენტი (ალბერტო 58), იორგენსენი, ლოკატელი, მარჯიოტა (სოსა 50), მუცი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
სლავია: ჩერნი, ვლჩეკი (ჰისკი 34), პეტროუსი, რადა, ლ. დოშეკი, ულიხი, დოშტალეკი, პ. ჰორვატი, კოლერი, ტ. დოშეკი (კუჩარი 90), ზელენკა (რ. ვაგნერი 76)
მწვრთნელი: ფრანტიშეკ კიპრო
მსაჯი: ტ. ჰუგი (ნორვეგია)
30 000 მაყურებელი

*მეოთხედფინალში „სლავია“ შეხვდება „ლიდსი“—„რომას“ შორის გამარჯვებულს.*

CHAMPIONS LEAGUE

# მათეუსი ტირილს აპირებს

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი. IV ტური

### C ჯგუფი

**რუსენბორგი — დინამო**

ტრონჰეიმში C ჯგუფის ბოლოადგილოსნები, „რუსენბორგი“ და კიევის „დინამო“, დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფში მათ გარდა ორი ევროპული გრანდი — მადრიდის „რეალი“ და მიუნხენის „ბაიერნი“ ასპარეზობს, აუტსაიდერთა ურთიერთშეხვედრებში მოპოვებული ქულები ძვირად ფასობს. მათ შორის დამარცხებული საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება, გამარჯვებული კი მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს შეინარჩუნებს. უკრაინელებმა კიევში ნორვეგიელებს სამი ქულა აართვეს და უეჭველია, ტრონჰეიმშიც იგივეს შეეცდებიან.

კიევის „დინამო“, მართალია, შარშანდელივით ძლიერი ვერ არის, გუნდი ერთბაშად რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ ვალერი ლობანოვსკის ნიჭი და უნარი უკრაინელებს არცთუ უიმედოდ ტოვებს. კიეველებს შემადგენლობის მცირე პრობლემა აწუხებთ, ცენტრალური მცველი ვლადისლავ ვაშჩუკი და ნახევარმცველი ვიტალი კოსოვსკი მატჩს, ალბათ, ტრავმის გამო გამოტოვებენ.

არაა გამორიცხული, სასტარტო შემადგენლობაში კახა კალაძის გარდა კიეველთა ახალწვეული გიორგი დემეტრაძეც ვიხილოთ, რომელსაც ერთი კვირის წინ ჩემპიონთა ლიგაში დებიუტი ჰქონდა, საკმაოდ აქტიურობდა და პირველი მატჩის კვალობაზე ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია.

დანაკლისი „რუსენბორგსაც“ ექნება, მცველი ანდრე ბერგდოლმო და ნახევარმცველი ფრედრიკ ვინსნესი კიევში მიღებული მეორე გაფრთხილების გამო ვერ ითამაშებენ.

ერთობ ოპტიმისტურად არის განწყობილი ნორვეგიელთა თავკაცი ნილს არნე ეგენი: „წინა კვირას ჩატარებულ მატჩთან შედარებით გარკვეული უპირატესობა გვექნება. მთავარი, ალბათ, საკუთარი მოედანია. კიეველებს უფრო ყოჩაღად შევუტევთ და მათ დამარცხებას შევეცდებით“ — აცხადებს იგი.

კიევში არ უთამაშია მცველ იან დერეკ სორენსენს, რომელსაც მაშინ ტრავმა აწუხებდა, თუმც ახლა მომჯობინდა და, ალბათ, სასტარტოშიც გამოჩნდება.

გაფრთხილებულნი
რუსენბორგი: ბრაგსტადი (2), მინი-იაკობსენი (2), ბერგი, კარეუ, იამტფალი, სორენსენი
დინამო: კოსოვსკი (2), შაცკიხი (2), გერასიმენკო, გოლოვკო, გუსინი, იაშკინი, კალაძე, კარდაში, ხაცკევიჩი, კორმილცევი, რებროვი, ვაშჩუკი

დისკვალიფიცირებულნი
რუსენბორგი: ბერგდოლმო (1 მატჩი), ვინსნესი (1 მატჩი)
დინამო: არავინ

**ბაიერნი — რეალი**

ვეტერანი ლოთარ მათეუსი მიუნხენის „ბაიერნის“ რიგებში უკანასკნელ მატჩს ჩაატარებს. გერმანელები საკუთარ კედლებში მადრიდის „რეალს“ დაუხვდებიან. წინა კვირას 2:4 დამარცხების შემდეგ სამეფო კლუბი პრესტიჟის აღდგენაზე იზრუნებს, გულშემატკივარიც საკმაოდ დაძაბული მატჩის მოლოდინშია. გარდა ამისა, C ჯგუფში ვითარება ერთობ გაურკვეველია და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად გუნდებს ურთულესი ბრძოლა უწევთ.

გერმანელთა თავკაცი ოტმარ ჰიცფელდი აცხადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში „ბაიერნი“ იდეალურ მდგომარეობაში აღმოჩნდება და მეოთხედფინალისკენ გზა ხსნილი ექნება. „მოგება გუნდს ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც წაადგება, თუმც ვაღიარებ, რომ მადრიდის „რეალის“ დამარცხება, თუნდაც საკუთარ კედლებში, რთულია“ — თქვა მან.

„ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი დასასრულს მიუახლოვდა, მატჩის შემდეგ ალბათ ავტირდები“ — ამბობს ლოთარ მათეუსი, რომელიც „ბაიერნის“ მაისურით უკანასკნელ ოფიციალურ მატჩს ჩაატარებს.

ჰიცფელდის განკარგულებაში მარკუს ბაბელი და იენს იერემისი არ იქნებიან, ერთს ტრავმა აწუხებს, ხოლო მეორე დისკვალიფიცირებულია.

მადრიდელთა თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე გუნდის სასტარტო შემადგენლობას ალბათ ერთი კვირის წინანდელივით დააკომპლექტებს. თუმც ოდნავი პრობლემები მიჩელ სალგადოს გაუჩნდა, მცირე ტრავმა აქვს და თუ თამაში ვერ შეძლო, მის ნაცვლად დაცვის მარჯვენა ფლანგზე ალბათ ჯერემი ნჯიტაპი გაირჯება, ხოლო სასტარტოში სტივ მაკმანამანს ვიხილავთ.

„მიუნხენში „ოლიმპიაშტადიონზე“ თამაში ალბათ ყველა გუნდისთვის, მათ შორის „რეალისთვისაც“ საამაყოა. არ მსურს იმის იმედად დავრჩე, რომ მეოთხედფინალში კიევის „დინამოსთან“ მოგების ხარჯზე მოვხვდებით. ჩვენი საქმე მანამდე უნდა შევასრულოთ“ — ამბობს მადრიდელთა დამრიგებელი ვისენტე დელ ბოსკე, წარსულში „რეალის“ ფეხბურთელი, სწორედ იმ გუნდისა, რომელმაც 1976 წელს ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში „ბაიერნთან“ 0:2 წააგო.

გაფრთხილებულნი
ბაიერნი: ბაბელი (2), მათეუსი (2), ელბერი, კუფური, იანკერი, შოლი, შტრუნცი, ტარნატი
რეალი: ჟულიო სეზარი (2), გუტი, ივან ელგერა, იერო, ივან კამპო, კარემბუ

დისკვალიფიცირებულნი
ბაიერნი: იერემისი (4 მატჩი)
რეალი: არავინ

### D ჯგუფი

**ფეიენოორდი — ლაციო**

ერთი კვირის წინ „ლაციოს“ მძლეველი და D ჯგუფის ლიდერად აღზევებული „ფეიენოორდი“ დღეს რომაელებს როტერდამში უმასპინძლებს. მატჩი საკმაოდ დაძაბული და პრინციპული იქნება — გამარჯვების შემთხვევაში „ფეიენოორდი“ მეოთხედფინალში მოსახვედრად საკმაოდ სერიოზულ განაცხადს გააკეთებს, რომაულ გუნდს კი ერთობ რთულ სიტუაციაში ჩააგდებს.

როტერდამულ კლუბს აშკარად ეტყობა, რომ მთელ ყურადღებას ჩემპიონთა ლიგაზე ამახვილებს, რადგან გასულ უქმეებზე ჰოლანდიის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ჰერენვენთან“ დამარცხდა 0:3.

„ძლიერს მოვუგეთ, სუსტთან წავაგეთ. ძლიერი „ლაციო“ იყო, სუსტი — „ჰერენვენი“. ვერ გეტყვით, ეს რამ განაპირობა, მაგრამ ცხადია, რომ ასეთი განსხვავებული შედეგები არ უნდა გვქონდეს“ — ამბობს „ფეიენოორდის“ კაპიტანი პოლ ბოსველტი.

ჰოლანდიელთა თავკაცს, ლეო ბეენჰაკერს შემადგენლობის პრობლემა თითქმის არ აწუხებს. საეჭვოა მხოლოდ კის ვან ვონდერენის თამაში, მცველისა, რომელმაც რომაული მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, კვირას კი „ჰერენვენთან“ ორთაბრძოლაში მსუბუქად დაშავდა.

ბეენჰაკერის ტაქტიკური სქემა საშინაო შეხვედრაში, ალბათ, არ შეიცვლება, რომში ჩატარებული მატჩის მსგავსად გუნდი ორი თავდამსხმელით ითამაშებს. მწვრთნელს ორ ფორვარდს — ბონავენტურე კალუსა და იონ დალ ტომასონს შორის საუკეთესოს არჩევა მოუწევს, რომელსაც ხულიო კრუზთან შეაწყვილებს.

მოსალოდნელია, რომ სვენ გორან ერიკსონი „ლაციოს“ სასტარტო შემადგენლობას 4-5-1 სისტემით განალაგებს. მეხუთე ნახევარმცველად, ალბათ, დიეგო სიმეონეს აირჩევს, ხოლო ხორვატი თავდამსხმელი ალენ ბოკშიჩი მატჩის დებიუტში შეიძლება არც გამოჩნდეს მინდორზე. შეხვედრას, ალბათ, სასტარტოში დაიწყებს მცველი სინიშა მიხაილოვიჩი, რომელიც სერია A-ს ბოლო ტურში მსუბუქად დაშავდა, თუმცა, როგორც გაირკვა, სერიოზული არაფერია. ტრავმა აწუხებთ ფაბრიციო რავანელისა და ჯუზეპე ფავალის. მათ შესაძლოა მატჩის გამოტოვებაც კი მოუხდეთ.

გაფრთხილებულნი
ფეიენოორდი: დე ვისერი (2), კალუ (2), პაუვე (2), ვან გასტელი (2), ხულიო კრუზი, დე ჰაანი, დუდეკი, კორნეევი, ვან გობელი, ვან ფოსენი
ლაციო: ვერონი (2), ფერნანდო კოუტუ, ფავალი, ლომბარდო, მარკეჯანი, ნედვედი, ნესტა, ნეგრო, სენსინი, სიმეონე, დ. სტანკოვიჩი

დისკვალიფიცირებულნი
ფეიენოორდი: არავინ
ლაციო: არავინ

**ჩელსი — მარსელი**

„ჩელსის“ თავკაცის, ჯანლუკა ვიალის განცხადებით, ერთი კვირის წინ მარსელში განცდილი მარცხი მისთვის მოულოდნელობა გახლდათ. თუმცა ამ ფაქტს თავისი მიზეზები ჰქონდა, ლონდონელებს „ოლიმპიკთან“ შეხვედრაში აშკარად აგრესია აკლდათ.

„წინა კვირას გუნდმა თავისი საქმე იცოდა, მაგრამ ბიჭებს მონდომება აკლდათ. ამით აიხსნება ის, რომ არცთუ მრისხანე „ოლიმპიკთან“ გაგვიჭირდა და წავაგეთ კიდეც. ლონდონში მსგავს შეცდომას აღარ გავიმეორებთ“ — ამბობს ვიალი.

ამას თავად მარსელელებიც აღნიშნავენ. „ოლიმპიკის“ მცველი სებასტიან პერესი, რომელიც გუნდს დისკვალიფიკაციის შემდეგ დაუბრუნდა, აცხადებს: „ლონდონელები ჩვენთან მატჩს არასერიოზულად მოეკიდნენ და დაისაჯნენ კიდეც. ვფიქრობ, კარგი გაკვეთილი ჩავუტარეთ, თუმცა დღევანდელი შეხვედრა რთული იქნება. „ჩელსის“ უკანდასახევი გზა აღარ დარჩენია და გამარჯვებისთვის იბრძოლებს, ჩვენ კი ფრთხილად უნდა ვიყოთ და თავი დავიცვათ“.

მარსელელებს ლონდონელებთან შედარებით ოდნავი უპირატესობა აქვთ. მათ მთელი რვა დღე შეისვენეს, „ჩელსიმ“ კი შაბათს პრემიერლიგაში „ნიუკასლთან“ საკმაოდ რთული მატჩი ჩაატარა და სექტემბრის შემდეგ შინ დაუმარცხებელ გუნდს მოუგო.

„მარსელში განცდილი მარცხის შემდეგ ნიუკასლში აუცილებლად უნდა გვემარჯვა. მოხარული ვარ, რომ სასურველ შედეგს მივაღწიეთ“ — ამბობს ვიალი.

„ნიუკასლთან“ მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა წამყვანმა მცველმა მარსელ დესაიმ, თუმც იმედოვნებენ, რომ „ოლიმპიკთან“ დღევანდელ შეხვედრას იგი სასტარტოში დაიწყებს.

მეტად საეჭვოა იტალიელი რობერტო დი მატეოს თამაშიც, რომელიც შაბათს დაშავდა. მის ჯანმრთელობის მდგომარეობას მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე დაადგენენ.

მარსელელთაგან მცველები პატრიკ ბლონდო და უილიამ გალასი დაშავდნენ, უკვე კარგა ხნის ტრავმირებულია გუნდის ძირითადი მეკარე სტეფან პორატოც, მის ნაცვლად კარს სტეფან ტრევიზანი დაიცავს.

გაფრთხილებულნი
ჩელსი: ფერერი (2), ბაბაიარო, დესაი, ლებეფი, უაიზი, ძოლა
მარსელი: ბერიზო (2), მორისი (2), დალმა, ლუქსენი, პორატო

დისკვალიფიცირებულნი
ჩელსი: არავინ
მარსელი: არავინ

## ავსტრია

გადადებული მატჩი

**ბრეგენცი 1:1 აუსტრია**

## ინგლისი

### I დივიზიონი

35-ე ტური. ბირმინგემი — პორტსმუთი 1:0; ქრიუ — პორტ ვეილი 2:1; კრისტალ პალასი — ბოლტონი 0:0; ფულემი — სტოკპორტი 4:1; გრიმსბი — ვულვერჰემპტონი 1:0; იფსვიჩი — ბლექბერნი 0:0; შეფილდი — ბარნსლი 3:3; სუინდონი — ჰადერსფილდი 2:0; უოლსოლი — ჩარლტონი 2:4; ვესტ ბრომვიჩი — ტრანმერი 2:0

### II დივიზიონი

XXXV ტური

ბრენტფორდი — რექსჰემი 0:2; როვერსი — უიკომბი 1:0; ბარნსლი — ლუტონი 0:2; კემბრიჯი — ბრისტოლი 3:0; კარდიფი — ბორნმუთი 1:2; ჯილინგემი — ნოტსი 0:1; მილუოლი — სკანთორპი 1:2; ოქსფორდი — რედინგი 1:3; პრესტონი — კოლჩესტერი 2:3; უიგანი — ბლექპული 5:1; ოლდემი — ჩესტერფილდი გადაიდო

### III დივიზიონი

XXXV ტური

დარლინგტონი — ბარნეტი 4:0; ჰალიფაქსი — სუონსი 0:1; ჰარტლპული — ბრაიტონი 0:0; ლინკოლნი — მენსფილდი 3:0; მაკლსფილდი — იორკი 1:1; ნორთჰემპტონი — ლეიტონი 2:1; პლიმუთი — ჩესტერი 0:0; როტერჰემი — ჰალი 3:0; შრიუსბერი — პიტერბრო 0:1; საუთენდი — ექსეტერი 1:2



## საქართველოს თასი
## მერვედფინალი
*საპასუხო მატჩები*

# სანამ რიონი დაშრებოდეს



ელდარ გვასალია

დღეს და ხვალ ჩვენი ქვეყნის ექვსი ქალაქის რვა სტადიონზე სათასო მატჩები გაიმართება. მერვედფინალის საპასუხო თამაშები ზოგისთვის ერთი რიგითი, ჩვეულებრივი გასეირნება იქნება, ზოგიც საბოლოოდ გამოეთიშება წლევანდელ გათამაშებას.

მდინარე რიონის დაშრობა უფროა მოსალოდნელი, ვიდრე „ტორპედოს" მეოთხედფინალში არგასვლა. ქუთაისელებმა პოლიციის „აკადემიას" პირველ მატჩში ხუთი უპასუხო გოლი გაუტანეს და ახლა, საშინაო შეხვედრაში მეტს თუ არა, ნაკლებს არც უნდა ველოდეთ. მოკლედ, შევთანხმდით, „ტორპედო" მეოთხედფინალშია.

თუ „დინამო" არსებობას ლანჩხუთში ჩასვლამდე შეწყვეტს, მაშინ შეიძლება „გურიას" მეოთხედფინალში მოხვედრის მიზერული შანსი გაუჩნდეს, მაგრამ ასეთი ვერსიის მართებულობისა ამქვეყნად ალარავის სწამს. უკვე მეორე მეოთხედფინალისტიც მოიძებნა. ეგაა, ჩემპიონი ძველ თანამებრძოლს 9 მარტს ესტუმრება, ორ დღეში ფოთში გადავა და „კოლხეთს" მეორე ტურის მატჩში ეთამაშება.

კიდევ ერთი მეოთხედფინალისტი გაირკვა დღევანდლამდე — გორის „დილა". შიდაქართლელები თუ თბილისში სათამაშოდ არ გამოცხადდებიან, სხვა ამბავია, თორემ სხვაგვარად ამჟამინდელი „ზოოვეტი" არ არის ის გუნდი, „დილას" ჯერ სამბურთიანი უპირატესობა გაუბათილოს და მერე მეოთხედფინალზეც იფიქროს.

ნაკლებსავარაუდოა, თუმც ცოტა საჭოჭმანოც, რომ კილასონიების გარეშე დარჩენილმა რუსთაველმა „გორდამ" სინიორ კარნევალეს დალაგებულ „ბათუმს" რაიმე დააკლოს. მართალია, ზღვისპირელ[illegible] ტრადიციულად უჭირთ აღმოსავლეთ [illegible]აქართველოში ბურთაობა, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ გახლავთ, რაც რუსთაველებს იმედის ნაპერწკალს გაუღვივებდა. კარნევალე დღეს ვერ ათამაშებს ზურაბ არჩვაძეს (მან დასაშვებზე მეტი ყვითელი ბარათი დაიგროვა), მაგრამ იტალიელი მის შემცვლელს როგორმე იპოვის, ხოლო კილასონიები „გორდასთვის" შეუცვლელები არიან.

დაგვრჩა ოთხი მატჩი, სადაც ხელაღებით ვერავინ იტყვის, მეოთხედფინალში ესა და ეს გუნდი მოხვდებაო.

თსუ — „ვიტ ჯორჯიათი" დავიწყოთ. სტუდენტებმა ერთგვარი სიურპრიზი შესთავაზეს თავიანთ მოძმეებს. მართალია, ვეტერინართა თავკაცმა, სერგო კოტრიკაძემ, პირველ დუელში ლამის ნახევარი გუნდი დაასვენა, მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს თსუ-ს ვაჟკაცობას. თენგიზ კაციას შეგირდებს დღეს იმის დამტკიცება მოუწევთ, რომ 28 თებერვლის 1:1 შემთხვევითი არ იყო, რაც ერთობ საძნელო საქმედ ჩანს „ვიტ ჯორჯიას" ძირითად შემადგენლობასთან ჭიდილში. კოტრიკაძის ბიჭები ყველანი მწყობრში არიან, კაცია კი რამაზ სვანაძეს ვერ ათამაშებს. მიზეზი აქაც ზედმეტი ყვითელი ბარათი გახლავთ.

ზესტაფონის „მარგვეთს" ცოტა იმედი კიდევ ულვივის, მაგრამ აბა, წყალტუბოელებს დავეკითხოთ, იქნება „სამგურალი" თანახმა, მატჩის სტუმრად მოგების შემდეგ მეტოქე შინიდან გახარებული გაუშვას? რატომღაც არა გვგონია, ასე მოხდეს.

ვერ გეტყვით, რა ხასიათზე დადგებიან რკინიგზელთა თავკაცები, „ლოკომოტივი" გათამაშებას რომ გამოეთიშოს. მაშინ ჯოხი აუცილებლად გატყდება და ძნელი მისახვედრი სულაც არ გახლავთ, ვის ზურგზე. ამიტომ რევაზ ძოძუაშვილი და კომპანია ყველა ღონეს იხმარენ იმისთვის, რომ თბილისელებს სიანცე არ შეარჩინონ.

ძოძუაშვილი დავით გოდერძიშვილს ვერ ათამაშებს, მუმლაძე — ბურდულს. დანაკლისი „თბილისის" მხარეს უფრო მეტია. სწორედ ესაა რკინიგზელთა უპირატესობაც.

დაბოლოს „მერანი" — „კოლხეთი". პირველი მატჩის შემდეგ ერთბურთიანი უპირატესობა ფოთელთა მხარესაა, თუმც დაგვეთანხმებით, ეს უზრუნველი ცხოვრების საშუალებას არ იძლევა. „მერანი" ახალი პატრონის შეძენით ფრთებშესხმულია, „კოლხეთი" გვარიანად დამწუხრებული.

ასეც რომ არ იყოს, მათ თავიანთი, ძველი ანგარიშებიც აქვთ გასასწორებელი. ბრძოლა უშელავათო იქნება, მატჩი დაძაბული.

მასპინძლები ცქიფურიშვილს ვერ ათამაშებენ, სტუმრები კი შალამბერიძესა და ელდარ გვასალიას. შალამბერიძის უთამაშებლობა სულაც არ არის გასაკვირი, ის პირველი მატჩის დასაწყისშივე გააძევეს. რაღა დააშავა გვასალიამ?

რა და, ქუთაისში გასვლითი მატჩის დამთავრების შემდეგ, ელდარს მსაჯისთვის უხამსოდ მიუმართავს, აზვლედიანთან ორთაბრძოლისას ტყუილუბრალოდ რად დამაჯარიმე, პენალტი რად დანიშნეო.

მაშინ გვასალიასთვის პასუხი არავის მოუთხოვია, მატჩის დელეგატსაც რატომღაც დავიწყებია, მისი მონაწილის ბარათი თბილისში წამოეღო. ფოთელებს მხოლოდ სამი დღის შემდეგ, მობილური ტელეფონით შეატყობინეს „მერანთან" სათასო მატჩში გვასალია არ ათამაშოთო.

კოლხები აღშფოთდნენ. ისინი არაფრის დათმობას აპირებენ.

**მამუკა ძვანტალიანი**

ქუთაისი. ტორპედო. 8 მარტი. 15 საათი

### ტორპედო — აკადემია

პირველი მატჩი 5:0

მსაჯები: თ. ლაცაბიძე; კ. თბილელი (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე; ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ა. ბაჩუკაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

თბილისი. ეროვნული. 8 მარტი. 15 საათი

### თბილისი — ლოკომოტივი

პირველი მატჩი 1:1

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ს. კახიანი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: ბურდული (თბილისი), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი)

მცხეთა. არმაზი. 8 მარტი. 15 საათი

### თსუ — ვიტ ჯორჯია

პირველი მატჩი 1:1

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ელისაბედაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ისიანი
დისკვალიფიცირებულნი: სვანაძე (თსუ)

თბილისი. ზოოვეტი. 8 მარტი. 15 საათი

### ზოოვეტი — დილა

პირველი მატჩი 0:3

მსაჯები: მ. მაისურაძე; ა. ნონიკაშვილი, ო. ხეცაძე; ზ. ჯვარიძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. გრეკოვი
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

რუსთავი. ფოლადი. 8 მარტი. 15 საათი

### გორდა — ბათუმი

პირველი მატჩი 0:2

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებულნი: ზ. არჩვაძე (ბათუმი)

წყალტუბო. 26 მაისი. 8 მარტი. 15 საათი

### სამგურალი — მარგვეთი

პირველი მატჩი 2:0

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. რაზმაძე (გორი), გ. მარლიშვილი (ქარელი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. იაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

თბილისი. სინათლე. 8 მარტი. 15 საათი

### მერანი — კოლხეთი

პირველი მატჩი 0:1

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: ცქიფურიშვილი (მერანი), შალამბერიძე, ე. გვასალია (კოლხეთი)

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 9 მარტი. 15 საათი

### გურია — დინამო

პირველი მატჩი 0:6

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, მ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

# ფიფა კალენდარს 13 მარტს დაგვიმტკიცებს

— იქნებ აღარც ვართ ფიფა-უეფას წევრები?

— შესაძლოა, მაგრამ, იქნებ, პირდაპირ დაგვრთეს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება?

— იქნებ?...

— ყოველდღე ვრეკავთ, ყოველდღე ფაქსს ვიღებთ, არა, ჯერ არაფერი გადაგვიწყვეტიაო, გვპასუხობენ ფიფადან.

ამგვარი და ამის მსგავსი დიალოგები ხშირად ყოფილა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.

30 იანვარს მსოფლიოს ჩემპიონატის VIII შესარჩევი ჯგუფის კალენდარზე გუნდების წარმომადგენლებმა, ბუქარესტში რომ ვერ მოილაპარაკეს, მას შემდეგ არ დაღამდება, ფედერაციის მუშაკებს არ ვკითხოთ — კალენდარი როდის იქნება? პასუხი მოკლე და კონკრეტულია — როცა ფიფა დაადგენს. ფიფა კი...

წინა კვირაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია 13 მარტს ციურიხში, ფიფას შტაბ-ბინაში მიიპატიჟეს. შეკრებას მერვე შესარჩევი ჯგუფის დანარჩენი ოთხი გუნდის წარმომადგენელიც დაესწრება და ალბათ საკვალიფიკაციო თამაშების განრიგსაც მაშინ დაადგენენ.

**კობა ინასარიძე**

# კოლხეთმა ძომაბი დაკარგა



ლოლო ხოფერია

შაბათს, დაახლოებით შვიდის ათი წუთი იქნებოდა, როცა...

ქუთაისი — სენაკი — ფოთის საგზაო მაგისტრალზე ტრაგედია დატრიალდა. ქუთაისიდან შინისკენ მიმავალ „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტის თენგიზ ქოიავას კუთვნილ „გაზ 31"-ს დიდი სიჩქარით შემხვედრი ავტომანქანა შეასკდა.

სამწუხაროდ, მოხდა ის, რაც ავტოსაგზაო შემთხვევისას უმეტესად ხდება. ავარიას ემსხვერპლა ფოთის „კოლხეთის" ვეტერანი ფეხბურთელი ივანე (ლოლო) ხოფერია, რომელიც 79 წლისა იყო...

ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს ლოლო ხოფერია უთუოდ ემახსოვრებათ. 1946 წელს ანდრო ჟორდანიამ ყველასთვის სათაყვანებელ თბილისის „დინამოში" მიიწვია და ერთ-ხანს იქ თამაშობდა, მერე კი მუხლზე მენისკი დაემართა და ფეხბურთიდან წასვლა ადრეულ ასაკში მოუხდა, თუმცა ბატონ ლოლოს უფეხბურთოდ რა გააჩერებდა. იგი მშობლიურ „კოლხეთს" 1948 წელს დაუბრუნდა და აქედან მოყოლებული 23 წლის მანძილზე „კოლხეთს" თავკაცობდა. გუნდს რომ უჭირდა, საკუთარი სახლიდან ვეზიდებოდით საჭმელ-სასმელსო — თქვა მან ექვსი წლის წინ.

— ომამდე ხშირად მუსიკის აკომპანიმენტით ვთამაშობდით. ომი რომ დაიწყო, მოხალისედ წავედი, ხარკოვთან ტყვედ ჩავვარდი. ომის დამთავრების შემდეგ ჰოლანდიასა და საფრანგეთში ვიყავი, სად აღარ გამიგორებია ბურთი. მერე ესტონეთშიც ვთამაშობდი. თუმცა მშობლიური გუნდისთვის არასოდეს მიღალატია და ვერც ვუღალატებდი...

მშობლიური „კოლხეთის" სიყვარულმა წაიყვანა ბატონი ლოლო ქუთაისშიც, სადაც კოლხები მარადიულ მეტოქე „ტორპედოს" ეთამაშებოდნენ. თამაში დასრულდა, ლოლო ხოფერია „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტ თენგიზ ქოიავასა და ფოთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ბარამიასთან ერთად ფოთში ბრუნდებოდა, მაგრამ...

მძიმე მდგომარეობაში მყოფი იქვე, სენაკის საავადმყოფოში გადაიყვანეს, საღამოს კი ფოთში, მშობლიურ ქალაქში, დასტაქართა მცდელობა ამაო გამოდგა. 5 მარტს კიდევ ერთი სიცოცხლე შეწყდა...

მეორე ავტომანქანაში ორნი მსხდარან. ერთი ადგილზევე გარდაიცვალა. მძღოლი კი უგონოდაა, მაგრამ როგორც ექიმები ვარაუდობენ, ალბათ გადარჩება.

რაც შეეხებათ თენგიზ ქოიავას, ბორის ბარამიას და „გაზ 31"-ის მძღოლს, ისინი უვნებელნი გადარჩნენ, მაგრამ შოკში არიან. მათ „კოლხეთის" ვეტერანი ფეხბურთელი, მეგობარი დაკარგეს...

...ლოლო ხოფერიას ცხედარს მშობლიური ფოთის მიწას კვირას მიაბარებენ.

**გიორგი ვაშაკიძე**

# სიონს მენისკი შეეჩვია



არჩილ შაკიაშვილი

გორის „დილასთან" საშინაო მატჩს სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს ბოლნისის „სიონის" გამოცდილი კაპიტანი არჩილ შაკიაშვილი. მან ჩემპიონატის პირველი ეტაპიდან გამოყოლილი გაფრთხილების გამო გამოტოვა შეხვედრა, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, „დილასთან" სიონელის თამაში მაინც გამორიცხული გახლდათ. მიზეზი ისევ და ისევ მენისკია. ისევ და ისევ, რადგან არჩილ შაკიაშვილი „სიონის" მეორე ფეხბურთელია, რომელსაც ეს ტრავმა აწუხებს. ერთი კვირის წინ მენისკის ოპერაცია გაიკეთა ბოლნისური გუნდის კიდევ ერთმა წევრმა დავით სოლოლაშვილმა. საოპერაციოა შაკიაშვილიც, იგი დასტაქრებს რამდენიმე დღეში მიაკითხავს.

და ერთიც, სოლოლაშვილის ოპერაციის ხარჯები ბოლნისის რაიონის გამგებელმა და გუნდის პირველმა თანამდგომმა ზურაბ ჯაფარიძემ გაიღო. მას შაკიაშვილის დახმარებაც განუზრახავს, კაპიტანს უყურადღებოდ არ დავტოვებო.

**პაატა ძვანტალიანი**

საქართველოს ჩემპიონატი 11 მეორე ეტაპი

**1 ტური**

# ჯაან, ჯანი-ჯან!

## ანუ იმაზე, თუ როგორ მოიხსნეს კომპლექსი ვეტერინარებმა, როგორ გაჭენდა მერანი ზებრაზე, გრიპზე, შაშვზე, კაკაბზე და სხვა



ტურის ცენტრალური მატჩი „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“ ამგვარი ორთაბრძოლებით გამოირჩა

ჯანი კარნევალე ტირანია, ჯალათი და საფეხბურთო მონსტრი — ერთს რომ ჩაიფიქრებს ავს და მზაკვრულს იტალიური აზრებით სავსე იტალიურ თავში, მერე ლომთალომიც ვერ გადაათქმევინებს. ახლაც, მეთერთმეტე ეროვნულის მეორე ეტაპის პირველი ტურის (გენაცვალეთ ჩახუჭუჭებაში) რიგით შეხვედრაში მისი ნეოსაკისეული იდეებით შეგულიანებულმა თოთხმეტმა (სამი შეცვლაზე შევიდა) ბათუმელმა ყაჩაღმა იმგვარად აოტნა სამტრედიის „იბერიის“ მშვიდობისმოყვარე დაცვა, მისი ცოდვით ძირს ბალახი იწვოდა და მაღლა ჟურნალისტები (პრესლოჟაში). ერთი ჰო, ორიც მესმის, სამიც, ოთხიც გამიგია, ჰა-ჰა, ხუთსაც აიტანდა თავმდაბალი კაცი, მაგრამ ექვსი ნამეტანია და მე გეკითხებით თქვენ, სინიორ ჯანი, თქვენო უბუბლიკებულესობავ, რას ჰგავს ეს? დაიბრიყვეთ ხომ?! თქვენი იტალიური არ ვიცი და ჩვენში წაქცეულს არა სცემენ... არამი იყოს თქვენზე თბილისის რომელიღაც ფაბრიკის მიერ იტალიური წესით დამზადებული ქართული სპაგეტი.

ეს „ბათუმი“ — „იბერიას“ მატჩის შემდეგ და თავად თამაშზე კი იმას მოგახსენებთ, რომ თითო ტაიმში სამ-სამჯერ გაუტანეს ბათუმელებმა ფრუიძის შეგირდებს — ორ-ორჯერ მუჯირმა და მაჭუტაძემ გამოიჩინეს თავი, თითოჯერ ხომერიკმა და ქორიძემ. ასე შედგა ტურის ყველაზე უხვგოლიანი, გამანადგურებელანგარიშიანი და დედაშვილის ხელში ვერამყვანი შეხვედრა.

რაც შეეხება ქვესათაურში მოხსენიებულ თეთრ-მწვანეთა მოხსნილ კომპლექსებს, საუბარი „ვიტ ჯორჯიაზეა“, რომელმაც, როგორც იქნა, შეაჭანჭყარა „დინამო“ და მასთან ერთად საკმაოდ ნორმალური სანახაობა აჩვენა 4 მარტს, დღისით შაბათს „ეროვნულზე“ თავმოყრილ მაყურებელს. მთლიანად მატჩი არცთუ მაღალტემპიანი და საგოლე მომენტებით დახუნძლული გამოდგა, მაგრამ ბრძოლა, რკენა და კბილთა ღრჭიალი ნამდვილად იყო. ეს კი განა მარტო რაგბს, ფეხბურთსაც ამშვენებს. დაახლოებით ორ-ორი სახიფათო დარტყმა გაცვალეს გუნდებმა, არაფერი დაუთმეს ერთურთს და როცა მსაჯმა კახიანმა ჩასტვინა, ეროვნულის ტაბლოზე სამართლიანად აინთო თანაბარი ანგარიში. თუკი „დინამოს“ მარადჩემპიონურ კრიტერიუმებს გავითვალისწინებთ, თეთრ-ლურჯებმა („დინამომ“) დაკარგეს ორი ქულა, თეთრ-მწვანეებმა კი („ვიტ ჯორჯიამ“) მოიპოვეს ერთი.

ლურჯი ლურჯას ასოციაციას აღძრავს, ლურჯა კი მსხვილფეხაა და ჩლიქოსანი, ისევე, როგორც მერანი. მერანი კი იმისთვისაა, უნდა გაჭენდეს და აკი გაჭენდა კიდეც. გაჭენდა 5 მარტს, კვირას, იქვე, „ეროვნულზე“, რომელიც, არ ვიცი, თავისივე ამტანიანობისა თუ უმინდვრობის გამო (მკითხველო, გამოიცან) ერთბაშად სამი გუნდის სარბიელად ქცეულა და კიდეც იმიტომ ჰგავს მისი ზედაპირი ზებრის ზურგს. ასე იყო თუ ისე, „მერანმა“ ზებრასავით აჭრელებულ მინდორზეც შეძლო, კენტი გოლის მოკვარახჭინება და... იმ დარტყმულით თითქმის დაუგეგმავი სამი ქულა მიითვალა. ამ გამარჯვებით პირველი ფურცელი ჩაიწერა „მერანის“ ახალი პრეზიდენტის, დავით ფურცელაძის საფეხბურთო დოსიეში და ხვალისაზე ხვალემ იფიქროს.



ტორპედოელი ზურაბ იონანიძე ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა

„ეროვნულმა“ კიდევ ერთ შეხვედრას სამ მარტს, პარასკევს უმასპინძლა — „ლოკომოტივმა“ შემადგენლობაგადახალისებული „ხობი“ იწვია და ოთხი ბურთით გაუმასპინძლდა. როცა ოთხი ბურთი გაგაქვს და ერთადერთს უშვებ, ეს ნამდვილად ნიშნავს უპირატესობას, მაგრამ ისიც ხომ სათქმელია, რომ დასუსტებული „ხობი“ ამბიციამომძალებულ რკინიგზელთათვის ვერაფერი ბარომეტრია. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, რა პროგრესი შეინიშნება „ლოკომოტივის“ სათამაშო ხარისხში, სამუშაო კი უამრავი რომ აქვს, ეს „სარბიელთანაც“ არ დაუმალავს რკინიგზელთა მთავარ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს.

„ტორპედომ“ „კოლხეთს“ იმგვარად გაუხშირა მოგებები, რომ ფოთელებს, ვგონებთ, კომპლექსიც ჩამოუყალიბდათ ქუთაისური გუნდისა. მართალია, დღემდე უარყოფითი ბალანსი აქვთ ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში იმერლებს ზღვისპირელებთან, მაგრამ ნელნელა სათავისოდ მოაბრუნეს ჩარხი და თუ ასე გააგრძელეს, სულ მალე დაწინაურდებიან ორთა დავაში. სუპერთასისთვის მატჩში „დინამოსთან“ მარცხმა, ეტყობა, ცივი შხაპივით იმოქმედა ყიფიანსა და კომპანიაზე და იონანიძის სამმა გოლმაც ნათლად ასახა მასპინძლების უდავო უპირატესობა სტუმრებზე. სხვათა შორის, ამ შეხვედრაში, როგორც იქნა, დანიშნეს პენალტი „ტორპედოს“ სასარგებლოდ. ასეთი რამ კი კარგა ხანია, არ ღირსებიათ იმერლებს და ამაზე მათმა პრეზიდენტმა ქორქიამაც გაამახვილა ყურადღება თავის დროზე.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც, ქუთაისის „ტორპედოს“ აქამდე ზედიზედ რვა თამაშში არ გაეშვა ბურთი საკუთარ კარში, მაგრამ კოლხი მიხეილ ქობულაძე ეტყობა არას დაგიდევთ რეკორდებს და მატჩის 80-ე წუთზე იმგვარად დააშხუილა ჭანტურიას კარისკენ, მეკარემ ვერაფერი გააწყო და ფოთის „კოლხეთიც“ დიდი ანგარიშით მარცხს გადაურჩა.

დაჩაგვრა ეგრე არ უნდაო და ხელი (ფეხი) „სიონმაც“ გამოიღო — გორის „დილა“ ხომ იწვია და იწვია (არ ეშლებათ სიონელებს), ბურთიც გვარიანი გაუგორა და ზუსტად ის დღე დააწია, რაც „ლოკომოტივმა“ „ხობს“ — 4:1. ეს ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს და სეზონის დაწყებამდე ბოლნისურ პრობლემებზე აგორებული ამბები, ვგონებთ, რამდენადმე გაზვიადებული უნდა იყოს. უნდა აღინიშნოს ერთი საყურადღებო ფაქტიც — ეტყობა, „ჰამბურგის“ მეკარე ბუტის მაგალითიც გრიპივით გადამდებია და აკი ქართველმა მეკარემ, კერძოდ, სიონელმა თემურ ვოლკოვმაც გაიტანა თერთმეტმეტრიანი. ამ გამარჯვებით „სიონმა“ ერთი საფეხურით აინაცვლა „ა“ ზონაში და „ვიტ ჯორჯიასთან“ ადგილგაცვლილი მეოთხეა.

დაბოლოს, ტურის მეშვიდე (მერვე მატჩი „არსენალი“ — „გორდა“ გადაიდო) შეხვედრაზე, თსუ — „სამგურალი“. დაახლოებით ტაიმნახევარი ისე შეიბნენ გუნდები, როგორც შაშვი და კაკაბი. ზუსტად ტაიმნახევარი მცხეთური სტადიონის ტაბლოს 0:0 ამშვენებდა, მერე კი მესხი ფლანგზე გაიჭრა, წუწუნავამ მოიქნია და ნულის მერე ერთია, ხომ?

ტური საკმაოდ უხვგოლიანი გამოდგა. გამართულ 7 შეხვედრაში 22 ბურთი გავიდა (საშუალოდ 3 და მეტი), რაც ბელგიურ-ჰოლანდიური საზომებითაც კი არ გახლავთ ცუდი შედეგი. ტურის მეგოლის წოდება ტორპედოელ ზურაბ იონანიძეს ეკუთვნის უთუოდ. სწორედ მისი ჰეთ თრიქის წყალობით განიმტკიცა „ტორპედომ“ ლიდერობა და „დინამოსთან“ ერთქულიანი მარაგი სამამდე გაზარდა. გოლების ფონზე გაფრთხილებათა საკმაოდ ზომიერი რიცხვი აჩვენებს გუნდებმა — 7 მატჩში 15 ყვითელი ბარათი არც თუ ბევრია. სასიხარულოა, რომ ტურმა გაძევების გარეშე ჩაიარა. ერთადერთხელ აიძულა მსაჯმა მავანი დაეტოვებინა მინდვრის შემოგარენი, ისიც თსუ — „სამგურალის“ მატჩში და ისიც სტუდენტთა ექიმი.

ახლა კი სტუმარ-მასპინძელთა ურთიერთობაზეც — მასპინძლებმა უდავოდ დაჩაგრეს მეტოქეები. მათ 7-დან 5 მატჩში გაიმარჯვეს, ერთი ფრე გააგორეს და ერთხელაც დამარცხდნენ — ეს „მერანმა“ მოსწმინდა ნამუსი სტუმრებს.

გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებაც მასპინძელთა სოლიდურობაზე მიუთითებს, მათ 18 გაიტანეს და ოთხად ოთხი მიიღეს. კარგა ხანია შინაური კედლები ასე არ დახმარებიათ ქართულ კლუბებს.

ასე ჩაიარა ქართულმა უქმეებმა (კჩორტუ უიქ-ენდი). თუკი იტალიურ (მილანურ) დერბიში „ინტერმა“ „მილანს“ „გასვლაზე“ მოუგო, ჩვენთან „მერანმა“ გაიმარჯვა „თბილისთან“ (გასვლაზე). ასე რომ, ბევრად არაფრით ჩამოვრჩებით აპენინელებს იბერიელები.

მაგრამ ზოგი ჯანისაც ჰკითხეთ.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



სერგო გაბელაიამ „მერანში“ დაბრუნება საგარეო სამი ქულით აღნიშნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი

# 1 ტური

## „ა“ ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 1 |
| მატჩი | 4 |
| გოლი | 15 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 3,75 |
| მასპინძელთა მოგება | 3 (75%) |
| ფრეები | 1 (25%) |
| სტუმართა მოგება | 0 (0%) |
| საერთო დასწრება | 15 000 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 3 750 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | I: 5 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | I: 1 500 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 66 | 16,50 |
| სტუმარი | 59 | 14,75 |
| სულ | 125 | 31,25 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 15 | 3,75 |
| სტუმარი | 13 | 3,25 |
| სულ | 28 | 7,00 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 41 | 10,25 |
| სტუმარი | 33 | 8,25 |
| სულ | 74 | 18,50 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 31 | 7,75 |
| სტუმარი | 14 | 3,50 |
| სულ | 45 | 11,25 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 39 | 9,75 |
| სტუმარი | 7 | 1,75 |
| სულ | 46 | 11,50 |

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 49 | 16,33 |
| სტუმარი | 55 | 18,33 |
| სულ | 104 | 34,66 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 14 | 4,66 |
| სტუმარი | 8 | 2,66 |
| სულ | 22 | 7,33 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 25 | 8,33 |
| სტუმარი | 9 | 3,00 |
| სულ | 36 | 12,00 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 23 | 7,66 |
| სტუმარი | 11 | 3,66 |
| სულ | 34 | 11,33 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 7 | 2,33 |
| სტუმარი | 7 | 2,33 |
| სულ | 14 | 4,66 |

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

## „ბ“ ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 1 |
| მატჩი | 3 |
| გოლი | 7 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,33 |
| მასპინძელთა მოგება | 2 (66%) |
| ფრეები | 0 (0%) |
| სტუმართა მოგება | 1 (34%) |
| საერთო დასწრება | 1 300 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 433 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | I: 500 |
| მწირი დასწრება ტურზე | I: 300 |

## სიმბოლური ნაკრები

- პაატა მაჭუტაძე — *ბათუმი*
- მამუკა რუსია — *ლოკომოტივი*
- ამირან მუჯირი — *ბათუმი*
- ზურაბ იონანიძე — *ტორპედო*
- გიორგი ანჩაბაძე — *დინამო*
- დავით ჯანაშია — *ტორპედო*
- გივი დიდავა — *დინამო*
- გიორგი ჭანკოტაძე — *ვიტ ჯორჯია*
- ედიკ საჯაია — *ვიტ ჯორჯია*
- კახა გოდერძიშვილი — *სიონი*
- სერგო ჭურაძე — *ვიტ ჯორჯია*

გუნდი: ვიტ ჯორჯია
მწვრთნელი: სერგო გაბელაია *მერანი*

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 21 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 | დინამო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 18 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 | ბათუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 16 | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 | სიონი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 14 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 13 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 6 | კოლხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 13 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 7 | დილა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 8 | იბერია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | -6 | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | -6 | 0 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 9 | ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 12 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 | თსუ | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 11 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 11 | მერანი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 11 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 12 | გორდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 13 | თბილისი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 7 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 14 | სამგურალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 15 | არსენალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 16 | ხობი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |

# «ა» ზონა

### ბათუმი 6:0 იბერია

| | | |
|---|---|---|
| 17 | დაჯარიმდა | 5 |
| 3 | კუთხური | 1 |
| 13 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 8 | კარში დარტყმა | 3 |
| 22 | თამაშგარე | 2 |

### ტორპედო 3:1 კოლხეთი

| | | |
|---|---|---|
| 16 | დაჯარიმდა | 18 |
| 3 | კუთხური | 5 |
| 11 | კარისკენ დარტყმა | 17 |
| 8 | კარში დარტყმა | 6 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

### დინამო 0:0 ვიტ ჯორჯია

| | | |
|---|---|---|
| 15 | დაჯარიმდა | 22 |
| 3 | კუთხური | 0 |
| 12 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 5 | კარში დარტყმა | 3 |
| 5 | თამაშგარე | 2 |

### სიონი 4:1 დილა

| | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 14 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 10 | კარში დარტყმა | 2 |
| 9 | თამაშგარე | 1 |

# «ბ» ზონა

### ლოკომოტივი 4:1 ხობი

| | | |
|---|---|---|
| 14 | დაჯარიმდა | 16 |
| 6 | კუთხური | 4 |
| 13 | კარისკენ დარტყმა | 1 |
| 12 | კარში დარტყმა | 3 |
| 3 | თამაშგარე | 1 |

### თბილისი 0:1 მერანი

| | | |
|---|---|---|
| 15 | დაჯარიმდა | 28 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 3 | კარში დარტყმა | 3 |
| 0 | თამაშგარე | 6 |

### თსუ 1:0 სამგურალი

| | | |
|---|---|---|
| 20 | დაჯარიმდა | 11 |
| 2 | კუთხური | 1 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 8 | კარში დარტყმა | 5 |
| 4 | თამაშგარე | 0 |

# «ა» ზონა

თბილისი
4 მარტი
15 საათი
ეროვნული
5 000 (ტევადობა 75 000)

## დინამო 0:0 ვიტ ჯორჯია

დინამო: გრიშიკაშვილი, დიდავა, ა. სახვაძე, ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე, გუჩუა (გ. შენგელია 81), სიჭინავა, დათუაძე, შაშიაშვილი (ხუციშვილი 58), ანჩაბაძე, წიტაიშვილი
*სათადარიგონი:* ჩხეიძე; რუხაძე, ო. გველესიანი
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ჯ. მუჯირი, ჭანკოტაძე, საჯაია, თოდუა, ლ. ნოზაძე, ზ. გვაზავა, ი. ხაჭაპურიძე (კობიაშვილი 72), ყიფიანი, ლ. მელქაძე (ვ. გოჩაშვილი 86), გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; დილმელაშვილი, დ. დოლიძე, რ. გოცირიძე, მორჩილაძე
გაფრთხილება: ქემოკლიძე (71)
მსაჯები: ი. კახიანი, ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ქუთაისი
4 მარტი
15 საათი
ტორპედო
5 000 (ტევადობა 23 800)

## ტორპედო 3:1 კოლხეთი

1:0, 2:0, 3:0 იონანიძე (7, 59, 67პ), 3:1 ქობულაძე (80)
მეგრელაძემ ვერ გაიტანა პენალტი (7)
ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი, შეყრილაძე, მახვილაძე, ამისულაშვილი, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი (მალლაკელიძე 86), დ. ჯანაშია (ასათიანი 77), მეგრელაძე (იმედაძე 46), იონანიძე
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; თურმანიძე, ვაჩიბერაძე, მ. ბობოხიძე
კოლხეთი: ქვაჩახია, გოროზია (გ. ჩიტაია 71), ტორჩინავა, დავითნიძე (ე. გვასალია 46), კედელაშვილი, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი, ხუჭუა (შავგულიძე 66), ფანჩულიძე, ღაღანიძე, მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* მ. გვასალია; პაპავა, ანჯაფარიძე, დ. კვირკველია
გაფრთხილება: დავითნიძე (29), ამისულაშვილი (87)
მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

ბათუმი
4 მარტი
15 საათი
დინამო
3 500 (ტევადობა 20 000)

## ბათუმი 6:0 იბერია

1:0 მუჯირი (28), 2:0 ხომერიკი (38), 3:0 მაჭუტაძე (39), 4:0 მუჯირი (51), 5:0 ქორიძე (57), 6:0 მაჭუტაძე (80)
ბათუმი: ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, მინდაძე, მ. მახარაძე, შ. ხუჯაძე, ა. მუჯირი, კობიძე (ღლონტი 46), გელა ქორიძე, ხომერიკი (აფხაზავა 60), ტულუში (თარგამაძე 73), მაჭუტაძე
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; ი. მახარაძე, სიხარულიძე, თედორაძე
იბერია: გ. დოლიძე, ჟვანია, დ. ნოზაძე, ხურციძე (ბანძელაძე 46), მიქელთაძე, ნ. გიორგაძე (ოდიკაძე 65), მ. ჯინჭარაძე, ს. გიგიაძე, კ. ჯანაშია (ლ. გიორგაძე 46), ივეჩიანი, მუმლაძე
*სათადარიგონი:* ა. ჩომახიძე, კ. ბობოხიძე, ლომინაშვილი, ადეიშვილი
გაფრთხილება: მუმლაძე (41), არჩვაძე (76)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე; დ. სანაია (ორივე სოხუმი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

ბოლნისი
4 მარტი
15 საათი
თემურ სტეფანია
1 500 (ტევადობა 14 000)

## სიონი 4:1 დილა

1:0 შენგელია (31), 2:0 კ. გოგოლაძე (56), 3:0 ისიანი (70), 4:0 ვოლკოვი (74პ), 4:1 ხორგუაშვილი (87პ)
სიონი: ვოლკოვი, მ. სამხარაძე, დიმიტრიშვილი, კ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მაზანიშვილი, მ. გოგოლაძე (დ. ჯაფარიძე 79), ისიანი (ფ. არჩვაძე 84), მოსეშვილი, ბ. შენგელია, კ. გოგოლაძე (ჩაგელიშვილი 76)
*სათადარიგოები:* დალაქიშვილი; თ. სამხარაძე, ა. ბოკერია
დილა: სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, კარელიძე, ლომიძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, ოლგესაშვილი (სულთანიშვილი 46), ხორგუაშვილი, არუთინიანი (საყვარელიძე 46)
*სათადარიგონი:* მდივანი; ვ. სამხარაძე, ლ. გოჩაშვილი, ფეზუაშვილი
გაფრთხილება: ისიანი (21)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ვ. ჩოჩიშვილი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

# «ბ» ზონა

თბილისი
3 მარტი
15 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

## ლოკომოტივი 4:1 ხობი

1:0 რუსია (41), 2:0 ხუროძე (61 პ), 3:0 ძოძუაშვილი (76), 3:1 აიანადი (83), 4:1 ხუროძე (84)
ლოკომოტივი: ლომაია (ნიკურაძე 78), გილაური (ლ. ჩხაიძე 65), პარამონოვი (დ. გოდერძიშვილი 46), აბრამიძე, გ. ჩიხრაძე, გ. ჩხაიძე, კვარაცხელია, ჭიჭვეიშვილი, ძოძუაშვილი, ხუროძე, რუსია
*სათადარიგონი:* სალუქვაძე, ბაქრაძე, ვ. გველესიანი, გ. გვაზავა.
ხობი: ნიქაბერიძე, ჯამბურია, ქაშიბაძე, ვ. ალანია (ჯღამაძე 66), ზურაბ აიანადი, ვ. ჩიტაია, გიორგაძე, ბულუხია, ბუკია (ოდიშარია 46), ჭიჭინაძე, დ. დანელია (ვართაგავა 75)
*სათადარიგონი:* აბაკელია, ჯიქია, ტყებუჩავა
გაფრთხილება: ბულუხია (34), გიორგაძე (45), ხუროძე (70)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ზ. ანიაშვილი (გორი);
სსფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

თბილისი
5 მარტი
15 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

## თბილისი 0:1 მერანი

0:1 თოლორდავა (64პ)
თბილისი: ბათიაშვილი, ზამთარაძე, კ. მელქაძე, პაპიძე, მაჭავარიანი, ნორაკიძე (ტყებუჩავა 59), ამაშუკელი, ბურდული, ი. შენგელია (ბარნოვი 46), გონჩაროვი, გადელია
*სათადარიგონი:* მამალაძე; კანდელაკი, ენუქიძე, კოხრეიძე, ყუფარაძე
მერანი: ნაჭყებია, ცქიფურიშვილი, ილურიძე, გ. კვეტენაძე, კარიაული, ბოლქვაძე (ამბიძე 69), კობესაშვილი, ხორხელი (ჯიშკარიანი 63), როსტიაშვილი, დევიძე, თოლორდავა (ივანიშვილი 88)
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; პ. ლურსმანაშვილი, მელიქია, ჭინჭარაული
გაფრთხილება: ცქიფურიშვილი (14), ბურდული (31), ნაჭყებია (89)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ხუციშვილი, მ. ურუშაძე (ყველა თბილისი); თ. ლაცაბიძე (სურამი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

მცხეთა
5 მარტი
15 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

## თსუ 1:0 სამგურალი

1:0 წუწუნავა (68)
თსუ: მერლანი, ბარქაია (დეკანოსიძე 55), ხართიშვილი, ებრალიძე, სვანაძე, ადამია, წუწუნავა (ა. ლობჟანიძე 90), მაზიაშვილი, მესხი, ერაძე, კვიციანი
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ფარქოსაძე, ქადაგიძე, ბ. ნოზაძე, დ. არჩვაძე
სამგურალი: სტურუა, ზურაბიანი, ჩხაბერიძე, სადილიანი, ფუტკარაძე (ბაბუნაშვილი 33), ძაგნიძე (ვადაჭკორია 60), სუხიაშვილი, ჭყონია, ფრანგიშვილი, ზ. ქუთათელაძე (კვერნაძე 68), ლონღაძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ნებიერიძე, დარსაძე, ჭელიძე
გაფრთხილება: სუხიაშვილი (35), სვანაძე (48), მაზიაშვილი (60)
მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი);
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 14 - იონანიძე | *ტორპედო* |
| 12 - აშვეთია | *დინამო* |
| ალექსიძე | *დინამო* |
| 9 - ქებაძე | *ლოკომოტივი* |
| 8 - გ. ქორიძე | *ვიტ ჯორჯია* |
| 7 - მეგრელაძე | *ტორპედო* |
| 6 - ლ. მელქაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| მ. კილასონია | *გორდა* |
| რუსია | *ლოკომოტივი* |
| ა. მუჯირი | *ბათუმი* |
| ხორგუაშვილი | *დილა* |

# 679 დღის შემდეგ...

## ქინქლაძემ გოლის გემო გაიხსენა

ᲬᲘᲜᲐ კვირას პრესამ ყველაზე მეტად გამოარჩია გიორგი ქინქლაძე, რომელმაც თავის კარიერაში მეხუთე პრემიერლიგური გოლი გაიტანა. გიომ „უიმბლდონის" მეკარე სალივანს შეცდომა 65-ე წუთზე დააშვებინა, რითაც ფაქტობრივად გატეხა მეტოქე. ამ გოლით ქინქლაძემ თავის უიღბლობასაც მოუღო ბოლო. ბოლოს მას ოფიციალურ საკლუბო დონეზე 679 დღის წინათ ინგლისის პირველ დივიზიონში „ქუინზ პარკ რეინჯერსისთვის" გაეტანა. ის შეხვედრა, რომელიც 2:2 დასრულდა, ქართველმა ფეხბურთელმა 1998 წლის 25 აპრილს ჩაატარა „მანჩესტერ სიტის" რიგებში.

ბულვარულმა „სანმა", „სანდი მირორმა" და „მირორმა" გასაოცარი ერთსულოვნება გამოამჟღავნეს. სამივე გაზეთმა ქინქლაძე მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა, „სანმა" სულაც „ნამდვილი გენიოსი" უწოდა მას და 9-იანი არგუნა. იგივე ნიშანი დაუწერა გიოს „მირორმაც", „სანდი მირორმა" კი იგი 8-იანით საუკეთესოდ მიიჩნია.

„ეს მისი საუკეთესო თამაში იყო მას შემდეგ, რაც ჩვენთან გადმოვიდა. მან გამოაცოცხლა გუნდი, ფეხბურთელები და მაყურებლები. ახლა ყველანი კარგ ხასიათზე ვართ" — განაცხადა „დების" მენეჯერმა ჯიმ სმიტმა.

11 მარტს კი ქინქლაძეს „ოლდ ტრეფორდი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" ელის. „სანმა" ეს მატჩი ქინქი-კინის დაპირისპირებად მონათლა. „მე მჯერა, რომ გიორგი „ოლდ ტრეფორდზეც" გაიბრწყინებს, მას ძალიან უნდა ესოდენ ძლიერ მეტოქესთან თავის გამოჩენა" — სწამს ჯიმ სმიტს.

„უიმბლდონის" ძლევის შემდეგ „დერბიმ" 2 ქულით გაუსწრო უშუალო კონკურენტ „ბრედფორდს", რომელიც „ტოტენჰემს" დაუზავდა.

დუბლი, თერთმეტ შეხვედრაში კი უკვე რვაჯერ გაიტანა ლაშა ჯაკობიამ. ეს მოხდა ბელგიის მეორე დივიზიონის ერთერთი ლიდერის, „მოლენბეკის" მოედანზე, 200 ფანის თვალწინ. ჯაკობიამ პირველივე ტაიმში მოშალა მეტოქის დაცვა და „ვეზეტი" შესვენებაზე ორბურთიანი უპირატესობით გაიყვანა. მერე კი მატჩის არბიტრსა და მასპინძელი ბელინქსის დრო დადგა. ამ უკანასკნელმა ჩვენებურის დუბლს დუბლითვე უპასუხა და შეხვედრა 2:2 დასრულდა.

ჯაკობიასთან დაკავშირებით არის კიდევ ერთი სიახლე — სამი წელი გავიდა, რაც ჯაკობია ბელგიაშია და იგი ავტომატურად გახდა ბელგიის მოქალაქე. უფრო სწორად, ლაშა ბელგიაში უცხოელად აღარ ჩაითვლება. თუმცა ეს მის ქართულ კარიერას ხელს ვერ შეუშლის, რადგანაც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში უკვე უთამაშია.

ამ ტურში კარგად ითამაშა გელა შეყილაძის „ლიერსმაც", რომელმაც იოჰან ბოსკამპის „გენკი" — 5:0 გაანადგურა. გელა მოედანზე 4:0-ზე გამოჩნდა.

ბუნდესლიგაში ლევან კობიაშვილის კუთხურიდან ჩაწოდებამ და მიულერის თავურმა „ფრაიბურგი" მარცხისგან იხსნა. იაშვილი კვლავაც ვერ ათამაშდა და ფინკემ იგი შესვენებისას გამოცვალა. „არმინიასთან" საშინაო ფრემ „აინტრახტს" შანსი მისცა, „ფრაიბურგს" ლიგაში ადგილისთვის შეეცილოს.

ჰოლანდიის მეორე დივიზიონში მდევართან 4-ქულიანი უპირატესობით გალიდერდა „ბრედა". არჩილმა სეზონში მე-12 გოლი გაიტანა და კლუბის საუკეთესო ბომბარდირად იქცა. მანამდე მან ბროერს გაატანინა, თავად კი მე-80 წუთზე პენალტით გამოირჩა. „აიაქსის" რიგებში კი არც ამჯერად გამოჩენილა შოთა. იგი კვლავ რეაბილიტაციის კურსს გადის.

მხოლოდ 15 წუთი ითამაშა ნიუკასლელმა თემურ ქეცბაიამ „ჩელსის" წინააღმდეგ, სადაც კვლავ არ ჩანდა რატი ალექსიძე. რობსონმა ქართველი მინდორზე მაშინ შეუშვა, როცა „არისტოკრატები" 1:0 იგებდნენ. „სანმა" — 6-იანით, „მირორმა" კი 5-იანით შეაფასეს ქეცბაიას თამაში. ეს პირველი საშინაო მარცხია „ნიუკასლისთვის" მას შემდეგ, რაც გუნდში რობსონი მივიდა.

ამ უქმეებზე კიდევ ოთხ ქვეყანაში განახლდა ჩემპიონატი, სადაც ქართველები გამოდიან. ავსტრიის „ზალცბურგმა" დაიბრუნა ვეტერანი ზაზა რევიშვილი, რომელიც ჯერ ბელგიის „მოლენბეკში", ბოლოს კი მაქსბუნდესლიგის აუტსაიდერ „ბრეგენცში" ჰყავდა განათხოვრებული. ზაზამ „ზალცბურგთან" ერთად გაიარა სამეორეწრეო მზადება, თუმცა მისი განაცხადში შეყვანა შეყოვნდა და ქართველსაც „გრაცერთან" არ უთამაშია „ზალცბურგში" ცვლილებაა — კრანკლის ადგილი სერბმა სპეციალისტმა პოლაკმა დაიკავა. ახლა „ზალცბურგი" მეშვიდე ადგილზეა.

შვეიცარიაში „ციურიხი" თასის მეოთხედფინალში გავიდა მას შემდეგ, რაც მეორედივიზიონელ „კარუჟს" 1:0 სძლია. მატჩში ორივე ქართველი მონაწილეობდა — ჯამარაულმა კარგად ითამაშა. 58-ე წუთზე შასომ სწორედ გოჩას მიერ წამოწყებული კომბინაციის შემდეგ გაიტანა. ყაველაშვილმა კი 68-ე წუთზე შეცვალა მეგოლე. მეოთხედფინალში „ციურიხს" კვლავ მეორე დივიზიონელი „ტუნი" ელის.

პოლონეთში ზამთრის ჩემპიონმა ხოჟუვის რუხ-მა მეორე წრე მოგებით განაახლა. გუნდმა შინ 3:1 დაამარცხა „პეტრო". მამია ჯიქია შემადგენლობაში ვერ მოხვდა.

როგორც იქნა, მეზობელ აზერბაიჯანშიც დამთავრდა შესვენება, რომელმაც ფედერაციასა და კლუბებს შორის კონფლიქტის გამო თითქმის ორ თვეს გასტანა. საბოლოოდ ფედერაციამ წამყვანი კლუბები ქულების ჩამოკლებითა და ფინანსური სანქციით დასაჯა. მათ შორის იყო ბადრი კვარაცხელიას „შამქირიც". ბოლო ტურში „შამქირმა" სტუმრად „თურანს" მოუგო, ერთი ბურთი ყოფილმა მერანელმა გაიტანა. კვარაცხელია 7 გოლით დაწინაურდა ბომბარდირთა დავაში, „შამქირი" კი „ნეფთჩისთან" ერთად ჩემპიონატის ლიდერია.

ისრაელში ჰაიფას „მაკაბიმ" გოგა გახოკიძის დისკვალიფიკაციით გამოწვეული კრიზისი დასძლია და 7:0 გაანადგურა თანაკლუბელები ნეთანიიდან. გიორგი დარასელიას ქვარ სავას „ჰაპოელმა" კვლავ წააგო და გავარდნის საფრთხის წინაშე დადგა.

ბულგარეთში მოიგო ქართველების „ბელასიცამ", მან „ბოტევი" დაამარცხა. ნინუას და ზირაქიშვილს არც ამჯერად უთამაშიათ, პირველმა სეზონის წინ ტრავმა მიიღო და ახლა იშუშებს.

საბერძნეთში სალონიკურ დერბიში არ უასპარეზია ლევან ქებაძეს. „ირაკლისი" კი 0:4 დამარცხდა პაოკ-თან, რომლის შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო ომარ თეთრაძე. ისევ წააგო გოდერძი ნატროშვილის „პანაჰაიკმა" და ლიგის დატოვება მასაც სერიოზულად დაემუქრა.

**სიმონ მენაბდე**

| სახელი გვარი | კლუბი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | შ | ჩელსი 0:1 | 15 | შეცვლაზე ითამაშა |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | უიმბლდონი 4:0 | 72 | გოლი, შეცვალეს |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | ნიუკასლი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| კახი ცხადაძე | მანჩესტერ სიტი | ს | კრ. პალასი 1:1 | 0 | ტრავმა |
| **გერმანია** | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | არმინია 1:1 | 45 | შეცვალეს |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | არმინია 1:1 | 90 | საგოლე პასი |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | არმინია 1:1 | 0 | ტრავმა |
| **ჰოლანდია** | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ს | ტვენტე 0:0 | 0 | |
| მეორე დივიზიონი | | | | | |
| არჩილ არველაძე | ბრედა | ს | დორტრეხტი 3:1 | 90 | 1 გოლი, საგოლე პასი |
| **ბელგია** | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | გენკი 5:0 | 22 | შეცვლაზე ითამაშა |
| მეორე დივიზიონი | | | | | |
| ლაშა ჯაკობია | ვეზეტი | ს | მოლენბეკი 2:2 | 90 | 2 გოლი, გაფრთხილება |
| **შვეიცარია** | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | კარუჟი 1:0 | 89 | შეცვალეს |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | კარუჟი 1:0 | 22 | შეცვლაზე ითამაშა |
| **საბერძნეთი** | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | შ | კალამატა 1:2 | 49 | შეცვალეს |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | ს | პაოკ 0:4 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა |
| **ავსტრია** | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | |
| ზაზა რევიშვილი | ზალცბურგი | ს | გრაცერი 0:2 | 0 | განაცხადში შეყვანას ელოდება |
| **პოლონეთი** | | | | | |
| პირველი ლიგა | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | პეტრო 3:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა |
| **ისრაელი** | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | |
| გიორგი დარასელია | ჰაპოელი (ქფარ სავა) | ს | მაკაბი (ფ) 0:1 | 90 | |
| გიორგი გახოკიძე | მაკაბი (ჰაიფა) | შ | მაკაბი (ნ) 7:0 | 0 | დისკვალიფიცირებულია |
| **ბულგარეთი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| კობა ნინუა | ბელასიცა | შ | ბოტევი 3:1 | 0 | ტრავმა |
| ზაზა ზირაქიშვილი | ბელასიცა | შ | ბოტევი 3:1 | 0 | |
| **აზერბაიჯანი** | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | |
| ბადრი კვარაცხელია | შამქირი | ს | ტურანი 3:1 | 90 | გოლი |



# შეწყვეტილი არდადეგები



რადომირ ანტიჩი



კლაუდიო რანიერი

„ამ კლუბში მუშაობის გასაგრძელებლად მოტივაცია აღარ მაქვს" — განაცხადა კლაუდიო რანიერიმ და „ატლეტიკო" მიატოვა.

გასული სეზონის შედეგების მიხედვით, ესპანელებმა იტალიელი სპეციალისტი წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს. მართლაც, რანიერიმ „ვალენსიას" ესპანეთის თასი მოაგებინა და ჩემპიონთა ლიგაშიც დაულოცა გზა. აი, „ატლეტიკოს" კი ვერაფერი მოუხერხა. რანიერის გადადგომისას მადრიდული კლუბი პრიმერა დივიზიონში მეჩვიდმეტე ადგილზე იყო. ამბიციური „ატლეტიკოსთვის" ეს კატასტროფის ტოლფასია და ესპანეთის თ... ს ნახევარფინალსა და უეფას თასის მერვედფინალში გასვლა დედაქალაქ...ლთათვის ვერაფერი ნუგეშია.

რანიერი... თქმით, მისი გადაწყვეტილება კლუბის ვიცე-პრეზიდენტ მიგელ ხუანესთან ყოფილა შეთანხმებული. თავად ხუანესი კი „ატლეტიკოს" საქმეებს მას შემდეგ განაგებს, რაც ჭირვეული პრეზიდენტი ხესუს ხილი გასული წლის 22 დეკემბერს ფინანსურ მაქინაციებში ამხილეს და გისოსებს მიღმა ერთი ოთახი გამოუყვეს. ცხადია, ხილი ციხეში დიდხანს არ გაჩერდებოდა და გირაოდ დატოვებული გვარიანი თანხის სანაცვლოდ გარეთ გამოვიდა. თუმცა ნერვიულობამ მასზე ძალიან იმოქმედა და ახლახან გულის შეტევით კლინიკაში მოხვდა. მართალია, ხესუს ხილი კლუბის საქმეებს ამჟამად ჩამოშორებულია, მაგრამ კლაუდიო რანიერიმ ზრდილობის ნორმები არ დაივიწყა და მასაც შეეხმიანა. „ხილს დავურეკე და ყველაფრისთვის დიდი მადლობა გადავუხადე" — დაამატა მწვრთნელმა.

მიუხედავად იმისა,. რომ რანიერიმ კლუბის მესვეურნი რამდენჯერმე გააფრთხილა თავისი გადადგომის შესახებ, ისინი იტალიელის გადაწყვეტილებამ მაინც შოკში ჩააგდო. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ მიგელ ხუანესი ამტკიცებდა, რანიერი „ატლეტიკოში" სეზონის ბოლომდე დარჩებაო. ამიტომაც ახალი მწვრთნელის საკითხი უსწრაფესად და მეტად კურიოზულ სიტუაციაში გადაწყდა.

რადომირ ანტიჩი, 50 წლის იუგოსლაველი მწვრთნელი, მადრიდის „ატლეტიკოს" აქამდე ორჯერ ედგა სათავეში. აქვე აღვნიშნოთ, რომ კლუბში პირველად მისვლისას ანტიჩმა ხესუს ხილის ხუშტურებს სარეკორდო დროის განმავლობაში — სამი სრული სეზონი გაუძლო, რაც მანამდე ვერავინ მოახერხა. ჰოდა, იუგოსლაველი ოჯახთან ერთად ესპანურ საკურორტო ქალაქ მარბელას (რომლის მერიც ბოლო დრომდე ხესუს ხილი გახლდათ) სტუმრობდა. ანტიჩს ძველი კლუბი მოენატრა და წინა ხუთშაბათს მადრიდში ჩავიდა, სადაც უეფას თასის მერვედფინალის პირველ მატჩში „ატლეტიკო" ფრანგულ „ლანსს" მასპინძლობდა. ყოფილმა მწვრთნელმა თამაშსაც უცქირა და ცხადია, ძველი მეგობრებიც ინახულა. მეორე დღეს, პარასკევს, კლაუდიო რანიერი პოსტიდან გადადგა. კვირას კი ჩემპიონატის მორიგ ტურში მადრიდელები სევილიურ „ბეტისს" ხვდებოდნენ და ახალი მწვრთნელი სასწრაფოდ უნდა მოეძებნათ. კლუბის თავკაცებსაც უმალ წინადღით ნანახი რადომირ ანტიჩი გაახსენდათ და მარბელაში მის ჩამოსაყვანად კაცი გაუშვეს.

ანტიჩისთვის ეს შეთავაზება სრულიად მოულოდნელი იყო, დაიბნა და... დათანხმდა. „ჯერაც ვერ გავრკვეულვარ — ამბობს ახალი მწვრთნელი — თავი სიზმარში მგონია. ოჯახთან ერთად ესპანეთში დასასვენებლად ჩამოვედი და... კონტრაქტის პირობები ბოლომდე არ შეგვითანხმებია, თუმცა დარწმუნებული ვარ, პრობლემები არ გვექნება. „ატლეტიკო" ის კლუბია, რომელთანაც საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს და სიამოვნებით ვბრუნდები."

რადომირ ანტიჩმა „ატლეტიკოს" 1995-96 წლების სეზონში ქვეყნის ჩემპიონობა და თასი მოაპოვებინა, მეორედ დაბრუნებული კი კლაუდიო რანიერიმ შეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ანტიჩთან კონტრაქტი ოფიციალურად ჯერ არ გაფორმებულა, „ბეტისთან" შეხვედრის დროს იგი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ის მატჩი ფრედ დასრულდა და „ატლეტიკო" მეთვრამეტე ადგილამდე დაქვეითდა. ასე რომ, იუგოსლაველი უმძიმეს ტვირთს შეეჭიდა.

**გიორგი დარჯანია**

**მადრიდის „ატლეტიკოს" მწვრთნელები ხესუს ხილი ხილის პრეზიდენტობისას**

| | | |
|---|---|---|
| 1987-88 | ლუის სესარ მენოტი | გაათავისუფლეს რვა თვეში |
| 1988 | ანტონიო ბრიონესი | ექვსი კვირა. ასრულებდა მწვრთნელის მოვალეობას |
| 1988-89 | ხოსე მარია მაგურეგი | სამი თვე |
| | ანტონიო ბრიონესი | ორი თვე (მ. შ.) |
| | რონ ატკინსონი | სამი თვე |
| | კოლინ ტისონი | ხუთი თვე |
| | ანტონიო ბრიონესი | თორმეტი დღე (მ. შ.) |
| 1989-90 | ხავიერ კლემენტე | შვიდი თვე |
| | ანტონიო ბრიონესი | ათი დღე (მ. შ.) |
| | ხოაკინ პიერო | ხუთი თვე |
| 1990-91 | სანტოს ოვეხერო | ერთი კვირა (მ. შ.) |
| | ტომისლავ ივიჩი | ცხრა თვე |
| | სანტოს ოვეხერო | ათი დღე (მ. შ.) |
| 1991-93 | ლუის არაგონესი | ცხრამეტი თვე (პირველი მწვრთნელი, ვინაც კლუბში სრული სეზონი იმუშავა) |
| | სანტოს ოვეხერო | ექვსი დღე (მ. შ.) |
| | ომარ პასტორიცა | ხუთი კვირა |
| | სანტოს ოვეხერო | ექვსი დღე (მ. შ.) |
| | კაჩო ერედია | სამი თვე (მ. შ.) |
| 1993-94 | ხავიერ პერეირა | სამი თვე |
| | კაჩო ერედია | თვრამეტი დღე (მ. შ.) |
| | ემილიო კრუზი | ორი თვე (მ. შ.) |
| | ხოსე ლუის რომერო | ხუთი კვირა |
| | სანტოს ოვეხერო | ოთხი კვირა (მ. შ.) |
| | ხორხე დალესანდრო | შვიდი კვირა |
| 1994-95 | პაჩო მატურანა | სამი თვე |
| | ხორხე დალესანდრო | შვიდი კვირა |
| | ალფიო ბასილე | სამი თვე |
| | კარლოს აგუიარი | ათი დღე (მ. შ.) |
| 1995-98 | რადომირ ანტიჩი | სამი სრული სეზონი |
| 1998-99 | არიგო საკი | რვა თვე |
| | კარლოს აგუიარი | ექვსი კვირა (მ. შ.) |
| | რადომირ ანტიჩი | სამი თვე |
| 1999-2000 | კლაუდიო რანიერი | შვიდი თვე |
| 2000 | რადომირ ანტიჩი | |

## ფეხბურთის [illegible]



**ინგლისურ** „ტოტენჰემს" 9,4 მილიონ დოლარად „უიმბლდონის" ფორვარდის, ჯონ ჰართსონის შეძენა სურდა, თუმცა სამედიცინო შემოწმების შემდეგ გადაიფიქრა. „ჰართსონის შეძენით დავინტერესდით, მაგრამ როდესაც ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა, მისმა ჯანმრთელობის მდგომარეობამ არ დაგვაკმაყოფილა. თავდამსხმელს შობამდე საკმაოდ რთული ოპერაცია ჩაუტარდა და სათანადო ფორმაში არ არის, ტრანსფერზე უარი სწორედ ამ მიზეზით განვაცხადეთ" — თქვა ლონდონური კლუბის პრესატაშემ, ჯონ ფენელმა.

**პორტუგალიელი სამართალდამცავები ჰოლანდიელ კოლეგებს შეჰპირდნენ, რომ ევრო 2000-ის მიმდინარეობის დროს გულშემატკივართა შესახებ ინფორმაციას მიაწვდიან. ცნობილია, რომ პორტუგალიელი ფანები ხულიგნური ქმედებით არ გამოირჩევიან, მაგრამ სამართალდამცავებმა ბელგია-ჰოლანდიაში სპეცდანიშნულების რაზმის გაგზავნა მაინც გადაწყვიტეს. მათი განცხადებით, ეს უსაფრთხოების დამატებითი გარანტია იქნება. ინგლისმა და გერმანიამ ევრო 2000-ის მასპინძელ ქვეყნებთან მსგავსი შეთანხმება თებერვალში გააფორმეს. ჰოლანდიის იუსტიციის მინისტრი მოლაპარაკებას ესპანელ კოლეგებთანაც აპირებს, უახლოეს მომავალში კი ალბათ, საფრანგეთს, იტალიას, თურქეთსა და სკანდინავიის ქვეყნებსაც ეწვევა.**

**მაროკოს** მეფე მოჰამედ VI ამ დღეებში ლიბიას ეწვია და მაროკო 2006-ის კამპანიაში მათ მხარდაჭერა სთხოვა. მეფის განცხადებით, აფრიკული ქვეყნების თანადგომა მაროკოს შანსებს, გახდეს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი, გაცილებით გაზრდის. ლიბიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მსგავსი ვიზიტები ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ ურთიერთობებსაც გააღრმავებს. მისივე თქმით, ლიბია მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატთაგან მხარს მაროკოს დაუჭერს.

**ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერ პსვ-ში მოასპარეზე ბელგიელი ფორვარდი ლუკ ნილისი მომავალი სეზონიდან „ასტონ ვილას" ღირსებას დაიცავს. ბირმინგემული კლუბი თავდამსხმელის გადაბირებას სეზონის ბოლოს ბოსმანის წესით აპირებს, რადგან ფეხბურთელს ივნისში პსვ-სთან კონტრაქტი უმთავრდება. მომავალი ორი წელი ნილისმა სწორედ „ასტონ ვილას" დაუკავშირა. ბელგიის ქალაქ ლიმბერგში დაბადებული ნილისის კარიერა „ანდერლეხტში" დაიწყო. ამის შემდეგ იგი პსვ-ში გადაბარგდა, 1995 წელს ბელგიის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და 21 გოლით ჰოლანდიური კლუბის ბომბარდირი გახდა.**

**ინგლისურ** „არსენალში" მოასპარეზე ფრანგ მსოფლიოს ჩემპიონ ემანუელ პეტის ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციისგან სასჯელი ელის. პრემიერლიგის უკანასკნელ ტურში, „ასტონ ვილას" წინააღმდეგ მატჩში, ნახევარმცველი უმსგავსოდ მოიქცა. მატჩის მიწურულს მაისურა გაიხადა და ბირმინგემელ გულშემატკივარს უხამსი ჟესტი უჩვენა. ინგლისის საფეხბურთო კავშირი ამ ფაქტს საგანგებოდ განიხილავს და ფეხბურთელი შესაძლოა, ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციითაც დასაჯოს.

**იტალიური „რომას" ფორვარდი ფაბიო ჟუნიორი უახლოეს მომავალში შესაძლოა ბრაზილიაში დაბრუნდეს და „კრუზეიროს" რიგებს შეუერთდეს. „რომას" ყოფილი თავკაცის, ზდენეკ ზემანის მიერ შეძენილი თავდამსხმელი ფაბიო კაპელოს გუნდის ძირითად შემადგენლობაში თითქმის ველარ ხვდება, ამიტომ რომის დატოვება გადაწყვიტა. „კრუზეიროს" ხელმძღვანელობა „რომას" პრეზიდენტ ფრანკო სენსისთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და დედაქალაქურ კლუბთან ახალი შეთანხმება შესაძლოა კვირის ბოლოს გააფორმოს. თვრამეტი თვის წინ 12 მილიონ დოლარად ნაყიდ ფაბიო ჟუნიორში „რომას" ახლა 6 მილიონს სთავაზობენ.**

**იტალიური** „ბოლონიას" ნახევარმცველმა ჯონათან ბინოტომ თითქმის ხუთთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ვარჯიში განაახლა. ბინოტომ შარშან ოქტომბერში მყესები დაიჭიმა და მას შემდეგ ველარ თამაშობს. „ბოლონიას" პრესატაშეს განცხადებით, ფეხბურთელმა ვარჯიში ორშაბათს დაიწყო.

**ინგლისურმა „ლივერპულმა" „ლესტერის" თავდამსხმელის, ემილ ჰესკის შეძენა მოისურვა. ინგლისური პრესა არ გამორიცხავს, რომ ყველაზე ტიტულიანი ინგლისური კლუბი 22 წლის შავკანიან ფორვარდს უახლოეს დღეებში გადაიბირებს და მას შაბათს „სანდერლენდის" წინააღმდეგ სადებიუტო მატჩში ათამაშებს. თუ მართლაც ასე მოხდა, ჰესკის „სანდერლენდთან" ერთკვირიან მონაკვეთში ზედიზედ მეორე შეხვედრის ჩატარება მოუწევს. შეგახსენებთ, რომ გასულ უქმეებზე „ლესტერმა" „სანდერლენდი" 5:2 დაამარცხა, ლესტერელთა რიგებს იმ მატჩში ემილ ჰესკიც იცავდა. გუნდის თავკაცი მარტინ ონილი ამბობს: „თუ ემილი წავა, ალბათ, ოდნავ გაგვიჭირდება, თუმც მას ინგლისის ყველაზე სახელოვან გუნდში გადასვლის შანსი მიეცა და ჩვენ ვერ შევაჩერებთ".**

**ბულგარული** სოფიის ცსკა-ს მთავარ მწვრთნელად გუნდის ყოფილი თავდამსხმელი სპას ჟევიზოვი დაინიშნა. მან ამ თანამდებობიდან ცოტა ხნის წინ გათავისუფლებული დიმიტარ პენევი შეცვალა. ცსკა ბულგარეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და ლიდერ სოფიის „ლევსკის" 9 ქულით ჩამორჩება. 44 წლის ჟევიზოვი ქვეყნის მეორე დივიზიონში მოსპარეზე „ტარნოვოსა" და „პასკოვოს" თავკაცობდა, მანამდე ერთხანს კვიპროსულ „ალკი ლარნაკას" ავარჯიშებდა. 54 წლის პენევმა კი ბულგარეთის ნაკრები 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში მოახვედრა.

**ესპ...ი „სევილიას" მთავარი მწვრთნელი მარკოს ალონსო თანამდებობიდან დაითხოვეს. გუნდი აშკარა კრიზისს განიცდის, 20 შეხვედრიდან მხოლოდ 27 ქულა აქვს და პრიმერადივიზიონის დატოვების აშკარა საფრთხე ემუქრება. „ბარსელონასა" და ესპანეთის ნაკრების ყოფილმა წევრმა, 40 წლის ალონსომ სევილიური გუნდი წინა სეზონში ჩაიბარა, წლეულს კი კლუბი წარუმატებლად ასპარეზობს და სეზონში ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი მატჩი მოიგო. უკანასკნელ ტურში „სევილია" „ვალიადოლიდთან" დამარცხდა — 0:1. ეს მატჩი ალონსოს სევილიურ კარიერაში უკანასკნელი აღმოჩნდა.**

# სკუდეტომდე 25 ქულა დარჩა

*სერია A-ს ბოლო ტურში ყურადღების ცენტრში მილანური დერბი გახლდათ — „ინტერმა“ „მილანს“ 2:1 მოუგო. ამ დამარცხების შესახებ დღეს „შავ-წითელთა“ ვიცე-პრეზიდენტი, ადრიანო გალიანი გვესაუბრება.*



ადრიანო გალიანი

**— „მილანმა“ დერბიში წააგო. თქვენ რას იტყოდით ამ მარცხის შესახებ?**

— „ინტერმა“ ჩვენზე უკეთ ითამაშა და სავსებით იმსახურებდა გამარჯვებას. ახლა, ამ კვირის განმავლობაში, კარგად უნდა გავაანალიზო, რა მოხდა. ჩვენ ხომ ზედიზედ ოთხი მატჩის განმავლობაში ჩინებულად ვმოქმედებდით, გამომგონებლურ ფეხბურთს ვთამაშობდით და უამრავ მომენტს ვქმნიდით, მერე კი ბოლო ორ კვირაში მხოლოდ ერთი გოლი შევაგდეთ და ისიც პენალტით. ორი ტურის წინ „მილანს“ ლიგაში საუკეთესო თავდასხმა ჰყავდა, დღეს კი უპირატესობაც გამქრალა. მოკლედ, ფესვებამდე უნდა გამოვიკვლიოთ ყველაფერი.

**— თუ „ინტერი“ ტიტულის მაძიებელთა შორის დაბრუნდა, „მილანი“, ჯერ, აშკარად იქაა. ასე არ არის?**

— თუკი „რომა“, რომელიც ქულებით ჩვენს ტოლადაა და იგივე „ინტერი“, ერთით მეტი რომ აქვს, საკუთარ თავს სკუდეტოს მაძიებლად მიიჩნევენ, მაშინ „მილანს“ რაღა აქვს სანერვიულო? ჩემი ერთადერთი საფიქრალი ისაა, როგორ ჩაატარებს „მილანი“ დარჩენილ 10 თამაშს, ისე, როგორც „კალიარისთან“ შეხვედრამდე თუ ისე, როგორც „ინტერთან“? თუ ისევე გავაგრძელებთ, როგორც „კალიარისთან“ მატჩამდე, მაშინ ნებისმიერი ტიტულისთვის შევძლებთ ბრძოლას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ვერაფერს მივაღწევთ. „მილანი“, რომელიც დერბის დღეს იხილეთ, ნამდვილი „მილანის“ ჩრდილია. მომავალი ჩვენს ხელშია, მოწინააღმდეგეები არ მაინტერესებს.

**— რა იყო თქვენი პირველი ფიქრი მატჩის დამთავრებისთანავე. იქნებ ეს ტაქტიკის გამო სულაც არ წაგვიგია, მთავარი მიზეზი ნახევარდაცვის სისუსტე იყო.**

— დღესაც იმას ვამბობ. ტაქტიკურად ორივე გუნდმა ჩინებულად ითამაშა. როგორც ჩვენ, ასევე „ინტერი“ 3-4-1-2 განლაგებით იყო მოედანზე. არა, ტაქტიკის გამო ნამდვილად არ წაგვიგია, მაგრამ პერსონალურ მეურვეობაში შავ-თეთრებმა გვაჯობეს. მაგალითად, კრისტიან პანუჩიმ სერჟინიოს სძლია, ხავიერ ძანეტიმ — ჯენარო გატუზოს, ხოლო მათმა ცენტრალურმა ნახევარმცველებმა — ჩვენსას.

**— ძალიან შეშფოთებული ხართ?**

— ბოლო ორ შეხვედრას შეუძლებელია, ძალიან შევეშინებინეთ, რადგან საკმაოდ ძლიერნი ვართ საიმისოდ, რომ თავი ხელში ვერ ავიყვანოთ და ნამდვილი თამაში ვერ ვაჩვენოთ. ახლა, „ვერონას“ ვხვდებით და მოგებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იმავე ტურში „ლაციო“ „ინტერს“ ხვდება. ჩემპიონატის ამ ეტაპზე ლიდერთა ურთიერთშეხვედრები გადამწყვეტი იქნება.

**— რას იტყვით ყბადაღებულ 70 პროცენტზე. ალბათ, „მილანს“ ჯერ კიდევ ბევრი ქულა აქვს მოსაპოვებელი.**

— მიზნის მისაღწევად დარჩენილ 10 შეხვედრაში 25 ქულა უნდა მოვიპოვოთ. ეს ძალიან ძნელი საქმე იქნება, მაგრამ შეუძლებელი ნამდვილად არ არის. დახეთ „პარმას“, ყველა ამბობს, რომ ამ გუნდს საშინელი კრიზისი უდგას, არადა აღარავის ახსოვს ის გამარჯვებები, პარმელებმა შემოდგომაზე რომ მოიპოვეს. ყველას აქვს პიკი და ჩავარდნა.

**— იტალიაში ბევრმა მოისმინა გადაცემა „კონტრაკამპოში“ თქვენი პირდაპირი ჩართვა.**

— მეგონა, შეკითხვებს დამისვამდნენ, მათ კი დამაყენეს და თავიანთი აზრები მასმენინეს. ფაქტობრივად, ერთი კომენტარიც ვერ ჩავსვი.

**— „მილანს“ სერიოზული გამოცდა ელის. ორი შედარებით იოლი (თუ იოლი გამოდგება) თამაშის შემდეგ „იუვენტუსს“ უნდა უმასპინძლოთ.**

— იოლი თამაში არ არსებობს. სეზონის პირველ მონაკვეთში, მაგალითად, ჩვენ „ვერონასთან“ ფრედ ვითამაშეთ და ძალიან გაგვიკვირდა,. ვენეციაში, მაგალითად, „ინტერის“, „ლაციოს“ და „ფიორენტინას“ მსგავს გიგანტებსაც გაუჭირდა — ყველანი დამარცხდნენ.

**— რაკი „იუვენტუსი“ ვახსენეთ, აღვნიშნოთ, რომ მასთან შეხვედრის დღეს სამხრეთ ამერიკელი ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევში სათამაშოდ, მშობლიურ კონტინენტზე იქნებიან წასული.**

— რაც ძალიან დიდი დანაკლისი იქნება. ჩვენ დღენიადაგ ვესაუბრებით ფიფას, რათა გამოსავალი მოვძებნოთ და წამყვან მოთამაშეთა ხშირ წასვლას თავი დავაღწიოთ. მაგალითად, რომაული დერბი 26 მარტსაა, იმ დღეს კი ბევრი ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებში იქნება გამოძახებული. საკითხზე ფიქრი ერთობლივად გვმართებს. ასე ჩემპიონატი მახინჯდება და მართალია, სხვადასხვა პროპორციით, მაგრამ ყველა გუნდი ზარალდება.

**— ბოლოხანს შემადგენლობის ცვლის პრინციპზე ბევრი ითქვა. რამდენიმე თვის წინ არიგო საკიმ სულაც ორი გუნდის ყოლის აუცილებლობაზე ისაუბრა. ეთანხმებით ამ იდეას?**

— ჯერჯერობით, ჩემპიონთა ლიგის არსებული ფორმატიდან გამომდინარე, ეს განუცხორციელებელი იდეაა, მაგრამ თუ მომავალში ლიგა რეგულარულ ჩემპიონატს დაემსგავსება, მაშინ ორი შემადგენლობა აუცილებელი გახდება. დღეს, ნებისმიერი გუნდი ჩემპიონთა ლიგას ექვსი თამაშის შემდეგ შეიძლება გამოეთიშოს — რაც, მაგალითად ჩვენ შეგვემთხვა — ასეთ შემთხვევაში კი ორი გუნდის ყოლა როგორც ფინანსური, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია.

**— და როდის დაემსგავსება ჩემპიონთა ლიგა რეგულარულ პირველობას?**

— როდესაც მის მონაწილე გუნდებს 11-ის ნაცვლად 17 შეხვედრა ექნებათ ჩასატარებელი. თუმცა იმის თქმა, რომ ასეთი ფორმატის შემოღების შემთხვევაში მდიდარი კლუბები სიხარულით ცეკვას მორთავენ, არ შეიძლება. ჩვენ, უბრალოდ, მეტ შეხვედრებს ვითხოვთ, რადგან ასე გადარჩენისთვის აუცილებელ მეტ თანხებს მოვიზიდავთ. „ლაციო“, მაგალითად, დღესაც სამ ფრონტზე იბრძვის. სხვა ევროპული გუნდებიც ასე არიან და ერთობ წარმატებითაც ართმევენ ამოცანას თავს.

**— დერბის დღეს კლარენს ზეედორფის თამაშის სანახავად „სან სიროზე“ ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი, ფრანკ რაიკაარდი იყო მოსული. ესაუბრეთ მას?**

— არა, სამწუხაროდ არ შევხვედრივარ, მაგრამ, სამაგიეროდ, ვნახე ჟორჟ ვეა, რომელიც დღესაც ჩვენი ოჯახის წევრია.

თარგმნა პაპუნა ძედიამ

## ალვარო რეკობა

დაიბადა 1976 წლის 17 მარტს, მონტევიდეოში
სიმაღლე: 179 სმ, წონა 79 კგ
დებიუტი სერია A-ში: 1997 წელს

ექვსი თვის წინ ურუგვაელი ალვარო რეკობა ერთ-ერთი მათგანი გახლდათ, ვინც მილანის „ინტერმა“ მოსინჯა და დაიწუნა, მაგრამ ჩუმად მოლაპარაკე 23 წლის ყმაწვილი ორშაბათის იტალიური პრესის კითხვისას, ალბათ, ძალიან კმაყოფილი გახლდათ — „ინტერმა“ „მილანს“ დერბიში 2:1 მოუგო და ამ გამარჯვების სულისჩამდგმელად ყველანი ერთხმად სწორედ რეკობას ასახელებდნენ.

„რეკობასნაირი მოთამაშე თუ გყავს, ყველაფერი შესაძლებელია“ — განაცხადა „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ „კორიერე დელო სპორტის“ კორესპონდენტთან საუბრისას.

გასულ კვირას მოპოვებულმა გამარჯვებამ „ინტერი“ მესამე ადგილზე გადაიყვანა და ფაქტობრივად, სეზონიც გარდაუსახა. ახლა, შაბათს, შავლურჯები „ლაციოს“ ხვდებიან და რომელიც გაიმარჯვებს, უმრავლესობის აზრით, სკუდეტოსთვის ბრძოლაში „იუვენტუსის“ მთავარი კონკურენტი გახდება.

და თუ „ინტერი“ ძალებს მოიკრებს და 11 წლის შემდეგ კვლავ იტალიის ჩემპიონი გახდება, ალვარო რეკობას უეჭველად ერთ-ერთ უმთავრეს გმირად შერაცხავენ.

სამი სეზონის წინ, როდესაც რეკობა იტალიაში ჩაიყვანეს, მას სამხრეთ ამერიკაში შეძენილ ერთ-ერთ უნიჭიერეს ახალგაზრდა ფეხბურთელად მიიჩნევდნენ, მაგრამ სერია A-ს ამბავი მოგეხსენებათ — აქ თანმიმდევრული შრომისა და განვითარებისთვის დრო არავის აქვს, მითუფრო მათ, ვის შეძენაშიც დიდი თანხა დაიხარჯა. ჰოდა, „ინტერის“ შემადგენლობაში ჩატარებული ცხრა შეხვედრის შემდეგ ურუგვაელი გასულ სეზონში „ვენეციას“ ათხოვეს. მოკლედ, მილანელი ჟამთაღმწერლები რეკობას მათ სიაში ჩასაწერად მოემზადნენ, ვინც „სან სიროზე“ გამოჩნდა და გაქრა, მაგრამ პირიქით მოხდა. ვენეციაში გაუჩინარების ნაცვლად ახალგაზრდამ მის ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი და „ინტერის“ ხელმძღვანელებს აჩვენა, თუ ვისი დაკარგვის საშიშროების წინაშე იდგნენ.

რეკობამ, „ვენეციის“ შემადგენლობაში, 19 თამაშში 10 გოლი გაიტანა, ზოგადადაც საუცხოოდ ითამაშა და, შეიძლება ითქვას, გუნდი ლიგიდან გავარდნას გადაარჩინა. შედეგად, „ინტერის“ ახალი თავკაცი მარჩელო ლიპი მისი მილანში დაბრუნებით დაინტერესდა.

—მაგრამ ამ დროს დახეთ რა ხდება: იმავ ლიპის „ლაციოდან“ კრისტიან ვიერი გადაჰყავს და გამოდის, რომ ურუგვაელმა ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად კონკურენცია ივან სამორანოსა და რობერტო ბაჯოს უნდა გაუწიოს. შესაბამისად ისევ იწყება ლაპარაკი რეკობას სხვაგან გადასვლაზე, თუმცა ვინაიდან ვიერის, სამორანოსა და რონალდოს საქმე საექიმოდ გაუხდათ. იგი ბუნებრივად ჩნდება მოედანზე და შანსს ხელიდან არ უშვებს.

რეკობა ძირითადად თავდამსხმელთა უკან იკავებს ადგილს და მათთვის საგოლე პასის გადაწოდების საშუალებას ეძებს. თუმცა ძლიერი და ზუსტი ცაცია დარტყმების გამო ნაწილობრივ თავადაც ალიქმება მეგოლედ.

ამასწინათ ერთმა რადიოკომენტატორმა მის შესახებ ასე თქვა: „ზინედინ ზიდანის შემდეგ სერია A-ში ყველაზე შემოქმედი ფეხბურთელი ალვარო რეკობაა“.

მოვუსმინოთ თავად ურუგვაელს: „დღეს ყველა რონალდოსა და ვიერიზე ლაპარაკობს, ჩემზე და სამორანოზე კი არავინ არაფერს ამბობს, მაგრამ გვერწმუნეთ, ჩვენ დავამტკიცებთ, რომ გუნდს ვჭირდებით“.

თუმცა, მთლად ეგრეც არ უნდა იყოს, ახლა სწორედ რეკობაზე ლაპარაკობენ.

„მან ადგილი იპოვა და გვაჩვენა, რომ საქმისადმი თავდადებულია. დღეს მისთვის ადგილის წართმევა ძალიან ძნელი იქნება“ — ბრძანებს „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი.



ალვარო რეკობა (№20) ჯენარო გატუზოს წინააღმდეგ


## რა განსხვავებაა გაზეთ „სარბიელსა“ და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?

- გაზეთი „სარბიელი“ თითქმის ათი წელიწადია რაც გამოდის, ჟურნალ „სარბიელს“ კი მკითხველი ამ დღეებში გაეცნობა.
- გაზეთი „სარბიელი“ კვირაში ხუთჯერ მიდის მკითხველთან, ჟურნალი „სარბიელი“ თვეში ერთხელ მიჰყა.
- გაზეთი „სარბიელი“ შავ-თეთრია, ჟურნალი „სარბიელი“ — ფერადი.
- და რა არის საერთო გაზეთ „სარბიელსა“ და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?

ორივე სარბიელია



# უნგრული რექვიემი



უნგრელი იანოშ მატიუში (№4) და ავსტრალიელი მარკ ვიდუკა

დღეს უცხოურ ფეხბურთზე საუბრისას უპირველესად იტალიურ, ინგლისურ და ესპანურ კლუბებს ვახსენებთ. დასავლეთევროპულ და სამხრეთამერიკულ ნაკრებებსაც დიდ ყურადღებას ვაქცევთ. მაგრამ, ვფიქრობ, უნგრული ფეხბურთის პრობლემებმაც უნდა დაგვაინტერესოს. მით უმეტეს, უნგრეთი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვე შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მომავალი მეტოქეა.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც უნგრეთის ნაკრებს „დიდ გუნდს" უწოდებდნენ. დავიწყებას მიეცა ის ფაქტიც, რომ უნგრეთმა 1953 წლის 25 ნოემბერს ლონდონში, „უემბლიზე", ინგლისს 6:3 მოუგო და პირველი არაბრიტანული ნაკრები შეიქნა, ვინაც ინგლისელებს სამშობლოში დამარცხების სიმწარე აგემა. დღეს უნგრელებს აღარც ფერენც პუშკაშის და იოჟეფ ბოჟიკის დარი ფეხბურთელები ჰყავთ — მათ ხომ უნგრულ ფეხბურთს საყოველთაოდ გაუთქვეს სახელი, ხოლო უნგრელი მწვრთნელები ორმოცდაათიან და სამოციან წლებში მთელ მსოფლიოში იყვნენ გაფანტულნი. არც უნგრული კლუბები გახლდნენ ხელწამოსაკრავნი. 1965 წელს „ფერენცვაროშმა" ბაზრობათა თასის (ახლანდელი უეფას თასი) ფინალში „იუვენტუსს" 1:0 მოუგო და საკლუბო დონეზე უნგრეთს პირველი დიდი გამარჯვება მოუტანა. მას შემდეგ იმავე „ფერენცვაროშმა", მტკ-მ, „უიპეშტმა" და „ვიდეოტონმა" კიდევ ხუთჯერ გააღწიეს ევროთასების ფინალში, თუმცა ხუთჯერვე დამარცხდნენ. შემდეგ იყო ჩავარდნა, რომელიც დღემდე გრძელდება.

უნგრეთი მოახლოებული ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ გავიდა და 2004 წელს ამავე ტურნირის მასპინძლობის უფლების მოპოვებისთვის ბრძოლა პორტუგალიასთან დათმო. ახლახან კი მშობლიურ „ნეპშტადიონზე" ამხანაგურ მატჩში ავსტრალიასთან 0:3 წააგო. და რა ხდება უნგრეთის ჩემპიონატში? ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი კლუბი, 1929 წელს დაარსებული „სეგედი" გაკოტრდა. საშობაო არდადეგების შემდეგ „სეგედი" ხუთი ფეხბურთელის ამარა დარჩა და სანამ ექვს კაცს მაინც იპოვნიან, წაგებები ეთვლებათ. გამოსავალი კი არ ჩანს. პირველი დივიზიონის მეორე კლუბ „გასერს" საქმეები ისე წაუვიდა, რომ დაბალდივიზიონელმა „პეჩმა" შეიძინა. რამდენიმე გუნდიც რიგში დგას. „ვაცს", „დიოშდიორს" და „ნადიკანიჟას" გვარიანი დავალიანებები დაუგროვდათ და ფული დროულად თუ ვერ იშოვეს...

აგერ უკვე ათი წელია, რაც უნგრეთი კაპიტალიზმის გზას დაადგა. ისევე, როგორც ყველაფრის, ფეხბურთის აღორძინებასაც ფული სჭირდება. სახელმწიფო მცირეოდენ სუბსიდიებს გამოყოფს, რომელიც ძირითადად დედაქალაქის კლუბებისთვის არის განკუთვნილი. აი, საქმეს რამდენი ხმარდება, სულ სხვა საკითხია. ბილეთები, უფრო სწორად, მათი ფასი კიდევ ერთი პრობლემაა. ბილეთების გაძვირებას აზრი არ აქვს — ვერ გაიყიდება. იაფფასიანი ბილეთები კი კლუბებს სამგზავრო ხარჯებსაც ვერ უნაზღაურებს.

ბუდაპეშტის ერთ-ერთი მსხვილი სარეკლამო სააგენტოს წარმომადგენელი ამბობს: „სტადიონზე მისულ გულშემატკივართა რაოდენობისა და თამაშის ხარისხის შემხედვარე ადამიანს ფეხბურთში ფულის დაბანდების ხალისი უქრება".

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის ახალი, ნოვატორი პრეზიდენტი იმრე ბოჟოკი აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში საფუძვლიანი გარდაქმნა შეუძლებელია. ამას წლები სჭირდება. მომავალი სეზონიდან კი ეროვნული ჩემპიონატის სტრუქტურა შეიცვლება. თუმცა კონკრეტული გეგმა ჯერაც არ არსებობს. რა გასაკვირია, რომ მოუწესრიგებელი ჩემპიონატი ნაკრების თამაშზეც მოქმედებს. უნგრელთა მწვრთნელი ბერტალან ბიჩკეი ამბობს: „კლუბებში შექმნილი ქაოსური მდგომარეობა ნაკრებზეც უარყოფით გავლენას ახდენს. მაგალითად, შარშან „უიპეშტიდან" შვიდი თუ რვა ფეხბურთელი გვყავდა. ახლა კლუბს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს. ამან კი მოთამაშეთა ფორმაზე იმოქმედა და არც ერთი მათგანი ნაკრებში აღარ ამყავს. როდესაც ისინი ყოველდღიურად გაუცემელ-დაგვიანებულ ხელფასებზე ფიქრობენ, ფეხბურთი როგორღა ითამაშონ?"

აი, ასეთი მეტოქე ერგო საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. ცხადია, უნგრეთი ძლიერი გუნდი არ არის, მაგრამ იმ პრობლემათა დიდი ნაწილი, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ჩვენთვისაც რომ კარგად ნაცნობია?

**გიორგი დარჯანია**

## კოსმოპოლიტური მიმოხილვა

კასპის რაიონის სოფელ იგოეთში ერთმა სენსაციურმა ამბავმა ჩაგვიყვანა. თავიდან თავად არ გვჯეროდა იმისა, რაც შევიტყვეთ, მაგრამ ადგილზე ჩასვლისა და მოწმეთა ხილვის შემდეგ აზრი შევიცვალეთ და დღეს ეს ამბავი თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს.

...იგოეთში ჩასულებმა მონშერა ჩადუნელის ოჯახს მივაკითხეთ, სადაც ბატონი მონშერა მეუღლე ლუიზასთან, ქალ-ვაჟთან, ემზარასა და ლამზირასთან და შვილიშვილებთან ერთად დაგვიხვდა. გაცნობისა და სალამ-ქალამის შემდეგ მასპინძლებს ჩვენი ჩასვლის ნამდვილი მიზეზი შევაპარეთ და პასუხად ეს მივიღეთ:

— თქვენი... დამპლიშვილებო, თქვენა. აი, თურმე რა ლოქოცა გდომებიათ, გაეთრიეთ ჩემი ბალ-ბოსტნიდან, თორეი... — დასჭექა ბატონმა მონშერამ.

სხვა რა დაგვრჩენოდა. ის-ის იყო, ბალ-ბოსტნის ჭიშკარს მივუახლოვდით, რომ ზურგსუკან ქალის სლუკუნი მოგვესმა. შემოვბრუნდით და ქალბატონი ლუიზა შეგვრჩა ხელთ. დანარჩენი ატმის ხეს მოფარებულებმა მისგან შევიტყვეთ.

„მონშერა კუბაზე გავიცანი და ცოლად წამოვყევი, მაგრამ უკვე შვილი მყავდა, ედსონაი ერქვა — თქვა ქალბატონმა ლუიზამ ტირილითა და ძლიერი პორტუგალიური აქცენტით — იგოეთში რო ჩამოველი, ედსონაი თორმეტი წელიწადი ჩემთან მყავდა, მაგრამ მონშერა ვერა ჰგუობდა და ბოლოს ვალეს ბავშვთა სახლში ჩამაბარებინა. ორი წელიწადი ვითმინე, მერე კი ჩუმად გავიპარე და ვალეში ჩაველი, სადაც გავიგე, რომ ვიღაც სოციალიზმის მტრებს ჩემი ბიჭი ღამით წაუყვანიათ, თურქეთში გადაუპარებიათ და გაუყიდიათ. გავიდა ხანი და ერთხელაც, მესმის, ემზარაი ღრიალებს. გული გამისკდა, ბაღჩიდან შინ შევვარდი და ვხედავ, რადიოს უსმენს. რადიოში კი ფეხბურთაობას გადმოსცემენ. რა გაღრიალებს-მეთქი. ჩუ, უსმინეო. მოვისმინე, და ცუდათ გავხდი, ჩავიკეცე... ის იყო... ვიცანი... ედიკოზე ამბობდნენ... მიხრა-მოხრაზე მივხვდი...

— თუ გახსოვთ, რომელი წელი იყო?

— სამოცდაათი.

— მერე დაუკავშირდით?

— ვერა. კაკებიდან მოვიდნენ, მონშერას უთხრეს, გაჩუმდი და „ვოლგას" მოგცემთო, სურათიც წაიღეს.

ქალბატონ ლუიზას რომ დავემშვიდობეთ, სოფლის ბირჟაზე გავედით, სადაც მთვრალ ვახტანგას ანუ იგივე ვახტანგინიოს გადავეყარეთ.

— მე და ედსონაი ემანდ, ეკლესიასთან, ტრასაზე, ხურდებს ერთად ვკრეფავდით, მერე პაპიროსებს ვყიდულობდით. თუ ვინმე დაკეცილ თუმნიანს გადმოაგდებდა, ედოი ფეხისწვერით აკრავდა და კისერზე შეიგდებდა — გვითხრა ვახტანგინიომ და დალმა დაეშვა, რის შემდეგაც ჩვენი ყველა მცდელობა დავწეოდით და მისგან მეტი შეგვეტყო, წარუმატებლად დასრულდა.

მაშ ასე, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ფეხბურთის მეფე, პელე, ერისკაცობაში ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუ და იგოეთელი ედსონა ერთი და იგივე პიროვნებაა, თუმცა ამის კატეგორიულად მტკიცება ჯერ არ შეიძლება. საჭიროა მეტი დაკვირვება. მაგალითად, ვაპირებთ ატმისა და ვაშლის კრეფის დროს ფარული დიქტოფონით ჩავუსაფრდეთ ემზარა ჩადუნელს და დავაკვირდეთ, როგორ ყრის ნაყოფს კალათაში. თუ ამას მაკრატელათი აკეთებს, მაშინ დამალულს ფარდა აეხდება, მაგრამ მანამდე ყველას ვთხოვთ, ზედმეტი საუბრისგან თავი შეიკავოს, რათა პელეს ბრაზილიის სპორტის მინისტრის პოსტზე მუშაობაში სირთულეები არ შეექმნას.

დამოუკიდებელი გამოძიების მოყვარულთ საქმის გაიოლებისთვის ვაცნობებთ, რომ ბრაზილიის მმაჩის ბიუროსთან დაკავშირებას აზრი არ აქვს. ჩვენ ეს უკვე ვცადეთ და პასუხად, ფაქსით, პელეს ბიოგრაფიის ოფიციალური ვერსია (მამა დონდინიუ, დედა სელესტე) მივიღეთ, რასაც თან დონდიუს ფეხის ანაბეჭდებიც ახლდა.

თუ რამე ახალი შევიტყვეთ, შეგატყობინებთ.

**ბაბუნა ძედია**

**კი მაგრამ, საპრეზიდენტო არჩევნები ხომ მოახლოვდა, ოცდაოთხსაათიან დენს რატომ არ გვაძლევენ?**



პელე და აქლემი

### რუმინეთი

21-ე ტური

ბრაშოვი — არჯეში 2:1; როკარი — ოცელული 3:2; ფარული — ასტრა 1:1; ონეშტი — ბაკეუ 1:0; პეტროლული — გლორია 1:2; რეშიცა — უნივერსიტატეა 0:0; ექსტენსივი — დინამო 0:1; ნაციონალი — ჩეჰლაული 5:1; რაპიდი — სტიაუა 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 18 | 2 | 1 | 59:15 | 56 |
| რაპიდი | 21 | 13 | 4 | 4 | 37:22 | 43 |
| არჯეში | 21 | 13 | 3 | 5 | 32:17 | 42 |
| ჩეჰლაული | 20 | 11 | 4 | 5 | 27:25 | 37 |
| გლორია | 21 | 11 | 2 | 8 | 29:26 | 35 |
| ასტრა | 21 | 9 | 4 | 8 | 32:25 | 31 |
| სტიაუა | 20 | 9 | 3 | 8 | 38:39 | 30 |
| უნივერსიტ. | 21 | 8 | 5 | 8 | 26:20 | 29 |
| ბაკეუ | 21 | 8 | 5 | 8 | 21:25 | 29 |
| პეტროლული | 21 | 7 | 4 | 10 | 25:33 | 25 |
| ბრაშოვი | 21 | 7 | 3 | 11 | 31:31 | 24 |
| ოცელული | 21 | 7 | 3 | 11 | 33:36 | 24 |
| როკარი | 20 | 8 | 0 | 12 | 27:33 | 24 |
| ონეშტი | 21 | 7 | 3 | 11 | 25:44 | 24 |
| ფარული | 21 | 6 | 5 | 10 | 25:35 | 23 |
| ნაციონალი | 20 | 6 | 4 | 10 | 27:26 | 22 |
| რეშიცა | 21 | 4 | 6 | 11 | 25:46 | 18 |
| ექსტენსივი | 21 | 4 | 2 | 15 | 15:38 | 14 |

### იტალია

სერია C1/B

კროტონე 2:1 არეცო

### უნგრეთი

მე-19 ტური

ნადიკანიჟა — ვაცი 3:1; ტატაბანია — მტკ 0:4; შიოფოკი — ზალაეგერსეგი 1:1; დიოშდიორი — დიორ ეტო 2:0; დებრეცენი — ნიირშეგი 2:0; ფერენცვაროში — პეჩი 4:1; ჰონვედი — ვაშაში 0:4, უიპეშტი — დუნაფერი მატჩი 44-ე წუთზე (0:1-ზე) შეწყდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 18 | 11 | 6 | 1 | 35:14 | 39 |
| მტკ | 19 | 11 | 6 | 2 | 35:14 | 39 |
| ვაშაში | 19 | 12 | 2 | 5 | 39:19 | 38 |
| დებრეცენი | 19 | 9 | 5 | 5 | 29:21 | 32 |
| უიპეშტი | 18 | 8 | 6 | 4 | 32:21 | 30 |
| ფერენცვაროში | 19 | 8 | 5 | 6 | 34:21 | 29 |
| პეჩი | 19 | 7 | 8 | 4 | 25:27 | 29 |
| დიორ ეტო | 19 | 7 | 6 | 6 | 31:20 | 27 |
| ტატაბანია | 19 | 6 | 9 | 4 | 21:24 | 27 |
| ზალაეგერსეგი | 19 | 6 | 8 | 5 | 22:14 | 26 |
| დიოშდიორი | 19 | 5 | 6 | 8 | 19:29 | 21 |
| ნიირშეგი | 19 | 5 | 5 | 9 | 17:32 | 20 |
| ნადიკანიჟა | 19 | 4 | 7 | 8 | 17:23 | 19 |
| ჰონვედი | 19 | 4 | 7 | 8 | 18:27 | 19 |
| ჰალადაში | 18 | 5 | 3 | 10 | 19:28 | 18 |
| შიოფოკი* | 19 | 5 | 4 | 10 | 15:29 | 16 |
| სეგედი* | 18 | 3 | 5 | 10 | 13:41 | 11 |
| ვაცი | 19 | 1 | 6 | 12 | 17:43 | 9 |

*„შიოფოკს" და „სეგედს" დაკლებული აქვთ 3-3 ქულა

### პორტუგალია

ბელენენსეში 2:2 კამპომაიორენსე

0:1 კონსტანტინუ (5), 1:1 ფრანკლიმი (32), 1:2 ველინგტონი (65), 2:2 ფილგუიერა (67)

### არგენტინა

მე-4 ტური

არგენტინოს ხუნიორსი — ლანუსი 0:1; რასინგი — ფერო კარილი 0:2; ტალერესი — სან ლორენსო 1:2; ხიმნასია ლა პლატა — ინსტიტუტო 1:0; ჩაკარიტა — ბოკა ხუნიორსი 0:4; უნიონი — როსარიო სენტრალი 0:0; ნიუელს ოლდ ბოიზი — კოლონი 3:3; რივერ პლეიტი — ესტუდიანტესი 2:2; ხიმნასია ხუხუი — ბელგრანო 1:1; ველეს სარსფილდი — ინდეპენდიენტე 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლა პლატა | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| სან ლორენსო | 4 | 3 | 1 | 0 | 5:2 | 10 |
| ბოკა | 4 | 2 | 2 | 0 | 9:3 | 8 |
| რივერ პლეიტი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 8 |
| ინდეპენდიენტე | 4 | 2 | 1 | 1 | 11:5 | 7 |
| ლანუსი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ველესი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| კოლონი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:7 | 7 |
| ტალერესი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| როსარიო | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 6 |
| ოლდ ბოიზი | 4 | 1 | 2 | 1 | 8:5 | 5 |
| ესტუდიანტესი | 4 | 1 | 2 | 1 | 8:7 | 5 |
| რასინგი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| უნიონი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ბელგრანო | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| ფერო კარილი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| ჩაკარიტა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| ინსტიტუტო | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| ხუხუი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:10 | 1 |
| არგ. ხუნიორსი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:12 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

# და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს...

## შაკილ ონილმა 28 წელი 61 ქულით გაილამაზა




პორტლენდი — ტორონტო. ტორონტოელმა ვინს კარტერმა (ბურთით) თვით სკოტი პიპენი, მისმა გუნდმა კი პორტლენდი დაჩაგრა




კლიპერსი — ლეიკერსი. 28 წლის იუბილარმა შაკილ ონილმა თანაქალაქელ კლიპერსელებს შავი დღე აყარა

6 მარტი

**მილუოკი 111:78 ატლანტა**

მილუოკი: კასელი (21 ქულა, 12 პასი), რობინსონი (17)

ატლანტა: რაიტი (18)

**ფინიქსი 100:92 მაიამი**

ფინიქსი: ჰარდევეი (28), კიდი (10 ქულა, 17 პასი, 9 მოხსნა)

მაიამი: მურნინგი (25), ბრაუნი (22 ქულა, 11 მოხსნა)

**პორტლენდი 90:109 ტორონტო**

პორტლენდი: ვოლესი (27), საბონისი (16 ქულა, 11 მოხსნა)

ტორონტო: კარტერი (35), კრისტი (26)

**სან ანტონიო 106:104 ნიუ ჯერსი**

სან ანტონიო: რობინსონი (25 ქულა, 13 მოხსნა), დანკანი (17 ქულა, 13 მოხსნა), ჯონსონი (16 ქულა, 11 პასი)

ნიუ ჯერსი: მარბერი (34), ვან ჰორნი (23)

**კლიპერსი 103:123 ლეიკერსი**

კლიპერსი: ტეილორი (25), ანდერსონი (21), ოდომი (17 ქულა, 11 მოხსნა)

ლეიკერსი: ონილი (61 ქულა, 23 მოხსნა), ბრაიანტი (22)

**საკრამენტო 130:109 დალასი**

საკრამენტო: ვებერი (22 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა), დივაცი (19 ქულა, 10 მოხსნა)

დალასი: სებალოსი (27), ნოვიცკი (25)

**ვაშინგტონი 85:87 ორლანდო**

ვაშინგტონი: ჰამილტონი (25)

ორლანდო: ეტკინსი (15)

რა საერთო აქვთ „ლეიკერსსა“ და „კლიპერსს“? ორივე ლოს ანჯელესის გუნდია და... ერთ დროს ლეგენდარული ლეიკერსელები, რომლებიც მის სახეს ქმნიდნენ — ელჯინ ბეილორი და ქარიმ აბდულ-ჯაბარი დღეს „კლიპერსში“ ილვწიან. სხვა მხრივ ისინი ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. „ლეიკერსს“ თვალი მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობისკენ უჭირავს, მისი საცოდავი თანაქალაქელი კი ისე დაბეჩავებულა, დივიზიონში ბოლოსწინა ადგილი სანატრელი გახდომია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, „კლიპერსი“ ამ სეზონში ვერ მოსწყდება ბოლო ადგილს. აი, „ლეიკერსი“ კი... რას იზამს ეს ლეგენდარული გუნდი, მომავალი გვიჩვენებს. პლეი ოფში ნათლად გამოჩნდება, სადამდე ძალუძს მას მისვლა, მანამდე კი უარს არ იტყოდა, რეგულარული ჩემპიონატი მოეგო. როგორც ამ ორი თვის წინ, ფილ ჯექსონის ბიჭები ახლაც თამაშს თამაშზე იგებენ. აბა, „კლიპერსი“ რა მათი შესაფერისი მეტოქეა. მისი დამარცხებით „ლეიკერსმა“ ზედიზედ მოგებულ თხუთმეტ თამაშს კიდევ ერთი წაუმატა და ამ სეზონში თავისივე მიღწევა გაიმეორა.

საერთოდ თანაქალაქელთა დაპირისპირებას ყოველთვის სხვა ეშხი და ლაზათი აქვს. მიუხედავად კლასში უზარმაზარი სხვაობისა, შეხვედრები შემლებისდაგვარად დაძაბულად მიმდინარეობს. იმ დღეს „სტეპლზ სენთერში“ მისული 20 ათასი გულშემატკივარი (რაც სეზონში მხოლოდ მეორედ მოხდა) არც შემცდარა, მართლაც დაუვიწყარი სანახაობა იხილა. არა, „კლიპერსი“ რომ დამარცხდებოდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი მეოთხედი სწორედ მას დარჩა — 29:24. იქ შეკრებილთ საოცრება ერთმა კაცმა აჩუქა.

„ლეიკერსის“ ცენტრ შაკილ ონილს წინა დღით 28 წელი შეუსრულდა, რაც „კლიპერსის“ აწიოკებით აღნიშნა. 61 ქულის გაკეთება ნებისმიერ მეტოქესთან საძნელო საქმეა. ამიტომაც ამ ამბავმა დიდი რეზონანსი გამოიწვია. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ასეთი რამ არცთუ ხშირად ხდება. თუმცა „კლიპერსის“ ერთ-ერთი ლიდერი, მორის ტეილორი ამას სავსებით ნორმალურად მიიჩნევს. „ამაში არაფერია გასაკვირი. ის კარგი მოთამაშეა. როცა გაქვს ასეთი სიმაღლე, მასა და სიჩქარე, თითქმის შეუჩერებელი ხარ. დარწმუნებული ვარ, მას სეზონში ათჯერ მაინც შეუძლია 60 ქულის გაკეთება“.

ონილის 61 ქულამ დაამხო ვინს კარტერის რეკორდი მიმდინარე სეზონში. მან ახალი თაობის ვარსკვლავის შედეგი ერთბაშად ათი ქულით გააუმჯობესა. ამასთან ეს 61 ქულა მისი კარიერის რეკორდიცაა. შაკის ეს მიღწევა იმითაცაა აღსანიშნავი, რომ ბოლო ექვსი წელია, ამდენი არავის ჩაუგდია ნბა-ში ერთ თამაშში. 60 ქულას ბოლოს დევიდ რობინსონმა გადააბიჯა. 1994 წლის 24 აპრილს „ადმირალმა“ 71 ქულა გააკეთა და, სხვათა შორის, მაშინაც „კლიპერთან“. დღეს ონილი რობინსონს ექიშპება და შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რბილად რომ ვთქვათ, გაკენწლოს შებერებული დევიდი. იქნებ ონილის თავგამოდებაც სწორედ ამას უნდა მივაწეროთ, თუმცა რობინსონის მიღწევამდე მას ათი ქულა დააკლდა.

რაც შეეხება კარგი თამაშის სანახავად მისულ „კლიპერსის“ ქომაგებს, ისინი პირიქით აღფრთოვანებით შეხვდნენ მათი გუნდის მთავარი შემარცხვენელის ტრიუმფს, რომ ნახეს, შაკილს იმ დღეს ფარისკენ მწვანე შუქი ჰქონდა ანთებული, გამხნევება დაუწყეს. MVP, MVP! (სეზონის უძვირფასესი მოთამაშე) — გუგუნებდა ოცი ათასი კაცი, როცა ონილმა ერთ შეტევაში სამი ქულა მიითვალა და 59 მოუგროვდა. ლეიკერსელმა კიდევ ერთი ბურთი ჩააგდო და ისეთი ღრიანცელი ატყდა, ლამის დარბაზის ჭერი ჩამოინგრა. „მთელი გუნდი მასზე თამაშობდა და შაკილმაც თავი არ შეირცხვინა. დიახ, ის ჩვენი უძვირფასესია — თქვა ლეიკერსის თავკაცმა ფილ ჯექსონმა და იქვე დასძინა — კარგია, როცა ზედიზედ 16 თამაშს მოიგებ. მაგრამ მე ვისურვებდი, 16 თამაში პლეი ოფში მოგვეგო“.

თვითონ ონილი, ცხადია, ის დღეს უსაზღვროდ ბედნიერი იყო: „თანაგუნდელებმა მითხრეს, რომ მათ უნდოდათ, ჩემი იუბილე ორმოცდაათიოდე ქულით აღმენიშნა. ახლა ბედნიერი ვარ, რომ ეს შევძელი და მადლობას ვუხდი თანაგუნდელებს და მწვრთნელს, რომ ამის შესაძლებლობა მომცეს“.

ლიდერის პოზიცია „ლეიკერსს“ „პორტლენდის“ მარცხმაც გაუმყარა. „ჩვენ ვიზრდებით და ვიწყებთ იმის შეგნებას, რას ნიშნავს გამარჯვება — ამბობდა „პორტლენდის“ შინაური მარცხის მთავარი მიზეზი, ტორონტოელი ვინს კარტერი — როცა მატჩი ჩამივარდება, ჩემზე ამბობენ — ოო, მაგას თამაში არ შეუძლია, ჩატენვების მეტი არაფერი გაეგება, „ტორონტო“ რა გუნდიაო... და რა გამოვიდა აქედან? ერთი მითხარით, ბევრს მოუგია სტუმრად პორტლენდში? ვფიქრობ, ამ თამაშით მრავალმა მიიღო პასუხი“.

კარტერი ბრწყინავდა. მისი არანორმალური ნახტომი აკრობატს შეშურდება“ — თქვა მისმა თანაგუნდელმა დეგ კრისტიმ. მაგრამ იმ დღეს კარტერმა არამარტო ჩატენვებით გამოიჩინა თავი. მან ოთხი სამქულიანიც ჩააგდო და ბოლოს და ბოლოს ხუმრობა ხომ არაა, სკოტი პიპენი დაჩაგრა. ვითომ ეს კაცი 90-იანი წლების ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი დამცველი კი არა პირტიტველა ღლაპი ყოფილიყოს.

ჭაბუკი კარტერი ყველა თამაშს შემართებით ატარებს და ბევრიც პირადად მოუგია, მაგრამ ერთმა კაცმა რაც არ უნდა მოინდომოს „პორტლენდს“ ვერ დასცემს. ამ შეხვედრაში ლიდერს კარგად წაეხმარნენ თანაგუნდელები, ბლომად სამქულიანები მიაშველეს და „ტორონტომაც“ მრისხანე „პორტლენდი“ ისე შეარცხვინა, როგორც არავინ ამ სეზონში. სტუმრებმა 13 სამქულიანი ჩაუგდეს პირდაღებულ მასპინძლებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბეხრეკმა ცენტრმა ამ 13 წლის წინ თბილისში ნათამაშევმა კევინ ვილისმაც დალაშქრა მასპინძელთა კალათი შორი დისტანციიდან. როგორც ჩანს, მათ დაცვაში უზარმაზარი ნაპრალი გააჩინა გამთამაშებლის, დეიმონ სტუდემაიერის არყოფნამ. მისი ადგილი უნივერსალურმა პიპენმა დაიკავა, ფრთის პოზიციაზე კი მასპინძლებმა წინა სეზონში „სიეტლში“ სტეფანიას თანაგუნდელი დეტლეფ შრემპფი განამწესეს. შედეგი სავალალოა, პიპენმა ექვსი ქულით დაამთავრა თამაში, შტემპფმა — შვიდით.

ჩატენვები მარტო კარტერს როდი შეუძლია. ნბა-ში ყოველი მეორე ამ საქმის კარგი მცოდნეა. საერთოდ ჩატენვა ცუდი არაა, მას მაყურებელთა მიზიდვის გარდა ფსიქოლოგიური უპირატესობა მოაქვს.

„მილუოკი ბაქსს“ ერთი მოთამაშე ჰყავს, დერვინ ჰემი, რომელიც სწორედ თავისი ლამაზი ძალისმიერი ჩატენვებითაა ცნობილი, თორემ ისე ბევრი ვერაფერი კალათბურთელია. „ატლანტასთან“ მან თავისი საუკეთესო თამაში აჩვენა, 11 ქულა ჩააგდო (ყველა პირველ მეოთხედში) და 13 მოხსნაც მიითვალა (კარიერის რეკორდი), მაგრამ, რაც მთავარია, ამ უსახელო ბიჭმა თვით დიკემბე მუტომბო დააფრთხო. როცა ჰემმა ამ უძლიერეს დამფარებელს და მომხსნელს, 218-სანტიმეტრიან გიგანტს, პირველ მეოთხედში ზედიზედ მეორედ გადაატენა თავზე ბურთი, მუტომბო უკვე საბოლოოდ გამოთიშული იყო თამაშიდან. შეშინებულ დიკემბეს მერე რიგჩანი აღარაფერი გაუკეთებია. მან მატჩი 9 ქულით და ხუთი მოხსნით დაასრულა. მთაკაცი დაშინებული რომ იხილეს, მისმა თანაგუნდელებმაც ჩამოყარეს ყურები და მეტოქეს წინააღმდეგობა ველარ გაუწიეს.

„მილუოკის“ რიგებში როგორც იქნა, გამოჩნდა, თურქეთის ნაკრების ლიდერი მირსად თურქჯანი, რომელიც ამ სეზონში სულ ათჯერაც არ შესულა მოედანზე. თუმც ვერ ვიტყვით, რომ თამაშს მოწყურებულმა გაიბრწყინა. თურქმა თავდამსხმელმა ათ წუთში ორი ქულა და ოთხი მოხსნა წაუმატა გუნდის საერთო მონაგარს.

„ნიუ ჯერსისთან“ შინ თამაშში წაგებას თვალებში ჩახედა ჩემპიონმა „სან ანტონიომ“. „ნიუ ჯერსის“ ფეხმარდმა გამთამაშებელმა სტივენ მარბერიმ მთლად აიკლო ჩემპიონთა დაცვა, მაგრამ ბოლოს ისევ თვითონ ვერ ივარგა — 106:104 ანგარიშზე. ბოლო წამებზე მარბერიმ ფარის სიახლოვეს მიიღო ბურთი, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ორქულიანი ესროლა, სამქულიან ხაზს გარეთ გამოვიდა და იქიდან სტყორცნა. შედეგად, ააცილა და მასპინძლებიც გადაურჩნენ სირცხვილს.

„ფინიქსის“ ლუკ ლონგლისთვის ბუნებას ზორბა ტანი და 218 სანტიმეტრი სიმაღლე უბოძებია, მაგრამ ეს გიგანტი ნბა-ს ცენტრების საუკეთესო ოცეულშიც ვერ მოხვდება. სამაგიეროდ, მაიამელი ალონზო მურნინგი მასზე ათი სანტიმეტრით დაბალია, მაგრამ ნბა-ს აზანზარებს. „ფინიქს“-„მაიამის“ შეხვედრაში მურნინგის გაუვნებლება ლონგლის მიანდეს, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო. მაიამელმა საშინელ დღეში ჩააგდო მასზე ბევრად დიდი მეურვე, თამაშის საწყის ექვს წუთში ორჯერ დაუფარა და ერთბაშად ოთხი საჯარიმო მიალებინა. ლონგლი გაიყვანეს, მურნინგის დაჭერა კი თავდამსხმელმა ტომ გულიოტამ ითავა და ასე თუ ისე გაართვა კიდეც თავი ამ ამოცანას. და მაინც, „ფინიქსმა“ თავისი ზემძლავრი უკანახაზის მეოხებით იმარჯვა. მსროლელმა ჰარდევეიმ სეზონში მისთვის ყველაზე მეტი, 28 ქულა მოაგროვა, გამთამაშებელმა ჯეისონ კიდმა კი მას და სხვა თანაგუნდელებს პასები არ მოაკლო და თვითონაც სეზონში ყველაზე მეტი, 17 პასი მიითვალა.

„სამმაგი დუბლი კარგი რამაა. ყოველთვის მინდოდა, ისეთი ვყოფილიყავი, როგორებიც მეჯიქ ჯონსონი, ანაც აიზია ტომასი იყვნენ. მე ბუნებით პატარა კაცი ვარ დიდი კაცის სხეულში“ — ამბობდა „საკრამენტოს“ თავდამსხმელი კრის ვებერი „საკრამენტო“-„დალასის“ მატჩის შემდეგ. იმ შეხვედრაში ქულების და მოხსნების დიდოსტატმა ვებერმა 11 პასი გაახერხა და სეზონში მესამე, კარიერაში კი მეთერთმეტე სამმაგ დუბლს გამოჰკრა ხელი.

**ირაკლი ფირაშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | მ | წ | % |
| მაიამი | 37 | 23 | 61,6 |
| ნიუ იორკი | 35 | 23 | 60,3 |
| ფილადელფია | 33 | 25 | 56,8 |
| ორლანდო | 28 | 32 | 46,6 |
| ბოსტონი | 24 | 35 | 40,6 |
| ნიუ ჯერსი | 24 | 36 | 40,0 |
| ვაშინგტონი | 18 | 42 | 30,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 40 | 19 | 67,7 |
| ტორონტო | 34 | 25 | 57,6 |
| შარლოტი | 32 | 27 | 54,2 |
| მილუოკი | 29 | 31 | 48,3 |
| დეტროიტი | 28 | 30 | 48,2 |
| კლივლენდი | 25 | 34 | 42,3 |
| ატლანტა | 23 | 35 | 39,6 |
| ჩიკაგო | 12 | 46 | 20,6 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 38 | 20 | 65,5 |
| სან ანტონიო | 38 | 22 | 63,3 |
| მინესოტა | 35 | 24 | 59,3 |
| დენვერი | 26 | 32 | 44,8 |
| დალასი | 24 | 35 | 40,6 |
| ჰიუსტონი | 24 | 35 | 40,6 |
| ვანკუვერი | 18 | 41 | 30,5 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერსი | 50 | 11 | 81,9 |
| პორტლენდი | 46 | 13 | 77,9 |
| ფინიქსი | 38 | 21 | 64,4 |
| სიეტლი | 36 | 25 | 59,0 |
| საკრამენტო | 34 | 25 | 57,6 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 42 | 27,5 |
| კლიპერსი | 12 | 48 | 20,0 |

## კვირის მოთამაშე

### კარლ მელოუნი
**• იუტა •**




გასულ კვირას საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს „იუტა ჯაზის“ 36 წლის სუპერთავდამსხმელი კარლ მელოუნი. ეს კაცი არ ბერდება და 36 წლის ასაკშიც ლიგაში ერთ-ერთი უძლიერესია, გასული კვირა ნამდვილად გამორჩეული იყო მისთვის. „იუტამ“ ოთხივე მეტოქეს მოუგო, აქედან სამჯერ სტუმრად, და შუა დასავლეთის დივიზიონში პირველი ადგილი დაიბრუნა. აღსანიშნავია, მელოუნის შედეგიანი თამაში „ნიუ ჯერსისთან“ შინაურ მატჩში, 28 თებერვალს. გაჯიუტებულ „ნიუ ჯერსის“ მელოუნმა ჭკუა ასწავლა და თავის გუნდს ამ შეხვედრაში 35 ქულა, 12 მოხსნა და 9 პასი შესძინა. სულ მას ამ ოთხ თამაშში საშუალოდ 28,8 ქულა, 10,8 მოხსნა და 5,5 პასი მოუგროვდა. ამჟამად მელოუნი მატჩში საშუალოდ 25,8 ქულით მეოთხეა ლიგის ბომბარდირებში და მეთერთმეტე მოხსნებში (9,6 მოხსნა).

მელოუნს კვირის მოთამაშის ტიტულში ეცილებოდნენ: ანდრე მილერი (კლივლენდი), კუტინი მობლი (ჰიუსტონი), სტივენ მარბერი (ნიუ ჯერსი), კლიფ რობინსონი (ფინიქსი), ვინს კარტერი და ტრეისი მაკგრეიდი (ორივე ტორონტო).

# მაისი ნაკრების თვეა

17-21 მაისს დანიის ქალაქ ვეილეში გასამართ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციომდელ ციკლში, მოგეხსენებათ, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებიც იასპარეზებს. ეს სწორედ ის ეტაპი გახლავთ, საიდანაც ორი გამარჯვებული გუნდი პირდაპირ ევრო 2003-ის შესარჩევი თამაშებისკენ გაიკვლევს გზას.

ჩვენებურთა მეტოქეებზე ადრეც გვითქვამს, ქართველები იქ მასპინძელ დანიელთა გარდა რუმინეთის, ირლანდიის, კვიპროსისა და ლუქსემბურგის ეროვნულ გუნდებთან დაიჭერენ საქმეს.

ახლახან სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ასოციაციამ ქართველთა მხარეს ამ ექვსგუნდა ჯგუფის განრიგი ამცნო:

| | |
|---|---|
| 17 მაისი | საქართველო — ლუქსემბურგი |
| 18 მაისი | რუმინეთი — საქართველო |
| 19 მაისი | დანია — საქართველო |
| 20 მაისი | საქართველო — კვიპროსი |
| 21 მაისი | ირლანდია — საქართველო |

საევროპო სამზადისს ქართველები პირველ მაისს შეუდგებიან. ნაკრების მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე ჩაქვში, „ბასკოს" საწვრთნელ ბაზაზე შეკრებს გუნდის ყველა კანდიდატს, რომელთაგანაც საბოლოოდ თორმეტს შეარჩევს.

**გიორგი ბიძაშვილი**

# რა ხელს იკვრევინები, ჯო?!

## ბათუმელებმა თურქული ტურნე გამარჯვებით დაიწყეს

ბათუმის „ბასკოს" თურქული ტურნე დედაქალაქ ანკარაში დაიწყო. პირველი მეტოქე ამავე ქალაქის „ბუიუქ კოლეჯი" გახლდათ. ამ გუნდმა თურქეთის მეორე ლიგის რეგულარული ჩემპიონატი პირველ ადგილზე დაასრულა და შაბათს პლეი ოფი ეწყება.

„ბუიუქ კოლეჯს" სერიოზულად გადაუწყვეტია თურქეთის პირველ ლიგაში გადასვლა და საამისოდ ამერიკელი ჯო სტივენსი აუყვანია. ამ 27 წლის კალათბურთელს ერთი სეზონი თვით „ჰიუსტონ როკიტსში" გაუტარებია.

საწყისი წუთები „ბასკოს" უპირატესობით წარიმართა და მეოთხე წუთზე ანგარიში 13:8 იყო. მერე სტივენსმა გამოიდო თავი, რამდენიმე მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდო და ანგარიშის გათანაბრებასთან ერთად ინიციატივაც თავისიანების მხარეს გადაიტანა. ამერიკელის შესაჩერებლად „ბასკოს" მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ მოედანზე ირაკლი ბაქრაძე შეუშვა, რომელმაც სტივენსის თარეში ალკვეთა. ამით გულმოცემულმა ბასკოელებმა, ვალერი კილაძემ და ვლადიმერ ბეჟანიშვილმა შორიდან შეუტიეს და თამაში კვლავ გათანაბრდა. სტივენსის დაკეტვამ „ბუიუქ კოლეჯის" შეტევებს სიმწვავე მოაკლო, ხოლო კილაძე და ბეჟანიშვილი ფარზე მეტ-ნაკლებად უმკლავდებოდნენ ფიზიკურად ძლიერ შემშექს და უსლანმაზს.

ხუთი ქულით მოგებული პირველი ტაიმის შემდეგ (44:39) „ბასკომ" მეორე ტაიმის სტარტზევე ანგარიშში სხვაობა შვიდ ქულამდე გაზარდა, მაგრამ ოდნავ მოასუსტა დაცვა. ამას მოჰყვა ორწუთიანი მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ბათუმელებმა შეტევაში ორჯერ დაკარგეს ბურთი, ხოლო „ბუიუქ კოლეჯმა" ჯერ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო მერე დაწინაურდა (56:51).

ძირითადი დროის დამთავრებამდე 1,45 წუთით ადრე ალეკო დავითულიანმა საჯარიმოებით „ბასკო" 76:74 დააწინაურა. სირენამდე 15 წამით ადრე კი, 78:76-ზე ფარიდან გადმოვარდნილი ბურთისთვის ჯგუფური ბრძოლა გაჩაღდა და ბაქრაძემ ორი საჯარიმოს სროლის უფლება მიიღო. ირაკლი ერთხელ აღმოჩნდა ზუსტი და სამქულიანი დეფიციტის აღმოსაფხვრელად „ბუიუქ კოლეჯს" 12 წამიღა დარჩა. მასპინძელთა სწრაფი კომბინაცია ოზდემირმა დაასრულა. მისი სამქულიანი ზუსტად მაშინ ჩაეშვა კალათში, როცა ძირითადი დროის დასრულების მანიშნებელი სირენა გაისმა.

დამატებით დროში წინ სულ „ბუიუქ კოლეჯი" იყო, ოღონდ მათი უპირატესობა ორ ქულას არ სცილდებოდა. „ბასკომ" ერთი-ორჯერ კი გაათანაბრა, მაგრამ დაწინაურება ვერ მოახერხა. დამთავრებამდე 6 წამით ადრე ბათუმელები ჩანკაიას უეხეშნენ. ანკარელმა პირველი საჯარიმო ჩააგდო და თავისიანები 88:87 დააწინაურა. მეორე სროლა გაუცუდდა, ფარზე ბრძოლისას სტივენსმა ხელი ჰკრა კილაძეს და... ვალერი არ აღელდა, ორივე საჯარიმო ჩააგდო და დამატებით დროში პირველად და საბოლოოდ დააწინაურა „ბასკო" 89:88. დარჩენილ წამებში ბათუმელებმა მეტოქის შეტევა ჩაშრეს, მაგრამ სროლის ნაცვლად დრო გაიყვანეს და თურქული ტურნე გამარჯვებით დაიწყეს.

ნამატჩევს „ბასკოს" მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ თქვა: „იმის გათვალისწინებით, რომ „ბასკომ" არსებობის მანძილზე პირველად ითამაშა უცხოურ გუნდთან, უკმაყოფილო არ ვარ. გუნდმა რამდენიმე ეპიზოდი ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ იყო ჩავარდნებიც. გვაკლია სტაბილურობა, ბევრია სამუშაო დაცვის გასაძლიერებლად. მართალია, მატჩი ამხანაგური იყო, მაგრამ აქაც გამოჩნდა, რომ ევროპაში სხვაგვარად თამაშობენ და ჩვენთან საკმაოდ განსხვავებულად მსაჯობენ."

ბათუმელები მომდევნო მატჩსაც ანკარაში გამართავენ ასევე მეორელიგელ „მულქიესთან".

„ბასკომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მაისურაძე, აბრამიძე (15), დავითულიანი (21), ბეჟანიშვილი (21), ვ. კილაძე (30), ბაქრაძე (2), კეშელავა, კვაჭაძე. თურქულ ტურნეში ბათუმელთა ცენტრფორვარდ ლევან ქარაბაკის არყოფნის მიზეზი ავადმყოფობაა: გრიპშეყრილი ლევანი საქართველოში დარჩა.

**მერაბ რატიშვილი ანკარიდან**

### თურქეთი

XXIII ტური

დარუშაფაკა — ქარშიაქა 78:69, გალათასარაი — ითუ 80:78, ტროი — ფენერბაჰჩე 78:74, ტელეკომი — ოიაქი 80:96, ეფესი — ქომბასანი 100:78, თოფაში — მიდონოსე 82:69, ულქერი — ბეშიქთაში 85:83

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 23 | 19 | 4 | 1806:1625 | 42 |
| თოფაში | 23 | 18 | 5 | 1707:1531 | 41 |
| ულქერი | 23 | 16 | 7 | 1741:1621 | 39 |
| ქარშიაქა | 23 | 15 | 8 | 1721:1655 | 38 |
| ბეშიქთაში | 23 | 15 | 8 | 1719:1657 | 38 |
| გალათასარაი | 23 | 13 | 10 | 1752:1681 | 36 |
| ტელეკომი | 23 | 13 | 10 | 1747:1698 | 36 |
| დარუშაფაკა | 23 | 13 | 10 | 1700:1705 | 36 |
| ფენერბაჰჩე | 23 | 11 | 12 | 1794:1753 | 34 |
| ტროი | 23 | 9 | 14 | 1784:1836 | 32 |
| მიდონოსე | 23 | 6 | 17 | 1765:1904 | 29 |
| ქომბასანი | 23 | 6 | 17 | 1592:1674 | 29 |
| ითუ | 23 | 5 | 18 | 1573:1781 | 28 |
| ოიაქი | 23 | 2 | 21 | 1521:1801 | 25 |

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ სდასუ-ს მთავარ მწვრთნელს ლევან მოსეშვილს დედის გარდაცვალების გამო

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს ლევან მოსეშვილს დედის გარდაცვალების გამო

საკალათბურთო კლუბი თბილისის „დინამო" თანაუგრძნობს ლევან მოსეშვილს დედის გარდაცვალების გამო

### საბერძნეთი

XXII ტური

პაოკი — ირაკლიონი 83:66, სპორტინგი — ირაკლისი 56:87, ესპეროსი — პანათინაიკოსი 53:95, აეკი — ოლიმპიაკოსი 71:72, მარუსი — არისი 73:74, დაფნი — ნიარ ისტი 95:89, პანიონისი — პერისტერი 76:67

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 22 | 18 | 4 | 1585:1378 | 40 |
| პანათინაიკოსი | 22 | 18 | 4 | 1689:1392 | 40 |
| აეკი | 22 | 17 | 5 | 1662:1465 | 39 |
| პაოკი | 22 | 14 | 8 | 1633:1528 | 36 |
| პანიონისი | 22 | 12 | 10 | 1634:1611 | 34 |
| ირაკლისი | 22 | 12 | 10 | 1564:1489 | 34 |
| პერისტერი | 22 | 11 | 11 | 1604:1605 | 33 |
| არისი | 22 | 10 | 12 | 1550:1570 | 32 |
| ირაკლიონი | 22 | 10 | 12 | 1651:1638 | 32 |
| მარუსი | 22 | 9 | 13 | 1528:1568 | 31 |
| ნიარ ისტი | 22 | 9 | 13 | 1648:1784 | 31 |
| დაფნი | 22 | 8 | 14 | 1575:1720 | 30 |
| სპორტინგი | 22 | 3 | 19 | 1451:1712 | 25 |
| ესპეროსი | 22 | 3 | 19 | 1453:1767 | 25 |

### იტალია

XXIII ტური

სკავოლინი — ადეკო 75:69, პეპსი — ბენეტონი 73:68, რეჯანა — კინდერი 62:64, ტრიესტი — აეროპორტი 92:66, ვარეზე — იმოლა 113:106, ფორტიტუდო — კანტუ 82:62, სიენა — ძუკეტი 60:68, მიულერი — ვიოლა 78:77

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფორტიტუდო | 23 | 21 | 2 | 1823:1567 | 44 |
| კინდერი | 23 | 17 | 6 | 1755:1542 | 40 |
| ბენეტონი | 23 | 16 | 7 | 1735:1623 | 39 |
| აეროპორტი | 23 | 15 | 8 | 1688:1684 | 38 |
| სკავოლინი | 23 | 14 | 9 | 1770:1705 | 37 |
| ძუკეტი | 23 | 13 | 10 | 1733:1699 | 36 |
| ვიოლა | 23 | 13 | 10 | 1709:1750 | 36 |
| სიენა | 23 | 12 | 11 | 1588:1568 | 35 |
| იმოლა | 23 | 11 | 12 | 1894:1898 | 34 |
| ვარეზე | 23 | 9 | 14 | 1709:1726 | 32 |
| ტრიესტი | 23 | 8 | 15 | 1685:1669 | 31 |
| მიულერი | 23 | 8 | 15 | 1621:1725 | 31 |
| ადეკო | 23 | 8 | 15 | 1622:1743 | 31 |
| პეპსი | 23 | 8 | 15 | 1596:1722 | 31 |
| კანტუ | 23 | 7 | 16 | 1615:1779 | 30 |
| რეჯანა | 23 | 4 | 19 | 1695:1838 | 27 |

### ესპანეთი

XXVI ტური

უნიკახა — კარესესი 74:65, პამესა — ლეონი 79:67, ხირონა — ხიხონი 71:68, რეალი — კანტაბრია 69:57, ფუანლაბრადა — ბრეოგანი 78:80, ბადალონა — ესტუდიანტესი 90:63, კახა სან ფერნანდო — ტდკ 59:58, ტაუ — ფორუმი 85:74, ბარსელონა — კანარიასი 81:54

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 26 | 19 | 7 | 2109:1900 | 45 |
| სან ფერნანდო | 26 | 19 | 7 | 1889:1752 | 45 |
| ბარსელონა | 26 | 18 | 8 | 1928:1725 | 44 |
| ტაუ | 26 | 18 | 8 | 2070:1897 | 44 |
| ესტუდიანტესი | 26 | 17 | 9 | 1886:1795 | 43 |
| რეალი | 26 | 16 | 10 | 1957:1818 | 42 |
| უნიკახა | 26 | 14 | 12 | 1808:1801 | 40 |
| კანარიასი | 26 | 14 | 12 | 1890:1930 | 40 |
| ბადალონა | 26 | 13 | 13 | 2054:2037 | 39 |
| ხირონა | 26 | 12 | 14 | 1913:1877 | 38 |
| კასერესი | 26 | 12 | 14 | 1869:1915 | 38 |
| ბრეოგანი | 26 | 12 | 14 | 1891:1946 | 38 |
| ფორუმი | 26 | 10 | 16 | 1754:1858 | 36 |
| ფუანლაბრადა | 26 | 9 | 17 | 1903:1935 | 35 |
| ტდკ | 26 | 8 | 18 | 1731:1842 | 34 |
| ხიხონი | 26 | 8 | 18 | 1747:1947 | 34 |
| კანტაბრია | 26 | 8 | 18 | 1777:2017 | 34 |
| ლეონი | 26 | 7 | 19 | 1725:1909 | 33 |

### სლოვენია

ექვსეულის I ტური

ტრიგლავი — ოლიმპია 100:98, კრკა — სავინსკი 84:74

**პივოვარნა 99:89 სლოვანი**

პივოვარნა: იურაკი (18), გოლიოვიჩი (14), ჰაფნარი (17), ჟარკოვიჩი (2), დრაგშიჩი (22), კუნცი (17), ნახბარი (9)

სლოვანი: ნოვაკი (15), ლაკოვიჩი (19), ჯურკოვიჩი (11), პავიჩი (17), ბოისა (13), მარავიჩი (12), შუშტარშიჩი (2)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 23 | 21 | 2 | 2021:1431 | 44 |
| პივოვარნა | 23 | 21 | 2 | 2056:1650 | 44 |
| კრკა | 23 | 17 | 6 | 1818:1621 | 40 |
| ტრიგლავი | 23 | 13 | 10 | 1673:1768 | 36 |
| სლოვანი | 23 | 12 | 11 | 1687:1630 | 35 |
| სავინსკი | 23 | 11 | 12 | 1819:1802 | 34 |

მე-7 მე-12 ადგილები. I ტური

ლოკა კავა — მარიბორი 64:65, როგლა ატრასი — ზაგორიე 69:72, ჰელიოსი — კრაშკი ზიდარი 72:69

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ზაგორიე | 23 | 12 | 11 | 1664:1781 | 35 |
| ლოკა კავა | 23 | 7 | 16 | 1614:1784 | 30 |
| ჰელიოსი | 23 | 7 | 16 | 1733:1938 | 30 |
| მარიბორი | 23 | 7 | 16 | 1632:1938 | 30 |
| როგლა ატრასი | 23 | 6 | 17 | 1665:1849 | 29 |
| კრაშკი ზიდარი | 23 | 4 | 19 | 1637:1827 | 27 |

### საფრანგეთი

XXV ტური

შამპანი — სტრასბური 67:68, პო ორტეზი — საონი 65:57, ბეზანსონი — შოლე 89:74, დიჟონი — ვილერბანი 57:81, ლე მანი — ევრე 89:67, ნანსი — პსჟ 77:71, მონპელიე — ლიმოჟი 62:74, ანტიბი — გრაველინი 72:71

საფრანგეთის ჩემპიონატის 25-ე ტურში მოგებების სერიები შეუწყდათ „შოლეს", „პარი სენ ჟერმენსა" და მაჩანჩალა „გრაველინს". დიდი ხნის შესვენების შემდეგ კი „ნანსიმ" და „პო ორტეზმა" გამარჯვების გემო გაიხსენეს.

პსჟ-ს ზედიზედ შვიდი მატჩი მოეგო შინაურ ჩემპიონატში და ნანსიშიც წარმატების იმედით ჩავიდა. თუმცა ამდენი წაგებით გაბეზრებული მასპინძლები დედაქალაქელთა გახარებას სრულებით არ აპირებდნენ. შეხვედრა ისე წარიმართა, დობელის შეგირდებს გამარჯვების შანსი, ფაქტობრივად, არც მისცემიათ. ნანსელებმა მეტოქეს ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლა მოუგეს, სამქულიანებიც ბლომად ჩაუყარეს და ლოგიკურად აჯობეს.

„ნანსის" მსგავსად, აუცილებლად მოგება სჭირდებოდა „ბეზანსონს", რათა ქვედა ლიგაში გასავარდნთა ზონას დასცილებოდა. ზედიზედ ოთხმოგებიანი „შოლეს" წინააღმდეგ ბეზანსონელებმა მშვენივრად ითამაშეს. განსაკუთრებით ნკემბე გამოირჩეოდა, ვის ანგარიშზეც 28 ქულაა და ვინც ძლიერ დაეხმარა თავის გუნდს საწადელის მიღწევაში.

სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში დიდი ორთაბრძოლა გაჩაღდა „ანტიბსა" და „გრაველინს" შორის. თამაში სანახაობრივი თვალსაზრისით მეტად ლამაზი გამოდგა. ზღვისპირელებს თავიანთი ქომაგების მხარდაჭერა ძლიერ დაეხმარათ და მეცამეტე ადგილზე აინაცვლეს.

„მონპელიეს" მოუგო და მეორე ადგილი შეინარჩუნა „ლიმოჟმა". ლიმოჟელები ორ ფრონტზე (კორაჩის თასის ნახევარფინალშიც არიან) იბრძვიან, მაგრამ მაინც კარგად თამაშობენ. ახლაც, მთელი შეხვედრა თავიანთი უპირატესობით წარმართეს და პლეი ოფში მოხვედრაც, ფაქტობრივად, გაინაღდეს. მერე კი იქნებ ჩემპიონობასაც გამოჰკრან ხელი, რომელიც 1994 წლის შემდეგ არ მოუპოვებიათ.

შარშანდელმა ჩემპიონმა კი, როგორც იქნა, მოიგო. „პო ორტეზს" საფრანგეთის პირველობასა და ევროლიგაში ზედიზედ 7 მატჩი წაეგო და ახლა „საონის" წინააღმდეგ შეწყვიტა ეს ავბედითი სერია. შეხვედრა ორივე გუნდმა ძალიან ფრთხილად დაიწყო, თითქმის ყოველ შეტევაში ბურთის ფლობისთვის გამოყოფილ 30 წამს ბოლომდე იყენებდნენ. მასპინძელთაგან ლიდერობა რამდენიმე ტურის წინ გადასულმა ამერიკელმა ბრაისონმა იტვირთა. იგი გარღვევას გარღვევაზე ახორციელებდა და სტუმრებიც ხშირად ჯარიმდებოდნენ მასზე. საჯარიმო ტყორცნებს კი ბრაისონი უზადოდ ასრულებდა და მე-7 წუთისთვის „პო ორტეზი" ექვსი ქულით დაწინაურდა— 17:11.

სტუმრებიც არ იყვნენ გულხელდაკრეფილნი, მე-15 წუთისთვის ოსტროვსკის აქტიურობის წყალობით მათ ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე შეამცირეს (24:22). ამის მერე მეორე ნეოპოელი ამერიკელი რიივსიც გამოფხიზლდა და დიდიე გადუს კარგი პასების გამოყენება დაიწყო. ტაიმი „პო ორტეზმა" მოიგო — 39:33. შესვენების შემდეგ თამაშის დალაგება ორივე გუნდს გაუჭირდა. ტაიმი ახალდაწყებული იყო, მეტოქეებმა კი ორ-ორჯერ მოახერხეს ბურთის დაკარგვა. ტყორცნებიც ძალიან ხშირად ვერ აღწევდა მიზანს. „პო ორტეზის" ჩაგდების კოეფიციენტი 33 პროცენტამდე დაეცა, „საონისა" კი 21-მდე. პირველები მაინც პოელები გამოერკვნენ და 35-ე წუთისთვის 12 ქულითაც გავიდნენ წინ (58:46). სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა ფილიპ ერვემ ამის შემდეგ დაცვაც შეცვალა, თავდასხმაც, მაგრამ მატჩის გადარჩენა მაინც ველარ შეძლო.

მოიგო ლიდერმა „ვილერბანმაც", რომელმაც ევროლიგის მერვედფინალში მადრიდის „რეალის" ძლევის (2:0) შემდეგ „დიჟონი" გაანადგურა. „ეს გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ისე, დაცვაში იმდენად კარგად გავისარჯეთ, წაგება ნამდვილად არ შეგვეძლო" — განაცხადა მატჩის შემდეგ „ვილერბანის" მთავარმა მწვრთნელმა ბენიომ. თამაში მისი შეგირდების უპირატესობით დაიწყო. დიჟონელები შეტევაში უსუსურად მოქმედებდნენ და საწყისი ხუთი წუთი 2:12 დათმეს. მე-13 წუთისთვის კი ანგარიშში სხვაობამ 17 ქულას მიაღწია და ეს მეტწილად ლარანაგას დამსახურება იყო, რომელიც სამქულიანებს უშეცდომოდ ისროდა (5-დან 5). შესვენებაზე კი „ვილერბანი" 20-ქულიანი უპირატესობით გავიდა (44:24).

მეორე ტაიმში ბენიომ სათადარიგოებსაც მისცა თამაშის საშუალება, მაგრამ ამით „ვილერბანის" მოწინააღმდეგემ ვერ ისარგებლა. მეტიც, 34-ე წუთზე ანგარიში 71:42 იყო. ბოლო წუთებზე კი ლიდერი ცოტა მოეშვა და მეტოქეს სხვაობის ოდნავ შემცირების საშუალება მისცა — საბოლოოდ 81:57.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 25 | 20 | 5 | 1917:1683 | 45 |
| ლიმოჟი | 25 | 18 | 7 | 1879:1714 | 43 |
| პო ორტეზი | 25 | 17 | 8 | 1896:1826 | 42 |
| პსჟ | 25 | 16 | 9 | 1860:1629 | 41 |
| საონი | 25 | 15 | 10 | 1854:1718 | 40 |
| შოლე | 25 | 15 | 10 | 1857:1805 | 40 |
| ლე მანი | 25 | 14 | 11 | 1868:1831 | 39 |
| სტრასბური | 25 | 14 | 11 | 1790:1802 | 39 |
| დიჟონი | 25 | 13 | 12 | 1880:1814 | 38 |
| ბეზანსონი | 25 | 10 | 15 | 1827:1848 | 35 |
| ნანსი | 25 | 10 | 15 | 1737:1794 | 35 |
| ევრე | 25 | 9 | 16 | 1731:1844 | 34 |
| ანტიბი | 25 | 9 | 16 | 1682:1873 | 34 |
| მონპელიე | 25 | 7 | 18 | 1716:1909 | 32 |
| გრაველინი | 25 | 7 | 18 | 1753:1995 | 32 |
| შამპანი | 25 | 6 | 19 | 1722:1884 | 31 |



AFP დიჟონიდან

დიჟონი — ვილერბანი 57:81. ვილერბანელი ჟეი ლარანაგა (მარჯვნივ) ბურთს პარავს დიჟონელ ვილემ ლორს

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა ლიგა. მე-4 ტური

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 505 ბაიერნი-რეალი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 506 რუსენბორგი-დინამო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 507 ფეიენოორდი-ლაციო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 508 ჩელსი-მარსელი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

უეფას თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები

9 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 510 გალათასარაი-დორტმუნდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 511 მონაკო-მალიორკა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 512 ვერდერი-პარმა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 513 ლიდსი-რომა | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 514 ლანსი-ატლეტიკო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 515 სელტა-იუვენტუსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 516 დეპორტივო-არსენალი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

ინგლისი. პრემიერლიგა

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 001 ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

ინგლისი. I დივიზიონი. 35-ე ტური

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 012 მანჩესტერ სიტი-ქუინზ პარკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 013 ნოტინგემი-ნორვიჩი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

შოტლანდია

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 041 სელტიკი-რეინჯერსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

კალათბურთი

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 809 ბოსტონი-მილუოკი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 810 ნიუ ჯერსი-პორტლენდი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 811 ფილადელფია-ვანკუვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 812 ორლანდო-ჩიკაგო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 813 დეტროიტი-დენვერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 814 კლიპერსი-ტორონტო | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 815 საკრამენტო-შარლოტი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 9 მარტი | | | |
| 816 ატლანტა-სან ანტონიო | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 817 ინდიანა-პორტლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 818 დალასი-მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 819 იუტა-ჰიუსტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 820 გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი | 5,0 | 12,0 | 1,1 |

კალათბურთი. ევროლიგა. 1/8 ფინალი. III მატჩები

9 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 821 ცსკა-ციბონა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 822 ოლიმპია-ოლიმპიაკოსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 823 პანათინაიკოსი-ბუდუჩნოსტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 824 მაკაბი-პაოკ | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 825 ბარსელონა-ულქერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

ჰოკეი

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 832 ბუფალო-ბოსტონი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 833 პიტსბურგი-მონრეალი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 834 კაროლინა-ჩიკაგო | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 835 ტამპა ბეი-ფილადელფია | 3,0 | 4,0 | 1,5 |
| 836 დალასი-ვანკუვერი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 837 ანაჰაიმი-რეინჯერსი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 838 სან ხოსე-დეტროიტი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 9 მარტი | | | |
| 839 ოტავა-პიტსბურგი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 840 ფილადელფია-ვაშინგტონი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 841 სენტ ლუისი-ვანკუვერი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 842 კალგარი-ტორონტო | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 843 ფინიქსი-აილენდერსი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 844 ლოს ანჯელესი-რეინჯერსი | 1,8 | 4,0 | 2,2 |

**უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა**

701 ვერდერი (2,5)-პარმა (1,35)
702 გალათასარაი (1,05)-დორტმუნდი (7,5)
703 მონაკო (7,5)-მალიორკა (1,05)
704 ვერდერი (2,5)-პარმა (1,35)
705 ლიდსი (1,7)-რომა (1,7)
706 ლანსი (1,3)-ატლეტიკო (2,8)
707 სელტა (3,1)-იუვენტუსი (1,25)
708 დეპორტივო (15,0)-არსენალი (1,01)

გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლისას მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გავა შემდეგ ეტაპზე

(წყვილის სრულად დაწერა საჭირო არ არის)


**სიახლე!!!**

**არ გადაყაროთ წაგებული ქვითრები!**

ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის გათამაშებათა მატჩების განახლებასთან დაკავშირებით „კროკო“ სიურპრიზს გთავაზობთ.
მათ, ვინც ფსონს „კროკოს“ მთავარ ოფისში (ფურცელაძის ქუჩა) შეიტანს და ვერ მოიგებს, დამატებითი შანსი ეძლევათ!
ის წაგებული ბილეთები, რომელთა ფსონი მინიმუმ 10 ლარს შეადგენს, მონაწილეობს გათამაშებაში, რომლის შედეგადაც 5 ბილეთის იღბლიან მფლობელს საშუალება ეძლევა წაგებული ფსონის შესაბამისი თანხით ახალი ქვითარი შეავსოს.
(დეტალურ ინფორმაციას ადგილზე გაეცნობით)


კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# მასპინძლებთან ბრძოლა წავაგეთ, რუმინელებთან ომი გვექნება



რუმინეთი — პორტუგალია. პორტუგალიელები ფერეირა და ჰოფმანი რუმინელი მიხაის (ბურთით) შეჩერებას ცდილობენ

ევროპის ერთვნებათა თასის A ჯგუფში, კვირას, კიდევ ერთი მატჩი ჩატარდა. რუმინეთმა პორტუგალიას უმასპინძლა, შეხვედრის შედეგის გამოცნობას დიდი ტვინის ჭყლეტა ნამდვილად არ სჭირდებოდა. რუმინეთი ის გუნდი არ არის, შინაურ კედლებში ასეთი მნიშვნელოვანი ორთაბრძოლა წააგოს. არც პორტუგალიელები არიან იოლად დასამარცხებელნი, მათ ხომ ესპანელებს მოუგეს, მაგრამ რუმინელებმა არავითარი შანსი არ დაუტოვეს მეტოქეს. ტეშეირამ და მისმა ამქარმა სოლომიეს და კომპანიის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. რუმინეთმა 33:3 გაიმარჯვა.

4 მარტის შეხვედრაში საქართველოსთან მოგების მერე ესპანეთი მხოლოდ ერთი დღით გახდა ჯგუფის ლიდერი, რადგან რუმინეთმა პორტუგალიის დამარცხებით „ლომებს" გარჯა წყალში ჩაუყარა. მართალია, ორივეს 4-4 ქულა აქვთ, მაგრამ პირინეელებმა უკვე 3 მატჩი ითამაშეს და ბურთების ბალანსიც უარესი აქვთ (+27), ვიდრე რუმინელებს (+59). ეს გუნდები 18 მარტს ხვდებიან ერთმანეთს, სადაც ესპანელებს გამარჯვებას თითქმის არავინ უწინასწარმეტყველებს. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ისინი ჩემპიონობაზე ოცნებას უნდა გამოეთხოვონ.

წაგების მიუხედავად, ქართველების პირველობისთვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. „ბორჯღალოსნები" თავიანთ ბოლო ორ თამაშს თბილისში გამართავენ. თუ ჩვენი ბიჭები 19 მარტს ჰოლანდიასთან და 1 აპრილს რუმინელებთან ისე გაირჯებიან, როგორც უკვე ჩატარებულ სამ მატჩში, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ დაშავებულნი არიან ზიბზიბაძე, ურჯუკაშვილი და ხეხელაშვილი. ესპანელებთან ორთაბრძოლისას მიღებული 16-დღიანი დისკვალიფიკაციის გამო (მინდვრიდან გააძევეს) ჰოლანდიასთან ვერ ითამაშებს ცაბაძეც. ამიტომ ჰოლანდიელებთან უმძიმესი პაექრობა გველის. თუმცა სხვა ნიჭიერი მორაგბეებიც საკმაოდ გვყავს და ვიმედოვნებთ, რომ კლოდ სორელი შეძლებს ამ დანაკლისის შევსებას.

რუმინეთთან შეხვედრას, რომელიც 1 აპრილს გაიმართება თბილისში, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ქართველებმა [illegible]ანში უნდა ავიღოთ, მეორეც, ამ მატჩში გამოვლინდება ჩემპიონის ვინაობა. რუმინეთს ძლიერი მორაგბეები ჰყავთ და იოლი თამაშის იმედი არ უნდა გვქონდეს. მაგრამ „ბორჯღალოსნების" საბრძოლო ჟინი უკვე გაიცნო და დააფასა ევროპამ. ჩვენთვის ავტორიტეტები უკვე აღარ არსებობს. ამაზე ჩვენი გუნდის სტუმრად ნაჩვენები შედეგებიც მეტყველებს.

**ზურა ბენიძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 72:13 | 4 |
| ესპანეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 88:61 | 4 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 64:66 | 2 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | 54:84 | 2 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 18:72 | 0 |

# სამხრეთელმა ბობოლებმა ჩრდილოელებს ხელთათმანი ესროლეს

გუშინ ავსტრალიელებმა მსოფლიოს რაგბის ერთ ოჯახად შეკვრის საქმეში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს. რაგბის დღევანდელი სტატუს-კვო მკითხველს მოეხსენება — არსებობს IRB, ერთიანი ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს თასის გათამაშებას ყოველ მეოთხე წელს მართავს და ეს ღონისძიება თითქოს საკმარისიც უნდა იყოს იმის გასარკვევად, ვინაა მსოფლიოს რაგბის რჩეული. და მაინც, მსოფლიოს თასი ამ კითხვაზე სრულყოფილ პასუხს ვერ იძლევა, რადგან არსებობს ქვეყნები, რომლებსაც „სარაგბო ბობოლებს" უწოდებენ: მართალია, ისინი მსოფლიოს თასისთვის ბრძოლას თავს არ არიდებენ, მაგრამ მათი ცხვირის აბზუებაც საკმაოდ შესამჩნევია. სარაგბო ელიტას თავისი მყუდრო ტურნირები ურჩევნია, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში „ექვსი ერის" და სამხრეთით კი „სამი ერისა" და სწორედ მათი გამარჯვებულები მიაჩნიათ დედამიწის თავიანთი წილი ნახევრის რჩეულებად. შესაბამისად, ელემენტარული ლოგიკა ეყოფა პასუხად შემდეგ კითხვას: მთელი დედამიწის რჩეული ვინლაა? ცხადია ის, ვინც ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირებას მოიგებს. ამგვარი დაპირისპირება ოფიციალურად ჯერ არ არსებობს, საჭირო კია... ჰოდა, წერილის დასაწყისშიც სწორედ ამაზე მოგახსენეთ. ავსტრალიის რაგბის კავშირის აღმასრულებელმა თავმჯდომარემ, ჯონ ონილმა ერთ ავსტრალიურ გაზეთს განუცხადა, რომ მათი ორგანიზაცია ამზადებს პროექტს რაგბის მსოფლიოს კავშირისთვის, რომელშიც ჩრდილოეთით „ექვსი ერის" მომგებსა და სამხრეთით „სამი ერის" გამარჯვებულს შორის ფინალური მატჩის გამართვის დეტალებია აღწერილი. მატჩის სავარაუდო თარიღად ონილმა ყოველი წლის ოქტომბრის ბოლო დაასახელა, როცა სამხრეთში სარაგბო სეზონი სრულდება. „ჯერ ჩვენ მხოლოდ ვარაუდები გვაქვს" — თქვა ონილმა — „მაგრამ მალე გარკვეულ მოსაზრებებამდეც მივალთ". პროექტის დასრულებული სახით წარმოჩენას მწვანე-კონტინენტელები ორ კვირაში გეგმავენ, IRB-ს მორიგი თათბირიც ზუსტად მაშინ შედგება დუბლინში.

ონილმა სხვა ამბებზეც ილაპარაკა, კერძოდ, მსოფლიოს თასის 2003 წლის ფინალს მისი სამშობლო რომ უმასპინძლებს. აი, ზოგიერთი რამ მისი ნათქვამიდან: ფინალში 20 გუნდი ითამაშებს, რომლებიც ოთხ ჯგუფად დაიყოფიან. ორი ჯგუფი ავსტრალიაში იბურთავებს, ამდენივე — ახალ ზელანდიაში. სამხრეთელებს მეოთხედფინალებიც და ნახევარფინალებიც თანაბრად გაუყვიათ და ერთადერთი ფინალი ერგოთ ავსტრალიელებს უზიაროდ: იგი 2003 წლის 8 ნოემბერს სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება.

ავსტრალიელ მორაგბეთა მამამთავარმა ინტერვიუ ოპტიმისტურ ნოტაზე დაასრულა, თასის ფინალის პროგრამა აქედანვე წვრილმანებამდეა გათვლილი და უელსის მაგვარი მცირე რია-რიაც კი გამორიცხულიაო.

**დავით გულუა**

# ველინგტონის სამკუთხედმა ბრისბენიც ჩაყლაპა



ველინგტონი — ბრისბენი. სტუმრები ჯონა ლომუმ (ბურთით) და მასპინძელთა სხვა უკანახაზელებმა წაახდინეს

ორი ტურისა და თერთმეტი მატჩის შემდეგ ახალზელანდიურ გუნდს სხვა ქვეყნის კლუბთან ჯერ კიდევ არ წაუგია. რა თქმა უნდა, პრემიალური ქულების სისტემა საშუალებას იძლევა, სატურნირო ცხრილში წაგებულმა გუნდმა მაინც ზევით აინაცვლოს, მაგრამ ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ ახალზელანდიელებს მოწინავე პოზიციებს ვერავინ წაართმევს. ზე-12-ის წინა ოთხი გათამაშებაც ხომ მათ მოიგეს, თანაც ორჯერ ფინალი წმინდა ახალზელანდიური იყო.

შემოდგომაზე მსოფლიოს თასის მოგების შემდეგ ავსტრალია ერთობ გაყოყოჩდა და ტურნირში მეოთხე, მომავალში კი მეხუთე გუნდის ყოლა მოინდომა და მოითხოვა. თუმცა, მისდა სამწუხაროდ, ეს მოთხოვნა, ცოტა არ იყოს, სასაცილო გახდა ზე-12-ის დაწყების შემდეგ. შეჯიბრში საკუთარი გუნდების რაოდენობის გაზრდისთვის საჭირო იყო, რომ ავსტრალიელებს საუცხოო შედეგები ჰქონოდათ, „ქვიზლენდელმა წითლებმა" (ბრისბენი) კი, რომლის შემადგენლობაშიც არაერთი მსოფლიოს ჩემპიონია „ვოლაბების" კაპიტნის, ჯონ ილზის ჩათვლით, ზედიზედ მეორე თამაში წააგეს და 93 ქულაც გაუშვეს. არადა, ამ გუნდმა შარშან ჯგუფურ ტურნირში გაიმარჯვა და ყველაზე საიმედო დაცვაც ჰყავდა. ისე, მართალია, ბრისბენმა ორივე მატჩი სტუმრად ითამაშა, მაგრამ საჩემპიონოდ გამზადებული გუნდისთვის მაინც მძიმე დასაწყისია. ჯერჯერობით ერთადერთი ავსტრალიური მოგება სიდნეის ანგარიშზეა. ახლა ცოტა დაწვრილებით თითოეულ მატჩზე.

ტური შაბათს გაიხსნა დანიდინში, სადაც სამხრეთაფრიკული დურბანი სტუმრობდა. „ზვიგენებისთვის", რომლებიც წინა კვირას ველინგტონში დამარცხდნენ, მიზანი ერთი იყო — როგორმე პრემიალური ქულა მაინც მოეპოვებინათ. სტუმრებმა მეტოქეს დიდი ბრძოლა გაუმართეს და პირველი ტაიმი 13:10 მოუგეს კიდეც. სმიტისა და როსოუს ლელოებს დიუ ტუამ საჯარიმოც მიაყოლა, დანიდინელთაგან კი ლელო ალატინიმ გაიტანა, ხოლო გარდასახვა და საჯარიმო — ოლბლექსელმა ბროუნმა. მეორე ტაიმში მასპინძლებმა იმავე ბროუნის ზუსტი დარტყმების წყალობით დაწინაურება შეძლეს და გამარჯვება ხელიდან აღარ გაუშვიათ. სტუმრებმა, წაგების მიუხედავად, სატურნირო ცხრილში ერთი ქულა მაინც ჩაიწერეს, რადგან მხოლოდ 7 ქულით დამარცხდნენ.

ველინგტონი პირველ ტურში დანიდინისგან განადგურებულ (50:13) ბრისბენს მასპინძლობდა და თავისი ბრწყინვალე სამმეოთხედელების წყალობით არც თვითონ დააკლო ხელი. ახალი ზელანდიის ნაკრების სამი უკანახაზელი, უმაგა, ლომუ და კალენი, მართლაც უდიდესი ძალაა და ნებისმიერი მეტოქის დაცვის გაცამტვერება შეუძლია. მათ ახლაც უამრავი ლელო გაიტანეს და მაქსიმალური ქულებით გათამაშების ცხრილის სათავეშიც მოექცნენ.

იოჰანესბურგი ჯერჯერობით ერთადერთია, ახალზელანდიურ კლუბებს შორის რომ მოქცეულა. თუმცა ამის მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ კუნძულელთაგან არავის შეხვედრია. წინა ტურში მან პრეტორიაში იმარჯვა, ახლა კი კიდევ ერთი თანამემამულე, კეიპტაუნი დაამარცხა. მასპინძელთა პირველი ლელო ჩესტერ უილიამსმა გაიტანა, რომელიც 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე „ქურციკების" რიგებში ერთადერთი შავკანიანი მორაგბე იყო. სტუმრებმა კი, დიდი მცდელობის მიუხედავად, ერთი ლელოც ვერ გაიტანეს და პირველი მარცხი იწვნიეს, თუმცა პრემიალურ ქულას მაინც გამორჩნენ.

სამხრეთ აფრიკაშივე პრეტორიამ სიდნეის უმასპინძლა. სწორედ ამ მატჩში ელოდნენ პირველ ავსტრალიურ გამარჯვებას და ასეც მოხდა. შეხვედრა ავდარში ჩატარდა. შესვენებამდე ქულებს მარტო დამრტყმელები აკეთებდნენ. ჯანი დე ბეერმა ორი საჯარიმო შეასრულა ზუსტად, მეტიუ ბარკმა კი — ოთხი. მეორე ტაიმში კი წვიმასა და ტალახს უკვე შეჩვეულმა მორაგბეებმა ლელოების გატანაც დაიწყეს. ამ საქმეში სტუმრებმა იმარჯვეს და მოიგეს კიდეც.

ტური ახალზელანდიური საკვირაო ჯახით დასრულდა. წინა ტურში შინ დამარცხებული ჰამილტონისა და სტუმრად გამარჯვებული ოკლენდის შეხვედრის შედეგი თითქოს წინასწარ იყო ცნობილი... თუმცა ჰამილტონმა პატარა სენსაცია მოახდინა. ეს მისი დამრტყმელის, გლენ ჯეკსონის დამსახურებაა, რომელმაც ჰეიდენ ტეილორზე ნაკლები დარტყმა გააცუდა. ოკლენდმა მეტოქესავით ოთხი ლელო გაიტანა და რადგან 7 ქულით დამარცხდა, ორი პრემიალური ქულაც მოიხვეჭა.

**გაიოზ თალაკვაძე**

## ზე-12
## მეორე ტური

3 მარტი

**დანიდინი (ახალი ზელანდია) 27:20 დურბანი (სამხრეთ აფრიკა)**

დანიდინი: 3ლ — ალატინი, უილსონი, კელეჰერი; 3გ — ბროუნი (2), უილსონი; 2ს — ბროუნი

დურბანი: 3ლ — სმიტი, როსოუ, ფან რესბურგი; 1გ — ფან რესბურგი; 1ს — დიუ ტუა

4 მარტი

**ველინგტონი (ახალი ზელანდია) 43:25 ბრისბენი (ავსტრალია)**

ველინგტონი: 6ლ — უმაგა (3), ლომუ, კალენი, ოჰალორანი; 5გ. და 1ს — ჰოლუელი

ბრისბენი: 3ლ — დაისონი, კორდინგლი, სმიტი; 2გ. და 2ს — დრემი

**იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა) 22:18 კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა)**

იოჰანესბურგი: 2ლ — უილიამსი, ბოშოფი; 4ს — ენგელბრეხტი

კეიპტაუნი: 4ს — ფან სტრაატენი; 2ა — მონტგომერი

**პრეტორია (სამხრეთ აფრიკა) 13:33 სიდნეი (ავსტრალია)**

პრეტორია: 1ლ — გოოსენი; 1გ. და 2ს — დე ბეერი

სიდნეი: 3ლ — პინკერტონი, ბარკი, სტენიფორტი; 3გ. და 4ს — ბარკი

5 მარტი

**ოკლენდი (ახალი ზელანდია) 25:32 ჰამილტონი (ახალი ზელანდია)**

ოკლენდი: 4ლ — ტეილორი (2), ჰოულეტი, ლითლი; 1გ — ტეილორი; 1ა — აიი

ჰამილტონი: 4ლ — რენბი (2), კარაუნა, ლეოპეპე; 3გ — ჯეკსონი; 2ს — ჯეკსონი, კრიჩტონი

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ველინგტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 83:48 | 10 |
| დანიდინი | 2 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 77:37 | 9 |
| იოჰანესბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 45:37 | 8 |
| ჰამილტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 56:52 | 6 |
| ოკლენდი | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 43:47 | 6 |
| სიდნეი | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 48:35 | 5 |
| კეიპტაუნი | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 40:37 | 5 |
| კრაისტჩერჩი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 27:24 | 4 |
| კანბერა | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 15:18 | 1 |
| პრეტორია | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 32:56 | 1 |
| დურბანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 43:67 | 1 |
| ბრისბენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 38:93 | 0 |

*მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისათვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია*

III ტური

კრაისტჩერჩი — ოკლენდი

დანიდინი — ველინგტონი

კეიპტაუნი — პრეტორია

სიდნეი — იოჰანესბურგი

კანბერა — დურბანი

*ჰამილტონი და ბრისბენი ისვენებენ*



მურსიის ტური და იქაური ლამაზმანები დავიდ კანადას დარჩა

# საფრანგეთი გადაიკეკლა

კვირას ესპანეთის სამხრეთში „მურსიის ტურის" ბოლო და ყველაზე მძაფრი ეტაპი გაიმართა. სირბოლის გამოცდა მურსიის პროვინციის ამავე სახელობის დედაქალაქის ირგვლივ 12,9 კილომეტრზე მოეწყო და მასპინძლის, დავიდ კანადას გამარჯვებით დასრულდა. ესპანელმა გზის თითოეულ კილომეტრზე ლამის წუთზე ნაკლები დახარჯა და მთელი 25 წამით გაუსწრო თვისტომსა და თანაგუნდელ სანტოს გონსალესს (ორივე მრბოლი „ონსე"-ს გუნდის წევრია). კანადასვე დაედგა ტურის საერთო გამარჯვებულის გვირგვინი, ხოლო ლაპარაკს იმაზე, რომ საბოლოო ცხრილის სათავეში ერთიანად ესპანელები იწონებენ თავს, აღარ გავაგრძელებთ და პირდაპირ საფრანგეთში გადავინაცვლებთ. ამ ქვეყნისა და მრავალთა აზრით, მსოფლიოს დედაქალაქში „მურსიის ტურის" დასრულებისთანავე დაიწყო სეზონის პირველი მნიშვნელოვანი რბოლა „პარიზი-ნიცა", რომელიც წლეულს უკვე ჩავლილი ესპანური ტურების კვალობაზე უფრო მაღალი დონის შეჯიბრად ითვლება და ცხადია, უფრო ბევრი ქვეყნის წარმომადგენელსაც უყრის თავს. არც შემადგენლობა უნდა მოგროვილიყო პარიზში უხეირო, ფრანგები არაერთ წარჩინებულ ველომრბოლს ელოდნენ, მაგრამ ტურის დაწყებას თითებზე ჩამოსათვლელი დღეებიღა აკლდა, როცა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან ერთიმეორეზე უარესი ცნობები მოვიდა — ამერიკელი ლენს არმსტრონგი და შვეიცარიელი ალექს ცულე ბრონქიტს დაუჩაგრავს, ფრანგი ლორან ჟალაბერი და ჰოლანდიელი მიქაელ ბოგერდი კი ამდგარან და იტალიაში გავარდნილან, საფრანგეთში ჯერ ცივაო. ვინღა დარჩა? ვინ და ერთი სახელმოხვეჭილი ბელგიელი, ფრანკ ვანდენბრუკი, რომელიც „პარიზი-ნიცის" დაწყებას გულისფანცქალით ელოდა, რადგანაც იგი მისი პირველი გამოცდა უნდა ყოფილიყო სეზონში. 4 მარტს დილით ვანდენბრუკმა აჩქარებით ჩაალაგა ბარგი და თავპირისმტვრევით დაეშვა საკუთარი სახლის კიბეებზე, ემანდ პარიზის თვითმფრინავზე არ დამაგვიანდესო. მაშინ იყო, ფეხი რომ აუცდა, ძირს დაენარცხა და მაჯა ისე საფუძვლიანად დაიშავა, ველოსიპედის საჭეს კი არა, ჭიქას ვერ მოჰკიდებს ხელს. ესეც ბოლო სახელოვანი მრბოლი და სავსებით გასაგებია, რატომ ჩამოყარეს ყურები „პარიზი — ნიცის" ორგანიზატორებმა. სამაგიეროდ, ურიგო ხასიათზე არ უნდა იყვნენ სხვა ველომრბოლები, რადგან ჯერ ერთი, თავის გამოჩენის მეტი საშუალება ექნებათ და მეორეც, ყოველი ეტაპის შემდეგ სულ უფრო უკან მოიტოვებენ ჯერაც ცივ პარიზს და ბოლოს ლაჟვარდოვანი სანაპიროს მომხიბლავ სანახებში გაინავარდებენ. ისე არ იფიქროთ, თითქოს მონაწილეთაგან ხეირიანი აღარავინ დარჩა. არის კიდევ რამდენიმე კაცი, ვისი გვარ-სახელიც უკვე ნახსენებთა მსგავსად მკითხველს უეჭველად სმენია. მათგან სირბოლის 7,9-კილომეტრიან გამოცდაზე, პარიზის ცენტრსა და მის ერთ-ერთ გარეუბანს შორის რომ შედგა, თავი მასპინძელმა ლორენ ბროშარმა ისახელა. ტურის მეორე ეტაპი ბევრად უფრო გრძელი იყო და რახან ტრასის სრული 201 კილომეტრი ლარივით სწორ გზაზე იყო გაჭიმული, მასზე „პეპლებმა" მოილხინეს. დაახლოებით შუა გზაზე პელეტონში მცირე ავარია მოხდა და რამდენიმე ველოსიპედი აყირავდა. მსხვერპლი და ტრავმები არ არის, ერთადერთი ფრანგმა ფრანსის მორომ უწია ფინიშს გახეთქილი თავით, თუმცა მერე ჭრილობა გულმოდგინედ შეუხვიეს და ახლა არაფერი უჭირს. ტრასის ბოლოში პელეტონი მივიდა, რომელსაც ესტონელი იაან კირსიპუუ ედგა სათავეში. „პარიზი-ნიცის" მესამე ეტაპი ოლროჩოლროებში გაიმართება, რადგან სპორტსმენები უკვე ბორცვიან-გორაკებიან მხარეებში შევიდნენ.

**დავით გულუა**

**მურსიის ტურის საბოლოო შედეგები**

1. დავიდ კანადა (ესპანეთი, „ონსე") — 18.09.31
2. ხავიერ პასკუალ ლორენტე (ესპანეთი, „კელმე") — +48
3. ხოსე ალბერტო მარტინესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი") — +1.09

**«პარიზი — ნიცა» საერთო ჩათვლა 2 ეტაპის შემდეგ**

1. იაან კირსიპუუ (ესტონეთი, „აგმარ") — 5.05.29
2. ლორენ ბროშარი (საფრანგეთი, „ჟან დელატური") — +4
3. კრის ბორდმენი (დიდი ბრიტანეთი, „კრედიტ აგრიკოლე") — +5



იაან კირსიპუუ



# ვიში ვიში აღარ არის

ლინარესში პირველი წრე გასრულდა და მეორე დაიწყო. ჩვენი ბოლო მიმოხილვა პარასკევის „სარბიელში" გააზლეთ, იმის მერე კი წლის უმნიშვნელოვანეს საჭადრაკო სუპერტურნირზე მრავალმა წყალმა ჩაიარა. დღეს თავდაპირველად განვლილი სამი ტურის მშრალ სტატისტიკურ სურათს წარმოგიდგენთ, რომელიც ასე გამოიყურება: IV ტური. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — გარი კასპაროვი (რუსეთი) — 0:1; პიტერ ლეკო (უნგრეთი) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — 1/2; ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) — 1/2. V ტური. კრამნიკი — შიროვი — 1:0; კასპაროვი — ლეკო — 1/2; ხალიფმანი — ანანდი — 1/2; VI ტური. შიროვი — კასპაროვი — 1/2; კრამნიკი — ხალიფმანი — 1/2; ანანდი — ლეკო — 1/2. რომ იცოდეთ, რამდენი ადამიანური ვნებათაღელვა იმალება ამ ერთი შეხედვით უინტერესო სტრიქონების მიღმა! თუნდაც ანანდის ფიასკო ავიღოთ, მე-4 ტურში კასპაროვთან რომ შეემთხვა. „მე ის ვიში აღარა ვარ" — უკვე თამამად შეუძლია განაცხადოს ინდოელმა და მყარ არგუმენტად კასპაროვთან თეთრებით წაგება მოიყვანოს, რომელშიც უმწეო ბავშვს უფრო წააგავდა, ვიდრე იმ ვიშის, ბევრს რომ უნახავს. ანანდმა დებიუტის მიწურულსვე ინიციატივა ჩემპიონს გადააბარა და შემდეგ თითქოს საქმის გამოსწორება სცადა, მაგრამ, ერთი ჟურნალისტის მოსწრებული თქმისა არ იყოს, კასპაროვმა სისხლის სუნი იყნოსა და მერე რაღა გააჩერებდა. 32-ე სვლაზე, როცა ვიში პაიკნაკლულ ენდშპილში დანებდა, მისი პოზიცია ისეთი ანგრეული იყო, კაცს შეხედვა არ მოუნდებოდა — ერთი პაიკი ალთას, მეორე — ბალთას და მესამეც სადღაც იქით, კასპაროვის ფიგურები კი სიმეტრიულად ჩაწიკწიკებულნი გადამწყვეტი შტურმის დაწყებას აპირებდნენ, ინდოელს რომ არ ემარჯვა და არ დანებებულიყო. საერთო აზრით, ჯერჯერობით ლინარესში ასეთი მარცხი არავის მოსვლია. რაშია საქმე? რომელი მომენტია მთავარი, წმინდა საჭადრაკო, თუ ფსიქოლოგიური? ძნელად საპასუხო კითხვაა, ყოველ შემთხვევაში, ანანდის სეკუნდანტმა, ელზბარ უბილავამ ჟურნალისტებს გარკვეული ვერაფერი უთხრა. „ცუდია, რაც მოხდა, ძალიან ცუდი... ვერ ვხვდები, ამ კაცს რა დაემართა" — ეს ნაღვლიანი სიტყვები სწორედ ჩვენებურს ეკუთვნის. თანაც ანანდის ჩავარდნა კრამნიკის გამოფხიზლების ფონზე უფრო გამოკვეთილი მოჩანს. ვოვას V ტურში პრინციპული ქიშპი ჰქონდა შიროვთან, რომელსაც ჯერ კიდევ საბჭოს პრეტენდენტთა ფინალიდან ჩაეყარა საფუძველი. მაშინ, მოგეხსენებათ, შიროვმა გაიმარჯვა და მართალია კასპაროვთან მატჩს ვერ ეღირსა, კრამნიკთან პირადი შეხვედრების ბალანსი თავის სასარგებლოდ გარდაქმნა. ამჯერად კრამნიკმა ჯავრი იყარა, მეტოქე 48 სვლაში შემუსრა და მომდევნო ტურში ხალიფმანსაც მხნედ შეუტია, ვინძლო ჩემეული მახრჩობელას პრინციპით როგორმე მოვგუდოო, მაგრამ ფიდეს ჩემპიონი იმაზე ტყავმაგარი გამოდგა, ვიდრე ეგონა და საბოლოოდ ყაიმსღა გამოჰკრა ხელი.

მეტი რა... ლინარესში საინტერესოდ იქნებ ისიც მოგეჩვენოთ, ლეკოს „რკინაბეტონის ქმნილება" რომ უწოდეს. ყველაზე უმრწემესი უნგრელი ერთი მნიშვნელოვანი რეკორდის დასამყარებლად უნდა იყოს მოწოდებული: ჯერ არც მოუგია და არც წაუგია. იქნებ ბოლოშიც ასე გავიდეს...

ვითარება 6 ტურის შემდეგ:

*1-2. კასპაროვი, კრამნიკი — 4; 3. ლეკო — 3; 4-5. შიროვი, ხალიფმანი — 2,5; 6. ანანდი — 2*

**დავით გულუა**



ვიში ანანდი და მისი ქართველი სეკუნდანტი ელიზბარ უბილავა



# ხომ არ გვაცურებს პანკრატოვი?

ატლანტის ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბატერფლაით ცურვაში, რუსი დენის პანკრატოვი თავის მომავალზე პესიმისტურად საუბრობს. ამბობს, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ტიტულების დასაცავად მცირე შანსი მაქვსო.



დენის პანკრატოვი

პანკრატოვს უიმედობის საბაბს ისიც აძლევს, რომ რუსეთის ჩემპიონატში წარმატებით ვერ იასპარეზა. 26 წლის სპორტსმენი ანატოლი პოლიაკოვთან საფირმო, 200 მეტრზე ცურვაში დამარცხდა და 1995 წელს დამყარებულ მსოფლიოს რეკორდს ოთხი წამით ჩამორჩა (1,59,63). პოლიაკოვმა, რომელიც ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორია, რუსეთის ჩემპიონობა მოიპოვა (1,59,56).

პანკრატოვს ერთ დროს ბატერფლაით ცურვაში ყველა, დიდი თუ პატარა წყლების მსოფლიოს რეკორდები ეპყრა ხელთ. ატლანტის ოლიმპიური თამაშების მერე კი მნიშვნელოვანი წარმატებისთვის აღარ მიუღწევია. ჯერ იყო და, 1998 წელს პერტის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებელ ნაკრებში ვერ მოხვდა, შარშან კი სტამბოლში ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც მისი ბოლო საერთაშორისო ასპარეზი გახლდათ საკვალიფიკაციო ეტაპიც ვერ გადალახა. ამდენად ნათელია, რომ პანკრატოვის სპორტული კარიერა დაღმა ეშვება.

— დროა, შევწყვიტოთ საუბარი იმაზე, რომ მე რუსეთის ნაკრების ლიდერი ვარ და გუნდს ოლიმპიურ მედალს მოვუტან, ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა — უთხრა პანკრატოვმა რუს ჟურნალისტებს.

რუსეთის ნაკრების მწვრთნელი გენადი ალიოშინი კი თავს იმშვიდებს, ვიცი პანკრატოვის ხასიათი, ჩვენი ჩემპიონი ამგვარ განცხადებას იმიტომ აკეთებს, რომ მეტოქეთა ყურადღება მოადუნოსო.

— ყველა ათლეტი ცრუმორწმუნეა და ვფიქრობ, პანკრატოვი სიფრთხილეს იჩენს, რათა მის ბედს თვალი არ ეცეს — თქვა მწვრთნელმა.

**გიგა გურასაშვილი**

# ოღონდ ლორი გადარჩეს

ავსტრალიელმა მოცურავე ლორი მუნცმა ჯერჯერობით მქუხარე იმიჯის შექმნა ვერ მოასწრო. იგი მხოლოდ ბრიტანეთის თანამეგობრობის 1998 წლის გათამაშების ორი ოქროს მედლის მფლობელია, მაგრამ მთავარი სხვაა. მუნცი ოცდაერთი წლისაა და დღითიდღე უმატებდა, ამიტომ ავსტრალიელებს სიდნეის ოლიმპიადაზე თუ ვინმესი ეიმედებოდათ, ერთ-ერთი ლორიც გახლდათ, მაგრამ... გუშინ მოცურავე ავარიაში მოყვა და, როგორც ამბობენ, მძიმედ დაშავდა. ექიმთა ცნობით, დაზარალებული ცუდ დღეშია, თუმცა სიკვდილი უკვე აღარ ემუქრება. ერთი რამ შეიძლება ითქვას: მუნცისთვის სიდნეის ოლიმპიადა აღარ არსებობს, რამაც ავსტრალიელთა მწვრთნელი, დონ ტელბოტი დიდად დააფიქრა. ეს ჩვენთვის აუნაზღაურებელი დანაკლისია, თქვა მან, მაგრამ ამაზე ვინ რას იტყვის, ოღონდ მუნცი გადარჩეს...

**დავით გულუა**



ლორი მუნცი

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

თხილამურობა

# ლაზუტინამ სანაქებოდ ილახტავა

რუსი ლარისა ლაზუტინა ენერგიულად აგრძელებს მოთხილამურეთა მსოფლიოს თასისთვის ბრძოლას და შეუპოვრად მიიწევს წინ, რათა ესტონელი კრიტინა შმიგუნის ლიდერობა დაამხოს და თავად ავიდეს უმაღლეს კვარცხლბეკზე. ორიოდე დღის წინ ლაზუტინამ ფინურ ლახტიში სწორუპოვრად ისრიალა და ნორვეგიელი ბენტე მარტინსენი, რომელიც თასის ამჟამინდელი მფლობელია და ოც წამზე მეტით დაჩაგრა. კიდევ ათი წამით გვიან უწია ფინიშს სხვა ნორვეგიელმა ანიტა მოენმა, იმას კი სხვა რუსები მიჰყვნენ, ოლგა ზავიალოვა და ნინა გავრილიუკი. ახლა ლაზუტინას შეუძლია, უფრო იმედიანად უჭვრიტოს მომავალს, რაზან შმიგუნთან განსხვავება 80 ქულამდე ჩამოიყვანა. ისე, ზოგჯერ უკანაც თუ მოიხედავს, არაფერი დაშავდება, რადგან მარტინსენისგან მხოლოდ 16 ქულა აშორებს.

ლახტიში უსაქმურად მამაკაცებიც არ გაჩერებულან, რომლებმაც 4X10 კმიანი ესტაფეტა მოისტუმრეს. ყველაზე მაგარი მუხლი და ღონიერი მკლავები ამჯერად ავსტრიელებს აღმოაჩნდათ, ცოტათი ნაკლები — ფინელებს და რუსებს, თუმცა ნაკრებთა საერთო ჩათვლაში, რომელშიც მხოლოდ ესტაფეტის შედეგები აღინუსხება, ნორვეგიელები კვლავ უცილობელი ლიდერები არიან.

**დავით გულუა**

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ნორვეგია | 4096 |
| 2. იტალია | 2413 |
| 3. ფინეთი | 2007 |

ოლიმპიზმი

# აჭრელებული ოზები

ავსტრალიელები საერთოდ სადად იმოსებიან. სიდნეის ოლიმპიური თამაშების მომსახურეთა 80-ათასიან არმიას კი ამგვარ ჩაცმა-დახურვაზე ხელის აღება მოუწევს. მეტიც — თანამემამულეთაგან და სიდნეის სტუმართაგან მათი გამორჩევა იოლი იქნება იმ ჭრელაჭრულა სამოსით, რომელშიც მათ გამოაწყობენ. ეს უნიფორმა, კერძოდ, შარვალი, მოკლესახელოიანი პერანგი, კოვბოის ქუდი და საათი, სამი წელი ამზადა „ბონდის“ დიზაინერმა ვენდი პაულუჩიმ.

თავდაპირველად ოლიმპიური ფორმის კომპლექტში ფირმა „რიბოკის“ ფეხსაცმელიც შედიოდა, მაგრამ სოკთან ფინანსური სკანდალის გამო იგი სიდნეის ოლიმპიური თამაშების სპონსორთა რიგებს ჩამოშორდა. ცხადია, ის 80 ათასი კაცი უფეხსაცმლოდ დიდხანს არ დარჩენილა. „რიბოკი“ არანაკლებ სახელიანმა „ნაიკმა“ შეცვალა, რომელმაც უნიფორმის კომპლექტს 60 ათასი კოვბოის ქუდიც შეჰმატა.

**გიგა გურასაშვილი**

ჰოკეი

5 მარტი

**ფილადელფია — აილენდერსი 3:4**

**დალასი — დეტროიტი 3:5**

**კალგარი — ნიუ ჯერსი 2:2**

**ანაჰაიმი — ნეშვილი 1:0**

6 მარტი

**ბოსტონი — ოტავა 1:5**

0:1 0:0 0:4

0:1 სალო 10'16 (3); 0:2 პროსპალი 43'38 (20); 0:3 მაკიჩერნი 44'43 (23); 0:4 მაკიჩერნი 45'18 (24); 1:4 ტორნტონი 51'13 (17); 1:5 ტრავერსი 57'48 (6)

**მონრეალი — ატლანტა 3:2**

1:1 0:0 2:1

1:0 კორსონი 2'00 (8); 1:1 გუოლა 6'42 (8); 1:2 გალანოვი 46'58 (4); 2:2 უეინრიჩი 54'19 (4); 3:2 ლინდენი 55'03 (10)

**ვანკუვერი — ტორონტო 5:6**

1:2 0:1 4:2 0:1

1:0 კესელსი 4'08 (13); 1:1 პერო 5'44 (12); 1:2 კოროლიოვი 9'50 (18); 1:3 ტაკერი 39'14 (18); 1:4 ტაკერი 42'08 (19); 1:5 ბერეზინი 43'02 (18); 2:5 ჟოვანოვსკი 45'03 (3); 3:5 მოგილნი 53'16 (18); 4:5 დრაკენი 57'48 (2); 5:5 ნესლუნდი 59'19 (20); 5:6 სუნდინი 63'13 (28)

**სან ხოსე — რეინჯერსი 2:1**

1:0 0:1 1:0

1:0 რიჩი 0'50 (17); 1:1 შნაიდერი 27'21 (7); 2:1 რიჩი 59'14 (18)

# ბურკი დათვებს გაექცა

„არ მსურს ისეთ გუნდში თამაში, რომელიც პლეი ოფში გასასვლელად არ იბრძვის“ — თქვა რეი ბურკმა, ლეგენდარულმა მცველმა, რომელმაც 21 წლის მანძილზე ბოსტონს უერთგულა. წარმოიდგინეთ, რას უნდა გრძნობდეს რეი, რაოდენ შეშფოთებული უნდა იყოს, კარიერის დასასრულს მშობლიური კლუბიდან წასვლა რომ მოინდომა. მიზეზი ერთია, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი — მისმა დათვებმა ფარ-ხმალი დაყარეს.

ძალიან მოკლე დროში ბოსტონმა თითქმის ყველა ლიდერი დაკარგა. ბოსტონი-ვანკუვერის ხმაურიან თამაშში ჯერ პირველმა მეკარემ, ბაირონ დაფომ მიიღო ფეხის ტრავმა, მერე წამყვანი თავდამსხმელი ჯესონ ელისონი დაშავდა, ამ უქმეებზე კი გარემარბი ენსონ კარტერი გამოაკლდათ. შავკანიანმა ფორვარდმა რამდენიმე მატჩის გამოტოვების შემდეგ მაჯის ოპერაცია გაიკეთა. ამას საუკეთესო პოლიციელის, მარტი მაკსორლის დისკვალიფიკაციაც დავამატოთ. სხვათა შორის, მას სეზონის ბოლომდე ასპარეზობიდან მოკვეთა არ აკმარეს. მის ხულიგნურ საქციელს პოლიცია იკვლევს. ამ დღეებში გამოძიება დასრულდა და საბოლოო გადაწყვეტილებას სასამართლო გამოიტანს. მაკსორლის მეტოქეზე შეიარაღებული თავდასხმა (ყვანჯი რითი არაა იარაღი) ბრალდება. რაოდენ დასუსტებულიც არ უნდა იყოს გუნდი, მას უნებისყოფო თამაში არაფრით ეპატიება. ბოსტონს არც ახლა დაუკარგავს პლეი ოფში გასვლის შანსი, ამიტომ დიდი ძალისხმევა მართებს, გუნდი კი თითქოს ბედს შეეგუა. ამიტომაც აევსო ბურკს მოთმინების ფიალა. ორშაბათს ოტავასთან მატჩის წინ გახდა ცნობილი, რომ ბურკი არ ითამაშებდა. ბოლო 7 წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ რეის ტრავმა არ ჰქონდა, მაგრამ სათადარიგოთა შორის იყო. ეს უკვე იმაზე მეტყველებდა, რომ მალე იგი ბოსტონს დატოვებდა.

ბურკის პარტნიორები ორი პერიოდის მანძილზე ასე თუ ისე უძალიანდებოდნენ მეტოქეს, [...]ესამეში კი ხელი ჩაიქნიეს და ოტავ[...]მაც აბუჩად აიგდეს. ხოლო მას [...]ა, რაც შონ მაკიჩერნმა გუნდთან [...]ალი სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება აღნიშნა და 35 წამის განმავლობაში ორი გოლი გაიტანა, მატჩმა აზრი სრულიად დაკარგა.

თამაშის შემდეგ კი მოვლენები ელვისებურად განვითარდა. ბოსტონის გენერალურმა მენეჯერმა ჰარი სინდენმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და დამსწრეთ რეი ბურკის გაცვლის ამბავი ამცნო. ამრიგად, ბურკი და ფორვარდი დეივ ანდრეიჩუკი კოლორადოში გადავიდნენ, მათ ნაცვლად კი „დათვებმა“ ფორვარდი ბრაიან როლსტონი, ორი ახალგაზრდა მოთამაშე, რომელთაც ლიგაში ჯერ არ უასპარეზიათ და დრაფტზე არჩევის უფლება მიიღო.

ასე რომ, 80-90-იანი წლების საუკეთესო მცველს (ამაზე მისი „ნორის ტროფი“ ნათლად მეტყველებს) ალბათ უკანასკნელად მიეცა შესაძლებლობა, კარიერის მიწურულს ოცნება აისრულოს და სტენლის თასის მფლობელი გახდეს. „გვჯერა, კოლორადოში მას საამისო შანსი ექნება, რეიმ ეს ბევრზე უფრო მეტად დაიმსახურა“ — ასე დაულოცა გზა თავის აწ უკვე ყოფილ თანაკლუბელს სინდენმა, ხოლო კოლორადოს გენერალური მენეჯერი პიერ ლაკრუა აღფრთოვანებული გახლდათ. შეგახსენებთ, რომ დღესდღეობით ბურკი 395 გოლით ლიგის ისტორიაში საუკეთესოა მცველთა შორის, ხოლო 1111 პასით მხოლოდ პოლ კოფის ჩამორჩება. 1506 ქულით კი ნჰლ-ის ბომბარდირთა სიაში საპატიო მე-9 ადგილზეა.

კიდევ ერთი ცნობილი ჰოკეისტი, ვანკუვერის ლიდერი მარკ მესიე კი ალბათ კლუბს აღარ გამოიცვლის. ამასწინათ გაუწყეთ, თუ რა აზრი გამოთქვა ამის თაობაზე ნიუ ჯერსის მფლობელმა მაიკ მაკმალენმა. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ვანკუვერი შეუმჩნევლად მიუახლოვდა საპლეიოფო ოქტეტს და თუ კონკურენტთა მიერ ჩატარებულ თამაშებსაც გავითვალისწინებთ, კანადურ კლუბს პლეი ოფში გასვლის საკმაოდ კარგი შანსი უჩნდება. მართალია, მორიგ მატჩში მესიე არ იყო მოწოდების სიმაღლეზე (0 ქულა და ნაყოფიერების „-4“ კოეფიციენტი), მაგრამ კაპიტანი თანაგუნდელებმა იხსნეს და თითქოსდა უიმედოდ წაგებულ თამაშში კლუბს ქულა შესძინეს. როცა 44-ე წუთზე ტორონტოელმა სერგეი ბერეზინმა (გამოჯანმრთელება გოლით და პასით აღნიშნა) ანგარიში 5:1 გახადა, მაყურებლებმა გასასვლელისკენ მიაშურეს, მაგრამ ვინც დარჩა, არ ინანა — თავისი გუნდის მიერ ჩადენილი სასწაული იხილა. ალექსანდრ მოგილნის (1+2 და კარიერაში მე-400 ქულა) ძალისხმევით მასპინძლებმა ჯერ მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა, ბოლო წუთზე კი უმცირესობაში დარჩნენ, მაგრამ გარისკეს, მეკარე მეხუთე მოთამაშით შეცვალეს და მარკუს ნესლუნდმა მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. დამატებით დროში ბედმა ტორონტოს გაუღიმა (მათს სუნდინმა წლეულს მესამე საოვერტაიმო გოლი მიითვალა), მაგრამ ახალი წესის თანახმად ვანკუვერს ერთი ქულა მაინც შერჩა. თუმც იმავე საღამოს ვანკუვერის ერთ-ერთმა კონკურენტმა სან ხოსემ მაიკ რიჩის წყალობით რეინჯერსს მოუგო. სან ხოსე ამ ბოლო დროს არასტაბილურად ასპარეზობს (სამი თვის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ არ მოუგია), ამიტომაც ვანკუვერს არაფერი დაუკარგავს.

ნიუიორკელთა წაბორძიკებით მონრეალმა ისარგებლა. „კანადიენსიმ“ წლეულს ყველაზე მეტი, ოცი თამაში წააგო ერთშაიბიანი სხვაობით, ამჯერად კი თვითონ მოიგო მინიმალური უპირატესობით. თანაც მონრეალს (ბოლო 13 მატჩში მეათე მოგება), რომლის ძირითადი მოთამაშეები ტრავმებმა გააწამეს, კიდევ ერთი ლიდერი, ბრაიან სავაჟი დაუბრუნდა. 20 ნოემბერს ლოს ანჯელესთან დაშავების შემდეგ მის კარიერას საფრთხე დაემუქრა, მაგრამ ყველაფერი კეთილად დასრულდა.



ოტაველთა მეკარე რონ ტაგნატმა, მისი ბოსტონელი კოლეგისგან განსხვავებით დიდ ბატალიებს გაუძლო

**სატურნირო ვითარება**

| ალმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 67 | 38 | 8 | 5 | 21 | 202:162 | 89 |
| ტორონტო | 66 | 36 | 7 | 3 | 23 | 201:176 | 82 |
| ფლორიდა | 66 | 35 | 5 | 5 | 26 | 196:162 | 80 |
| ფილადელფია | 65 | 34 | 11 | 2 | 20 | 190:149 | 81 |
| ვაშინგტონი | 66 | 34 | 11 | 1 | 21 | 176:156 | 80 |
| ოტავა | 66 | 33 | 11 | 2 | 22 | 193:168 | 79 |
| პიტსბურგი | 65 | 27 | 8 | 6 | 30 | 192:189 | 68 |
| რეინჯერსი | 67 | 27 | 10 | 3 | 30 | 188:187 | 67 |
| მონრეალი | 66 | 28 | 7 | 3 | 31 | 155:155 | 66 |
| კაროლინა | 66 | 28 | 9 | 0 | 29 | 173:183 | 65 |
| ბუფალო | 67 | 26 | 10 | 2 | 31 | 166:173 | 64 |
| ბოსტონი | 66 | 19 | 17 | 4 | 30 | 164:196 | 59 |
| აილენდერსი | 66 | 19 | 8 | 1 | 39 | 155:216 | 47 |
| ტამპა | 64 | 15 | 7 | 6 | 42 | 161:242 | 43 |
| ატლანტა | 65 | 12 | 6 | 4 | 47 | 140:242 | 34 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 65 | 42 | 7 | 0 | 16 | 201:133 | 91 |
| დალასი | 66 | 36 | 6 | 3 | 24 | 163:144 | 81 |
| ედმონტონი | 66 | 25 | 15 | 8 | 26 | 185:173 | 73 |
| დეტროიტი | 66 | 39 | 7 | 1 | 20 | 222:173 | 86 |
| ფინიქსი | 65 | 33 | 7 | 1 | 25 | 192:180 | 74 |
| ლოს ანჯელესი | 65 | 31 | 8 | 3 | 26 | 207:191 | 73 |
| კოლორადო | 67 | 30 | 10 | 1 | 27 | 183:171 | 71 |
| სან ხოსე | 68 | 28 | 8 | 7 | 32 | 186:178 | 71 |
| კალგარი | 66 | 28 | 8 | 5 | 30 | 176:197 | 69 |
| ანაჰაიმი | 67 | 28 | 10 | 1 | 29 | 177:185 | 67 |
| ვანკუვერი | 66 | 23 | 12 | 7 | 31 | 174:193 | 65 |
| ჩიკაგო | 65 | 24 | 7 | 2 | 34 | 193:207 | 57 |
| ნეშვილი | 66 | 22 | 6 | 6 | 38 | 167:197 | 56 |

*შენიშვნა: [...]ალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

# კლუტიე ქველბიჭობას არ იშლის

ყველაფერი გაგვიგია, მცველი-პოლიციელი, ფორვარდი-პოლიციელიც, ეს მეკარე-პოლიციელი კი, ნეტავ, რაღაა? როგორც ჩანს, სულ მალე ნჰლის გუნდებში მეკარეებიც მოიღერენ მუშტებს. მოიღერონ, თუ უნდათ, მაგრამ ზოგიერთს, კერძოდ, ტამპელ დენ კლუტიეს, კარის დაცვაზე მეტად რომ ეს ეხალისება?

სულ ახლახან კლუტიემ 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო იმის გამო, რომ აილენდერსთან შეხვედრაში ჩხუბი წამოიწყო. თუმცა, ეტყობა, მას ეს ეცოტავა და ჩიკაგოსთან პაექრობაში ხელები კვლავ დაიკაპიწა, თანაც ფარი და დანარჩენი ალკაზმულობა მოიხსნა და კოლეგა სტივ პასმორს მუშტიკრივი გაუმართა. შედეგად კლუტიემ, როგორც ჩხუბის წამომწყებმა, 27 საჯარიმო წუთი მიიღო. მან ჩხუბში თანაგუნდელები — კაილ ფრიდრიხი და რაიან ვანდენბუშეც ჩაითრია, რომლებიც ისე დაშავდნენ, რომ სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს.

ბუფალოელმა მაიკლ პეკამ კი შარში რომ გაეხვია, მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალოს — „ხმლებთა“ ლიდერი და კაპიტანი მატჩის მესამე წუთზე სერგეი გონჩარს დაეჯახა. მართალია, ეს ძალისმიერი ილეთი წესების დაცვით ჩაატარა, მაგრამ აშკარად განზრახ ჩაიდინა. გონჩარი პირველად ასპარეზობდა კისრის ტრავმის შემდეგ და იგი კვლავ დაშავდა. აღსანიშნავია, რომ ვაშინგტონი არ აჩქარდა, ჯერ თამაში მოიგო, საფინალო სასტვენის შემდეგ კი ანგარიშსწორების დროც დადგა — სტივ კონოვალჩუკმა შური პირადად მაიკლზე იძია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ხელთათმანის ჩამოგდებისას პეკამ უცებ ტკივილი იგრძნო და მეტოქეს ჰკითხა, სურდა თუ არა ასეთ ვითარებაში ჩხუბი. კონოვალჩუკმა ყურად არ იღო და მეტოქე გვარიანად შემოულახა. პეკას ტრავმა გაურთულდა. კაპიტანი ჩემპიონატის ბოლომდე გუნდს ველარ დაეხმარება.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძუძუ ძაძებში

მსოფლიოში ყველაზე დიდი სილიკონის მკერდის პატრონი ფრანგი ლოლო ფერარი გუშინწინ თავისი სიკვდილით გარდაიცვალა რივიერაზე. ლოლო-ჩემპიონი ოცდაათი წლისა იყო. სპორტთან ამ ქალს ის კავშირი ჰქონდა, რომ სურდა თავისი გვარი, სავირმო ნიშნად ექცია, მაგრამ ფორმულა-1-ის იტალიურმა კონცერნმა „ფერარიმ" ქვა ააგდო, თავი შეუშვირა და სასამართლო პროცესი მოუგო.



REUTERS პარიზიდან



REUTERS სინგაპურიდან

# საავიაციო პრიზები

სინგაპურის საავიაციო ხაზების დიდი საცხენოსნო პრიზი ამ ქვეყნის უპოპულარულესი ჯილდოა. გამარჯვებულს თავად პრეზიდენტი აჯილდოებს და 150 000 დოლარით სავსე კონვერტსაც უძღვნის. წლეულს რბოლა სინგაპურელმავე ჟოკეიმ, სამემ მოიგო ცხენ ოუზუსთან ერთად. ფრანგმა ჟოკეიმ ოლივიე პესლიემ ჯილდო ვერ მიიღო, სამაგიეროდ, კაი მშვენიერი სტიუარდესები აღმოაჩინა.





# დარტიდან ოკეანეში

მდინარე დარტს, დევონის საგრაფოში რომ მოედინება, მიუყვება უშველებელი კატამარანი „ფილიპსი". ეს ასოცი ფუტის სიგრძის იახტა მალე ოკეანის ტალღებს შეუერთდება. მისი შკიპერი პიტ გოსი ახალი გარსაქვეყნო რეკორდის დამყარებას აპირებს.




# სალო, ჟენევის ერთი დღე

ჟენევის საერთაშორისო გამოფენაზე შეყრილ ხალხში ტრიალებდა ფინელი მეფორმულე მიკა სალო. იგი ჟენევაში გამოფენის ორგანიზატორის „ბრიჯსტოუნ ფაიარსტოუნ კომპანის" მიწვევით ჩასულა. თუმცა რა მიწვევა უნდოდა, ფორმულაში ხომ შვეიცარიული „ზაუბერის" ბოლიდს დააქროლებს.

REUTERS ჟენევიდან





სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli